

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

გამოჩენილი მეცნიერი და მასწავლებელი  
მიხეილ გეგეშიძე – 100

69901  
10669

ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
ბიბლიოთეკა

თბილისი  
2018

ინიერგოგ ლიქსინ  
001



კრებული წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის მიხეილ გეგეშიძის დაბადებიდან ასი წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა ტექსტებს, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 12 ივლისს ჩატარდა. მიხეილ გეგეშიძეს წილად ხვდა ბედნიერება ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან მდგარიყო, უფრო მეტი, ის საქართველოში სოციოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელიცაა. კრებულში წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები ქართული ეთნოლოგიის საჭირობოროტო საკითხებს ეძღვნება; ბუნებრივია, დიდი ადგილი ეთმობა თავად მიხეილ გეგეშიძის შემოქმედებას.

რედაქტორი  
როლანდ თოფჩიშვილი

ISBN 978-9941-9581-4-4

როლანდ თოფჩიშვილი  
თეზურ გვიშრადე

### მიხეილ გეგეშიძის ცხოვრება და შემოქმედება

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მოწაფეთაგან ქართულ ეთნოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიხეილ გეგეშიძეს. ის „იმ სახელოვან ეთნოლოგთა წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც წილად ხვდა ქართული ეთნოლოგიის სკოლის სათავეებთან ყოფნა“ (ჯ. რუხაძე). 2018 წელი მიხეილ გეგეშიძის საიუბილეო წელია – მას 7 ოქტომბერს 100 წელი შუსრულდებოდა. ის დაიბადა რკინიგზელი მუშის ოჯახში. 1925-1935 წლებში სწავლობდა 4/5 რკინიგზის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1935 წელს შევიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მიხეილ გეგეშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1939 წელს დაამთავრა და მაშინვე ჩაირიცხა ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. მაგრამ მეცნიერულ საქმიანობას შედარებით გვიან – 1948 წლიდან შეუდგა, რაშიც მას ხელი მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა. 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მონაწილეობდა ბრძოლებში ჩრდილო კავკასიის ფრონტზე. ბატონი მიხეილის შესახებ, როგორც ჯარისკაცზე გენერალ-მაიორ გიორგი ყურაშვილს ასეთი დახასიათება აქვს მოცემული: „805 პოლკის შტაბის სიამაყე იყო მიხეილ გეგეშიძე, რომელმაც ყაბარღო-ბალყარეთში სიმამაცითა და გაბედულებით ისახელა თავი. დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე მიხეილი წითელი არმიის რიგებში ჩადგა და თავგანწირვით იბრძოდა... მიხეილ გეგეშიძე 805-ე პოლკის შტაბის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მცოდნე ოფიცერი იყო, ის ყოველთვის წარმატებით



ასრულებდა საბროლო დავალებას, რისთვისაც დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა მეთაურთა და წითელარმიელთა შორის. გეგეშიძეს იცნობდნენ როგორც უნარიან, გონებამახვილ, მოხერხებულ და უშიშარ მეთაურს, დაზვერვის საქმის ოსტატს“. როგორც წარმატებული ოფიცერი ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო ცოდნის ასამაღლებლად მოსკოვში გაუგზავნიათ. მოსკოვში სწავლისას ბედმა მიხეილ გეგეშიძე მასწავლებელს გიორგი ჩიტაიას შეახვედრა. როგორც გიორგი ჩიტაია წერს, „მისი სურვილითა და ჩვენი ჩარევით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო შუამდგომლობით მოხერხდა მისი განთავისუფლება სამხედრო ვალდებულებიდან და დაბრუნება ასპირანტურაში“ (გ. ჩიტაია. მიხეილ გეგეშიძე. — გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად, ტომი V, თბ., 2001, გვ. 378).

მიხეილ გეგეშიძეზე დიდ იმედებს ამყარებდა გიორგი ჩიტაია. აი, რას წერდა ის დახასიათებაში, რომელიც 1956 წელსაა დაწერილი: „ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს მიხეილ კირილეს ძე გეგეშიძეს ვიცნობ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. როგორც სტუდენტობისას, ისევე ასპირანტურაში მუშაობის დროს მ. გეგეშიძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, სისტემატიური, მიზანდასახული მუშაობით და ნიჭით. პირველი საველე ნათვლა მიიღო დიდოეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, სადაც მან მეტად საყურადღებო მასალა შეაგროვა და დიდოური ენის შესწავლის ხაზით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია“. 1948 წლიდან მიხეილ გეგეშიძემ მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო ერთი წლით გვიან, 1949 წლიდან პედაგოგიური საქმიანობას შეუდგა იმ უნივერსიტეტში, რომელის სტუდენტიც გახლდათ ჯერ კიდევ ათი წლის წინ. 1951 წლის 1 იანვრიდან აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით მიხეილ გეგეშიძე გადაყვანილ იქნა

სამუშაოდ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

1951 წლიდან 1954 წლამდე მიხეილ გეგეშიძე განაგებდა სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას. 1954-1959 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი იყო. მუზეუმში მუშაობისას აქტიურ მონაწილეობას იღებდა გამოფენების მოწყობაში. ამის შესახებ 1956 წელს მისი მასწავლებელი გიორგი ჩიტაიაც აღნიშნავდა: „მ. გეგეშიძე ბოლო ხანებში პრაქტიკულად გაეცნო და ათთვისა სამუზეუმო მუშაობის მეთოდოლოგია და ტექნიკა, როგორც კამერალური, ისე საექსპოზიციო მუშაობის დარგში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენის მოწყობაში, შეადგინა და დაბეჭდა ამ გამოფენის მეგზური, მიიღო მონაწილეობა აგრეთვე საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობაში“.

მუზეუმში მუშაობისას შეთავსებით იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი — ლექციებს კითხულობდა ზოგად ეთნოგრაფიაში და სპეცკურსებს საქართველოს ეთნოგრაფიაში. 1954-1959 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი; 1956 წელს მიხეილ გეგეშიძე სამუშაოდ გადადის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 1961-1966 წლებში განაგებდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებას. 1966 წელს მოულოდნელად მიხეილ გეგეშიძე გადადგა აღნიშნული თანამდებობიდან (რის მიზეზადაც ჩვენთან პირად საუბარში ზოგიერთი მეცნიერის არაკოლექციონერული დამოკიდებულება დაასახელა). თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ



იქამდე კარგა ხნით ადრე მას გადადგომის შესახებ განცხადებები დაუწერია. პირველი მათგანი 1961 წლის 17 ოქტომბრითაა დათარიღებული; ის მიმართულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელზე. განცხადებაში ვკითხულობთ: „მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს თქვენს სახელზე შემოვიტანე განცხადება, რომელშიაც გთხოვდით ჩემს გათავისუფლებას ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების გამგის თანამდებობიდან. იმავე მოტივით განმეორებით გთხოვთ ჩემი განცხადების დაკმაყოფილებას. მოგახსენებთ, რომ ამ თანამდებობას მე არ ვასრულებ და ვერც შევასრულებ“. ოთხი წლის შემდეგ – 1965 წლის 28 მაისს – მიხეილ გეგეშიძე განყოფილების გამგის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკად. ნ. მუსხელიშვილს მიმართავს: „იბულებული ვარ შეგაწუხოთ: თქვენთვის ცნობილია, რომ მე დიდი ხანია დაავადებული ვარ. ამჟამად კი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ სერიოზულად მიძნელდება დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. უმორჩილესად გთხოვთ დამეხმაროთ, რომ მე გავთავისუფლდე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების გამგის თანამდებობიდან და იქვე გადაყვანილ ვიქნე უფროს მეცნიერ თანამშრომლად“. შეიძლებოდა მიხეილ გეგეშიძის თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებებს არც შევხებოდით, მაგრამ ეს აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ მისი ხასიათი წარმოგვეჩინა, ეს ხასიათი კი იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის მთავარი მეცნიერება იყო და არა თანამდებობა. ცოტა ხნის შემდეგ (1967 წელს) კი ინსტიტუტის იმჟამინდელი დირექტორის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის წინადადებით, ის სათავეში ჩაუდგა კონკრეტულ სოციოლოგიურ კვლევათა განყოფილებას. ცნობილია, რომ იქამდე საბჭოთა

კავშირში სოციოლოგია როგორც მეცნიერება აკრძალული იყო. ასე რომ, ბატონი მიხეილი საქართველოში სოციოლოგიის ჩამოყალიბების სათავეებთანაც იდგა. გარდაცვალებამდე (1982 წლის 22 დეკემბერი) მიხეილ გეგეშიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის პროფესორი გახლდათ. აქვე უნდა საზგასმით აღვნიშნო, რომ ბედმა გვარგუნა ამ შესანიშნავი ადამიანის, მეცნიერისა და პედაგოგის მოწაფეები ვყოფილიყავით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლების დროს. ბატონი მიხეილი სტუდენტებს არა მხოლოდ ეთნოლოგიის პრობლემურ საკითხებს გადასცემდა, არამედ – საქართველოს და მისი კულტურის დიდ სიყვარულსაც. მისთვის მეცნიერებასთან ერთად მთავარი იყო მკვლევარი სამშობლოს მოყვარული ყოფილიყო. როგორც ქალბატონი ჯულიეტა რუხაძე შენიშნავდა, „მშობლიური ბუნების სიდიადე ბუნებრივად გადადიოდა მის ნაშრომებში. მიხეილის კეთილი თვალები ადამიანისა და ბუნების სიყვარულით იყო გასხვივოსნებული და იგივე თვალები რისხვით ივსებოდა, როცა სიყალბესა და პირმოთნეობას შენიშნავდა“ (ჯ. რუხაძე. ეთნოგრაფიული გულანი, თბ., 2003, გვ. 139). არ პატიობდა არავის, ვის ნაწერებში მშობლიური კულტურის რაიმე ელემენტის მიჩქმალვის მცდელობას შენიშნავდა.

მიხეილ გეგეშიძემ საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ხალხური ტრანსპორტი“ 1949 წელს დაიცვა, ხოლო 1963 წელს – სადოქტორო დისერტაცია – „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში“. შემორჩენილია ბატონ მიხეილ გეგეშიძის სადოქტორო დისერტაციისათვის მსვლელობის მიცემის შესახებ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მცირე წერილი, რომელშიც ვკუთხულობთ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს. მე



გავეცანი ამხ. მ. გეგეშიძის სადისერტაციო ნაშრომს — „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა)“. ჩემი მოუცლელობა და ფიზიკური მდგომარეობა არის იმის მიზეზი, რომ რეცენზიის წარმოდგენა დამიგვიანდა. ეს ჩემი წინასწარული დასკვნა საბუთიანი მეჩვენება და არ ვვარაუდობ, რომ ის შეიცვლება ამ ნაშრომის ჩემ მიერ არსებითი შეფასების დროს (მისი ღირსება-ნაკლის შესახებ სამეცნიერო საბჭოს მოვასხენებ დისერტაციის დაცვისას). ჩემი დასკვნა კი ის არის, რომ ამხ. მ. გეგეშიძის ეს შრომა შესაფერის მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და ავტორის მიერ მისი სადისერტაციოდ გამოტანა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად გამართლებულია. რეცენზენტი აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი“. წერილი დათარიღებულია 1962 წლის 27 ნოემბრით. სხვათა შორის, ბატონ მიხეილს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მისი სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი იყო. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ბატონ ნიკო ბერძენიშვილს სადოქტორო დისერტაციაზე, უფრო სწორედ წიგნზე, რომელიც დასაცავად ჰქონდა წარმოდგენილი, ნიკო ბერძენიშვილს მინაწერები ჰქონდა გაკეთებული. მაშინ ნიკო ბერძენიშვილის არქივი უკვე ხელნაწერთა ინსტიტუტს ჰქონდა გადაცემული. მიხეილ გეგეშიძე აპირებდა ამ მინაწერებს გასცნობოდა, მაგრამ ჯანმრთელობის პერყვევის გამო ეს ვეღარ შესძლო.

მიხეილ გეგეშიძე იმ მეცნიერ-ეთნოლოგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლის ინტერესის სფერო ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ტრადიციის, წეს-ჩვეულებების მხოლოდ ერთი რომელიმე სფერო არ იყო. ის თანაბრად ფლობდა საქართველოსა და ზოგადი ეთნოლოგიის ყველა პრობლემას, ისეთ პრობლემებს, რომელთა შესახებაც მას არასდროს კვლევა არ უწარმოებია. ასეთად შეიძლება მაგალითად ქართველი ხალხის სუ-

ლიერი კულტურა დავასახელოთ. ჩვენთვის დღესაც დაუვიწყარია მისი პირველი ლექცია, რომელიც გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის ვერა ბარდაველიძის გარდაცვალებას დაემთხვა. ბატონმა მიხეილმა პირველივე ლექცია ვერა ბარდაველიძის შემოქმედებას მიუძღვნა, რომელსაც თავისი ძირითადი ნაშრომები ქართველი ხალხის მიერ შექმნილი სულიერი კულტურისადმი აქვს მიძღვნილი. პირველივე ლექციაზე მან არა მხოლოდ ვერა ბარდაველიძის გაკეთებული საქმენი გაგვაცნო სტუდენტებს, არამედ დაგვიხატა ის მდიდარი სულიერი კულტურა, რომელიც ჩვენ ხალხს ჰქონდა შექმნილი და ყველაფერ ამას ისე გადმოგვცემდა, რომ მოწიწების გრძნობა და სიყვარული გაგვჩენოდა როგორც განსვენებული მეცნიერის შემოქმედებდსადმი, ისე ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული სულიერი კულტურის მიმართ.

მიხეილ გეგეშიძის ნაშრომები ეხება საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიას, აგრეთვე ზოგადად კულტურის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს: სამეურნეო ყოფასა და კულტურას, მატერიალური კულტურას, ეთნიკურ კულტურასა და ტრადიციებს, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს, კონკრეტული სოციოლოგიის პრობლემებს და მთელ რიგ სხვა საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ გეგეშიძის ყველა ნაშრომი დაბეჭდილი არაა, გამოუქვეყნებელია ბევრი მისი მოხსენებაც, რომლებიც სხვადასხვა კონფერენციებზე ჰქონდა წაკითხული როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დაუბეჭდავი იყო მისი მოკლე და შემაჯამებელი ხელის მანქანაზე ნაბეჭდი (80 გვერდი) „ქართული ტრანსპორტის ისტორიისათვის“, რომელიც 1954 წელს დაუწერია და განკუთვნილი იყო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის. ეს ნაშრომი აკადემიკოს გიორგის მელიქიშვილის საწერ მაგიდაში ინახებოდა და მან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელშეწყობით ახლახან იხილა დღის



სინათლე. გამოსაცემია მისი სამაგალითოდ და შესანიშნავი კალიგრაფიით გადაწერილი ეთნოგრაფიული მასალები, რომელიც ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის სხვადასხვა საკითხს ეხება.

პროფესორ მიხეილ გეგეშიძეს ეკუთვნის მრავალი წერილი და რეცენზია. იგი ხშირად გამოდიოდა რეცენზიებით საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვაზე. გამოქვეყნებული აქვს რეცენზიები ეთნოლოგების ვერა ბარდაველიძის, ჯუანშერ სონღულაშვილის წიგნებზე. რეცენზიები აქვს დაბეჭდილი ცნობილი ბოტანიკოსის აკადემიკოსს ნიკო კეცხოველის წიგნებზე: „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“ და „საქართველოს მცენარეული საფარი“. ბატონი მიხეილი საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო სიახლეებს აცნობდა საკავშირო მკითხველს: მაგალითად, „Советская этнография“-ს 1952 წლის №2-ში გამოქვეყნებული აქვს სტატია თბილისში ჩატარებული კავკასიის ეთნოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილ რესპუბლიკათშორის კონფერენციის შესახებ. იმავე თემაზე დაუბეჭდავს ინფორმაცია 1950 წლის «Вопросы истории»-ს მე-ნომერში. „Советская этнография“-ს მკითხველი ეცნობოდა აგრეთვე ინფორმაციას საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენისა (1953, №1) და დაცული დისერტაციების შესახებ (1951, №3).

ქვემოთ მხოლოდ მიხეილ გეგეშიძის მეცნიერული მემკვიდრეობის რამდენიმე შტრიხს შევეხებით. პირველი დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა მიხეილ გეგეშიძემ 1956 წელს გამოაქვეყნა — „ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, სახმელეთო საზიდი საშუალებანი“. როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნი მხოლოდ სახმელეთო საზიდ საშუალებებს ეხება. მიხეილ გეგეშიძემ ამ ნაშრომში „დასვა და გადაწყვიტა ხალხური ტრანსპორტის შესწავლასთან დაკავშირებული ფრიად მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პრობლემები, რომელთაგან საგა-

ნგებო ყურადღება დაუთმო ბორბლის — მატერიალური კულტურის ამ დიდმნიშვნელოვანი ელემენტის — წარმოშობის საკითხს. საამისოდ მან შეისწავლა და კრიტიკულად განიხილა პრობლემის გარშემო არსებული ყველა თეორია და სამართლიანად მიუთითა, რომ თვით მატერიალური საწყისის მატარებელ თეორიებში ნაკლებად იყო გამოყენებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა“ (გ. ჩიტაია. მიხეილ გეგეშიძე. — გ. ჩიტაია. შრომები, ტომი V, გვ. 379). მეცნიერმა ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით გაარკვია კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტის — ბორბლის წარმოშობისა და განვითარების დამაჯერებელი სურათი.

ქართული ტრანსპორტის შესახებ არსებული ისტორიულიტერატურული ცნობების საფუძველზე მიხეილ გეგეშიძემ გაარკვია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე III ათასწლეულის ბოლოდან გამოყენებული იყო როგორც ორბორბლიანი, ისე ოთხბორბლიანი ტრანსპორტი. სრულიად სამართლიანად მკვლევარმა ურმის ანუ ორბორბლიანი საზიდის ეტლთან ანუ ოთხბორბლიან საზიდთან შედარებით ფართოდ განვითარება ბუნებრივ-გეოგრაფიული და ლანდშაფტური ფაქტორებით ახსნა. ეს ქართველმა გლეხმაც კარგად იცოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთ-ერთი მთხრობელის ნათქვამი (შიდა ქართლი, ქსნის ხეობის სოფელი ოძისი): „ორთვლიანი ურები ალაგობრივ შევიძლიან მოატრიალო, ოთხთვლიანს კი დიდი ადგილი უნდა. ჩვენ ვიწრო და გვერდა ადგილებში ის არ გამოდგება. მოსახვევში, თუ სულის საქცევი არ არი, წინა თვლებს კი მოაბრუნებ და ააცდენ რამეს, მაგრამ უკანებს ვერას უშველი, უთუოდ გამოედება“ (მ. გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, სახმელეთო საზიდი საშუალებანი, თბ., 1956, გვ. 35). ამით ხაზი ესმის იმ ფაქტს, რომ ქართველი ადამიანის ქმედება ყოველთვის. ბუნებასთან ურთიერთობით განისაზღვრებოდა. შესაბამისად, სადაც (მთა) და როდესაც (ზამთარი) საჭირო იყო



ის უბორბლო, თრევის პრინციპზე აგებულ საზიდ საშუალებას (მარხილს) იყენებდა. დადგინდა, რომ გამოყენების მიხედვით, ქართული ხალხური საზიდის როგორც უბორბლო, ისე ბორბლიანი სახეობები უნივერსალური იყო — ის სატვირთოც იყო და სამგზავროც. შესაბამისად ორბორბლიან საზიდ საშუალებას — ურემს ორი სახეობა გააჩნდა — საბარო და საძნე. ამ უკანასკნელით, როგორც სახელწოდებაც მიუთითებს, ძნა და თივა გადაჰქონდათ. შესაბამისად მას მაღალი ჭავლები გააჩნდა. საძნე ურემს იყენებდნენ აგრეთვე შორეული მგზავრობის დროს, მაგალითად, დღეობებზე წასვლისას, რის დროსაც ურემს ზემოდან ჩარდახს გადააფარებდნენ და იატაკს ხალიჩებითა და მუთაქებით ფარავდნენ.

მიხეილ გეგეშიძემ გაარკვია, რომ ქართველმა ხალხმა შექმნა გარდამავალი ზოლის — მთისწინეთ-ზეგნის — შერეული ტიპის საზიდი საშუალება, რომელშიც ბრუნვითი მოძრაობა შეხამებული იყო თრევა-სრიალთან. თავიდან ადგილებში სამუხრუჭე სისტემა ამოქმედებოდა ხოლმე. აღმოსავლეთ საქართველოში ის პოლითორიის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში — აჩა ურმის (ხონიალა ურემი, ფრჩხილებიანი ურემი...) სახით. ისევე როგორც ზენის დროს, სახმელეთო საზიდ საშუალებებშიც გამწვევ ძალას ხარი და კამჩი წარმოადგენდა. მიხეილ გეგეშიძემ გაარკვია, რომ ურემი, მართალია, ადგილობრივი დანიშნულების იყო, მაგრამ მას შედარებით ფართო გამოყენებაც ჰქონდა. ურემით იცოდნენ შორ მანძილზე სიარულიც. საამისოდ მიხეილ გეგეშიძეს მონოგრაფიაში ბევრი მაგალითი აქვს მოყვანილი, ერთ-ერთი კი იყო იმერეთიდან აჩა ურემით რაჭასა და ქართლში ქვევრებისა და ჭურების გადაზიდვა.

მიხეილ გეგეშიძე სახმელეთო საზიდ საშუალებებზე მონოგრაფიის წერისას იყენებდა საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში შეკრებილ ეთნოგრაფიულ

მონაცემებს, შესაბამისად წიგნში წარმოდგენილია მდიდარი ლექსიკა, რომელიც ამ სატრანსპორტო საშუალებასთან იყო დაკავშირებული. ასეთი ლექსიკური ერთეულები კი თანამედროვე ქართული ენიდან კარგა ხანია უკვე გამქრალია. მარტო ორბორბლიანი ურემი 25 ნაწილისაგან შედგებოდა და ყველა მათგანს შესატყვისი სახელწოდება ჰქონდა; აი, ზოგიერთი მათგანი: *ფერსო, სოლი, ულელო, ტაბიკი, საქედური, აპური, კოფო, სარეკე, მორგვი, დანდალი, ღერძი, ჭიჭილაქი, თათები, ჭავლი, ზეწარი, კონკილა, ხელნა, ლეკვი, ყვერნა...*

მიხეილ გეგეშიძეს საქართველოს ყველანაირი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომიც დაუწერია — „ტრანსპორტის ისტორიისათვის საქართველოში“. მას ილუსტრაციებიც ახლავს. ის ხელისმანქანაზე ნაბეჭდი 73 გვერდისაგან შედგება და 2018 წელს იხილა დღის სინთლე-ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის გარდაცვალების შემდეგ კანცელარიის გამგემ მთხოვა, მის მაგიდაში არსებული მასალების დალაგებაში დაეხმარებოდი. ეს ნაშრომი სწორედ ბატონ გიორგი მელიქიშვილის მაგიდაში აღმოჩნდა. ნაშრომს ახლავს ქვესათაური: „მასალები საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის“. ის დათარიღებულია 1954 წლით. როგორც ჩანს, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობისას, ინსტიტუტის სხვადასხვა თანამშრომლებს დაავალეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე შესაბამისი ნაშრომების მომზადება, რათა ავტორთა კოლექტივს ის გამოეყენებინა. ბუნებრივია, დასახელებულ ნაშრომში წყლის სატრანსპორტო საშუალებებზეცაა მსჯელობა.

მეორე დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა მიხეილ გეგეშიძემ ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფას მიუძღვნა, კერძოდ სარწყავ მიწათმოქმედებას (მ. გეგეშიძე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა), თბ., 1961). მიხეილ გეგეშიძემ ამ მონოგრაფიაში



მრავალი საკითხი გააშუქა, რომელთაგან აღსანიშნავია ის, რომ:  
ა. სარწყავი საშუალებანი საქართველოს მიწათმოქმედებისათვის დამხმარე ღონისძიება იყო და არა აუცილებელი პირობა, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში; ბ. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში გარედან შემოტანილი კი არაა, როგორც აქამდე ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა, არამედ აქაა ჩასახული და განვითარებული, ის ნასესხები არ არის; გ. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში ჩასახულია მთისწინა ზოლში, საიდანაც ის გავრცელდა მთასა და დაბლობში; დ. რთული სარწყავი სამეურნეო კულტურა ქართველი ხალხის ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაა შექმნილი. ავტორი საფუძვლიანად უარყოფს სარწყავი მიწათმოქმედების ირანიდან შემოტანის შესაძლებლობას, თუმცა ირანის გავლენასაც არ გამორიცხავს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული და თანამედროვე ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში, სადაც სახელმწიფო იყო დიდი სარწყავი არხების გაყვანის ინიციატორი და განმასრუციებელი. მიხეილ გეგეშიძის ამ დებულებებს აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევად მიიჩნევდა (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1971, გვ. 290). დასაბუთებულია, რომ მორწყვის მაღალი დონე საქართველოს მიწათმოქმედების ინტენსიურობის დამადასტურებელია, განსაკუთრებით მევენახეობასა და მემინდვრეობაში. მეცნიერის დებულება, რომ კულტურულ მცენარეთა შექმნა-დამკვიდრების საქმეში წყალს, ხელოვნურ მორწყვას, განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული, სრულიად არგუმენტირებულია და რომ სარწყავმა მიწათმოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ეკონომიკურ განვითარებაში. მონოგრაფიაში ხაზი აქვს გასმული და სათანადოდაა დასაბუთებული, რომ

მთისწინეთში თუ სარწყავი არხები/რუბი სოფლის/თემის ერთობლივი ძალისხმევით კეთდებოდა და ის ერთობლივადაც უკლიდა მას, ბარის/ველის პირობებში სარწყავი არხები სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შედეგად კეთდებოდა. საამისო პირველი ცნობა კი „მოქცევაი ქართლისა“-შია დაცული, როდესაც ქსნიდნ არხის გამოყვანაზეა საუბარი. პირველად ქართულ მეცნიერებაში მიხეილ გეგეშიძემ მიაქცია იმ ფაქტს ყურადღება, რომ დასავლეთ საქართველს მთაში, კონკრეტულად კი სვანეთში, ირწყვებოდა არა სახნავი მიწები, არამედ სათიბები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მეორედ მოთიბვის საშუალებას აძლევდა (ანალოგიური ტრადიცია შავშეთ-იმერხეშიც არსებობდა).

მიხეილ გეგეშიძის გამოკვლევა მხოლოდ ეთნოგრაფიულ მასალებს როდი ეყრდნობა, ის ემყარება აგრეთვე ისტორიულ, არქეოლოგიურ, ენობრივ, ბუნებისმეტყველებით და სხვა მონაცემებს. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, დაწვრილებით არის დახასიათებული მორწყვის ხალხური ხერხები და წყლის სამეურნეო გამოყენების თავისებურებანი ქართლ-კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, კოლხეთის დაბლობისა და ზემო სვანეთის მაგალითზე. გამოვლენილია მთის სარწყავი მიწათმოქმედების ისტორიული თავისებურებანი და ხეობათა მიხედვით განვითარების სპეციფიკა, ტერასული მორწყვის ხასიათი, ბარის ხალხური საირიგაციო ტექნიკა. აღნიშნული მონოგრაფია იმდენად დიდმნიშვნელოვანია ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისთვის, რომ 1990 წელს მისი სრული თარგმანი რუსულ ენაზედაც გამოქვეყნდა (Гегешидзе М. Орошаемое земледелие в Грузии (опыт историко-этнографического исследования), Тб., 1990.-269 с.).

მიხეილ გეგეშიძემ დიდი წვლილი შეიტანა ეთნოლოგიის თეორიული პრობლემების შესწავლაში. ამ პრობლემას მისი მონოგრაფიული გამოკვლევა – „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“ – მიეძღვნა, რომელიც 1978 წელს დაიბეჭდა. წიგნის



დიდი მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ ის არა მხოლოდ თეორიულ, არამედ მეთოდურ-პრაქტიკულ საკითხებსაც ეხება, აგრეთვე შესანიშნავი სახელმძღვანელოცაა ეთნოსის, ეთნიკური კულტურის, ტრადიციების რაობის შესახებ. შეუძლებელია ავტორს არ დავეუთანხმოთ, რომ „ეთნიკური კულტურის საერთო მოცულობაში ეთნიკურ ტრადიციებს მთავარი ადგილი უჭირავს“ (მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 5). ავტორი ვრცლად მსჯელობს ტრადიციაზე, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს და რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს, ძალზე ძველი და ახალიც, ახლად წარმოქმნილიც. იქვე მოცემულია „ტრადიციული საზოგადოების“ განმარტებაც: „ტრადიციულ საზოგადოებებს“ უწოდებენ ისეთ ტომებს და ხალხებს, რომელთა სოციალური ცხოვრება თითქმის მთლიანად ხანგრძლივად მდგრად ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებზე და წესებზეა დაფუძნებული“ (მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 7). მაგრამ არსებობდნენ ისეთი ხალხებიც, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები წინსვლას განიცდიდა, მაგრამ ამავე დროს მის ცხოვრებაში ტრადიციული ზნე-ჩვეულებებიც მრავლად იყო შემონახული, რომელთა საუკეთესო ნაწილს მისი მატარებელი ხალხი უფრთხილდებოდა. საქართველო სწორედ ასეთი დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანა გახლდათ. მაგრამ ქართველი ხალხი არ იყო „ტრადიციული საზოგადოება“ ზემოხსენებული მნიშვნელობით, რადგან მას ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ცივილიზაციური განვითარების რთული გზა აქვს განვლილი. აქედან გამომდინარე მეცნიერი სრულიად საფუძვლიანად მთელი რიგი ქართული ტრადიციების შენარჩუნებასა და ახალი ცხოვრების პირობებში მის პარმონიულ თანაარსებობას ასაფუძვლებს.

დასახელებულ ნაშრომში მიხეილ გეგეშიძე ვრცლად მსჯელობს ეთნოსის რაობის შესახებ და სრულიად სამართლიანად მას ეთნოგენეზის საკითხსაც უკავშირებს, აღნიშნავს, რომ

59901

ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას არა მხოლოდ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, არამედ მიმდინარე თანამედროვე პროცესების გაგებაშიც გვეხმარება. ამავე დროს, ეთნოსის თეორიულ საკითხებზე მსჯელობა მიხეილ გეგეშიძეს შესაძლებლობას აძლევდა კონკრეტულად ქართულ ეთნოსის შესახებაც მნიშვნელოვანი დასკვნები გაეკეთებინა, რომ ტერმინები „ტომი“, „თესლი“, „ნათესავი“, „ერი“ ეთნოსის შემცველი ქართული ტერმინებია და რომ „ქართულ-ზანურ-სვანური ენების მატარებელი ჯგუფები გენეტიკურად განსხვავებული ეთნიკური ერთობანი კი არ ყოფილან ცალკე ტომობრივ-ეთნიკური წარმოშობის ჯგუფების სახით, არამედ ერთი ეთნოსის ტერიტორიული განფენებანი“ (მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., გვ. 39).

მონოგრაფიაში ცალკე მონაკვეთი ეთმობა ეთნოსისა და ენის ურთიერთიმართების პრობლემას. აქ ავტორი კითხვას სვამს: ერთი ქართველური ენიდან სამი ენა – ქართული, ზანური და სვანური – მივიღეთ, შესაბამისად ერთი ქართველური ეთნიკური ერთობიდან სამი ეთნიკური ერთობა რატომ არ წარმოიქმნა? და პასუხობს: „სინამდვილეში ეს არ მომხდარა და ქართველ-ჭანებიც და სვანებიც ყოველთვის იყვნენ და არიან ერთი ქართული ეთნოსის ნაწილები. ამ მოვლენის შეცნობა-შეფასებაში საჭიროა უფრო ფართო კულტურულ-ისტორიული თვალთახედვის გამოყენება, რომელიც ენობრივ ასპექტსაც მოიცავს, მაგრამ წინა პლანზე წამოსწევს განსაზღვრულ ბუნებრივ არეალში სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის კონკრეტულ და ზოგად თავისებურებებს, რომლის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო ადამიანთა გარკვეული ჯგუფის (ჯგუფების) მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურა, ე. ი. ყოფა და კულტურა ფართო მნიშვნელობით. ყოფა და კულტურა კი, როგორც ვიცით, ეთნიკური ერთობის რაობის განმსაზღვრელია“

ი. ჯაკაბიშვილის ...  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
ბ ბ ლ ი ო თ ე კ ა



(მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 58). ვფიქრობთ, რომ მიხეილ გეგეშიძემ ქართული ეთნოსის ერთობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები კარგად შენიშნა და ამ მიზეზების მთელი რიგი საისტორიო და ეთნოლოგიური ფაქტებით შემაგრება ადვილი შესაძლებელია.

განსახილველ წიგნში ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებსაც დიდი ყურადღება მიექცა. ფაქტობრივად ეს საკითხი ქართულ ეთნოლოგიაში პირველად მიხეილ გეგეშიძემ დასვა. დიას, სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული ეთნოსის განვითარება ბუნებრივი ფაქტორებით იყო განპირობებული.

ვრცლად შეეხო მიხეილ გეგეშიძე ეთნიკური ნომენკლატურისა და კონკრეტულად ქართული ეთნიკური ნომენკლატურის საკითხებსაც, რომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ „ხევსურ ხალხზე“, „ქართლელ ხალხზე“, „იმერელ ხალხზე“, „სვან ხალხზე“, „აჭარელ ხალხზე“, რასაც ცდილობდნენ XIX საუკუნეში ჩვენი ერის არაკეთილმსურველნი. ქართველები ერთ ეთნოსს, ერთ ხალხს წარმოადგენენ და მისი ცალკეული ნაწილების ხალხებად მოხსენიება ქართველი ერის დაშლისაკენ მიმართული ქმედებაა. იქვე გვასხენებს იმ ფაქტს, რომ ქართული საისტორიო წყაროები ერთიანი ეთნოსის ტერიტორიულ ერთეულებს „თემებს“ უწოდებდნენ. სრულიად იზიარებს ივანე ჯავახიშვილის დებულებას, რომ „ქართველი ერი ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობის მქონებული ეროვნება“. ბუნებრივია, მიხეილ გეგეშიძე მეცნიერული არგუმენტებით ასაბუთებდა კიდევ ერთი ეთნიკური ტერმინის „ტომის“ ნეგატიურობას თანამედროვე ხალხების დანაყოფების სახელდებისას, რადგან სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ „ტომი“ პირველყოფილი საზოგადოების ეთნოსია. ამის გამო, ის მოითხოვდა ფართო დანი-

შნულების საცნობარო ლიტერატურაზე კონტროლის გაძლიერებას (მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 126).

მიხეილ გეგეშიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი მოზრდილი სამეცნიერო სტატია „აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობების შესახებ“, რომელიც მონოგრაფიის ტოლფარდია. ივანე ჯავახიშვილის შემდეგ მიხეილ გეგეშიძე პირველი იყო, რომელიც ამ პრობლემას მთელი სისრულით შეეხო. მასში განხილულია ხალხისა და ბუნების ურთიერთმიმართების პრობლემა და ის მან განუყრელ კავშირში წარმოადგინა. მთის, მთისწინეთისა და ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მუდმივი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის მჭიდრო ინტეგრაციის ერთ-ერთი დიდი საფუძველი იყო, მიხეილ გეგეშიძემ ახალი ეთნოგრაფიული მონაცემებით შეავსო. ნაშრომში ხაზია აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი საუკუნეების განმავლობაში უაღრესად მჭიდრო იყო და ის XIX საუკუნეში არ ჩამოყალიბებულა. ამის საფუძველზე ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაცია ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე რეალურ ფაქტს წარმოადგენდა და, რომ „ყველა თემს შესაძლო და შესაფერისი წვლილი შეჰქონდა საერთო ქართული („სრულიად საქართველოს“) სამეურნეო კულტურის განვითარებაში“ (მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობების შესახებ. — მაცნე, ისტორიის... სერია, №2, 1972, გვ. 55).

ქართულ ეთნოლოგიაში მიხეილ გეგეშიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ხალხური ეკოლოგიის პრობლემებს, რადგან მიაჩნდა, რომ ამ სფეროში ხალხში დაგროვილი ცოდნა აუცილებლად უნდა გამოყენებულიყო პრაქტიკაში. ამ პრობლემას



მეცნიერმა მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა (მ. გეგეშიძე-ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1981). ნაშრომში, რომელიც ემყარება ისტორიულ, სოციალ-კულტურულ-ეკონომიკურ, საბუნებისმეტყველო და სხვა ხასიათის წერილობით მასალასა და ეთნო-კულტურული ტრადიციების მრავალფეროვან მონაცემებს, დასმული პრობლემები განიხილება საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების ისტორიული განვითარების ფონზე, წინ არის წამოწეული სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის ხანგრძლივ პროცესში ბუნებრივ-საწარმოო ძალებთან აქტიური დამოკიდებულების სპეციფიკა და ამ საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ცოდნა და ეკოლოგიური კულტურა. აქ მხოლოდ წიგნის მონაკვეთებისა და ზოგიერთი ქვემონაკვეთის სათაურების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით. პირველი თავი, რომლის სათაურია „ეთნიკური ყოფა და ეკოლოგიური სისტემა“, შედგება შემდეგი პარაგრაფებისაგან: ეკოლოგიური კვლევის ზოგადი ამოცანები, ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფა და ეკოლოგიურ თავისებურებებთან მიმართებაში; გეობოტანიკური კონცეფცია ვახუშტი ბაგრატიონის, აკად. ივ. ჯავახიშვილის და აკად. ნ. კეცხოველის შრომებში; საქართველოს ეკოლოგიური თავისებურებანი მოგზაურთა შთაბეჭდილებებში. მეორე თავი ეხება ხალხური ეკოლოგიის ცოდნასა და მეურნეობრივი კულტურის საკითხებს, მესამე თავი – ეკოლოგიურ ასპექტებს სოფლის დასახლებათა კულტურულ-ისტორიულ ტიპოლოგიაში, მეოთხე თავი – თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებისა და სამეურნეო-საწარმოო ტრადიციების რეგიონალურ პრობლემებს. ამ მნიშვნელოვანი გამოკვლევებიდან მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდებით; ესაა სვანური კომპის ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შესახებ, რისთვისაც იქამდე მეცნიერებს ყურადღება არ ჰქონდათ მიქცეული. მიხეილ გეგეშიძემ უცილობლად დაადასტურა, რომ სვანური კომპის (თანამედროვეთა მიერ სვანეთში 320 კომპია დათვლილი)

უმთავარესი ფუნქცია ზვავების შეჩერება იყო: „ასეთ დასახლებებს ბუნების სტიქიის უშუალო საშიშ ზოლში ადამიანის მხრიდან სათანადო სიფრთხილე უნდა მოეთხოვა და ამიტომ მიგვაჩნია, რომ კომპთა სიმრავლე ზემო სვანეთში დიდთოვლიანობის, თოვლის ზვავობის, მეწყერებისა და აგრეთვე ღვარცოფებისაგან თავდაცვის პროფილაქტიკით ნაკარნახევი უძველესი ტრადიციების გამოხატულება და უპირველესი ფუნქცია უნდა იყოს, საბრძოლო ფუნქცია კი მეორადი და ნაწილობრივი“ (მ. გეგეშიძე-ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1981, გვ. 91-92). საამისოდ მეცნიერი სვანური კომპების ტექნიკურ-საინჟინრო თვალსაზრისით შესწავლა-შეფასებას მოითხოვდა. მიხეილ გეგეშიძის აღნიშნული არგუმენტირებული მოსაზრებები შემდეგ ცხოვრებამ – 1987 წელს აქ მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ დაადასტურა – ის სახლები გადაურჩა ზვავებს, რომლებსაც კომპები იცავდა. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ სვანური კომპის მდგრადობას ზვავების მიმართ მისი კვერცხისებური საძირკველი განაპირობებს. ზვავისა და მეწყერის დროს კომპი მხოლოდ ირყეოდა, მოძრაობდა. 1987 წელს ადგილობრივთა თქმით, ზვავი მიეხეთქა კომპს და მისმა კუთხემ აისხლიტა, შუაზე გაყო უზარმაზარი მასა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგივე ფუნქცია გააჩნდა შიდა ქართლის მთიანეთის ე. წ. ზურგიან კომპებს. მიხეილ გეგეშიძის კვლევას სვანური კომპების ფუნქციის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი ბიძგი მისცა ვახუშტი ბაგრატიონის ნათქვამმა ჩრდილოეთკავკასიური ანალოგიური ნაგებობების შესახებ: „გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კომპსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ აღარა ეკვეთის, გარნა ავიდის რა კაცი კომპსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დვას მტკიცედ“ (ვ. ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის



ცხოვრება, ტომი IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 640). ამ საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელი არ გავიხსენო შეძღვევი: პირველად სვანური კოშკების ძირითადი ფუნქციის შესახებ (რა თქმა უნდა, ბატონი მიხეილი მის მეორე — თავდაცვით ფუნქციასაც აღნიშნავდა) მან მოხსენება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა. მაშინ, სამწუხაროდ, მის მოხსენებას არ დავსწრებივარ, მაგრამ შინაარსი მალევე განმაურდა და ბევრი მოქილიკეც გაჩნდა, განსაკუთრებით მათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ეთნოლოგიაში გვაროვნულობის თეორიის გავლენის ქვეშ კვლავ რჩებოდა, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ეს ნაგებობანი გვაროვნული წყობილების დროს წარმოიქმნა, როდესაც ერთი გვარი მეორე გვარს ესხმოდა თავს. ბატონი მიხეილის უკვე გვიან გამოქვეყნებულ ნაშრომში კოშკების შესახებ, დასაბუთებულია, რომ სვანეთში არც გვაროვნული წყობილება ყოფილა და კოშკური კულტურა არც იმდროინდელი ნაგებობას წარმოადგენდა.

მიხეილ გეგეშიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს ონომასტიკაც წარმოადგენდა, სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ მისი ნაშრომები ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკის, ტოპონიმ „კოჟორის“ შესახებ. არაერთი ნაშრომი აქვს ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის შესახებ რუსულ ენაზე დაწერილი, რომელთა შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ «Народы Кавказа», т. II. (1962)-ში დაბეჭდილი მისი ნარკვევები. ონომასტიკის სფეროში ბატონი მიხეილის ძალიან მაღალი ცოდნის დონე ჩანს მის ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელიც ზემოხსენებულ ნაშრომთან — „ტრანსპორტის ისტორიისათვის საქართველოში“ — ერთად აღმოჩნდა ბატონ გიორგი მელიქიშვილის საწერ მაგიდაში. ზემოთ იხილეთ ითქვა, რომ ბატონი გიორგი მელიქიშვილის ინიციატივით, ის ისტორიის ინსტიტუტში სათავეში ჩაუდგა კონკრეტულ სოციალურ

კვლევა-ძიების ლაბორატორიას. მაგრამ უფრო ადრე ინსტიტუტის დირექტორი მიხეილ გეგეშიძეს სთავაზობდა ონომასტიკის კაბინეტის შექმნას. მიხეილ გეგეშიძეს კაბინეტის შექმნის პრინციპები და საქართველოში ონომასტიკური სამეცნიერო კვლევების მეთოდოლოგიური პრინციპებიც შეუმუშავებია — „ონომასტიკის შესწავლის გაფართოების შესახებ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში“. ამ სფეროში მიხეილ გეგეშიძის დიდი ცოდნის დასადასტურებლად მისი ხელნაწერიდან რამდენიმე ამონარიდს მივიყვანთ: „ონომასტიკა, განსაკუთრებით კი ტოპონიმიკა დიდი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტია. ამავე გაგებით იგი არის ენობრივი, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სხვ. ხასიათის ფაქტი. ამის მიხედვით იქმნება ტოპონიმიკის შესწავლის ცალკე მეცნიერული, დარგობრივი ასპექტები. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ისტორიული ასპექტი. ტოპონიმიკა განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო, რომელიც ხშირად ერთადერთი საშუალებაა ისტორიის ურთულესი პრობლემების სიზუსტით გასაშუქებლად“; „ტოპონიმიის, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობას პირველ რიგში ის განსაზღვრავს, რომ ტოპონიმია საზოგადოებრივი მოვლენა და მას შეუძლიან ასახოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების სურათი, საწარმოო ძალთა განვითარების დონე, ამასთან — ხალხის აზროვნებისა და შემოქმედების თავისებურებანი და განვითარების ისტორია. ტოპონიმიკური მასალა ეთნოგენეტიკური კვლევის საიმედო დასაყრდენია და, საერთოდ, ეთნიკური ისტორიის მნიშვნელოვანი საფუძველი. ტოპონიმია, როგორც კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს სოციალური პროდუქტი, მეურნეობის და მატერიალური კულტურის ისტორიის, ასევე სოციალური და იდეოლოგიის ისტორიის ძვირფასი წყაროა. ტოპონიმია, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, თან სდევს ხანგრ-



ძლივ ისტორიას და დღევანდელ ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელდების თანამედროვე პროცესები, ცვლილებები და ახალი შემოქმედება“. მიხეილ გეგეშიძის სახელმძღვანელო დებულებებს როცა კითხულობ, სინანული გეუფლება, რომ ასეთი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული აღარ შექმნა, რადგან საქართველოში და კონკრეტულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგ შექმნილი ონომასტიკური ლაბორატორია მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით იკვლევდა ქართულ ტოპონიმებს, ანთროპონიმებსა და ეთნონიმებს და ისტორიის სფეროში შეჭრილ ონომატოლოგებს ზოგჯერ არამეცნიერული, ზოგჯერ კი ანტიქართული დასკვნებიც გამოჰქონდათ. ბატონი მიხეილი წერდა: „თუ საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებისა და ისტორიული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით ვიმსჯელებთ, შეიძლება დაგუშვათ, რომ საქართველოს ონომასტიკას ცალკე პრობლემატიკა ჰქონდეს, სხვაგვარად — შეიძლება არსებობდეს ონომასტიკური პრობლემატიკა, რომელიც პირველ რიგში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას დაუკავშირდება და მას შეუწყობს ხელს“. კითხულობ მიხეილ გეგეშიძის წერილს ონომასტიკის შესახებ და გინდა, რომ სხვა ვრცელი ამონარიდებიც მოიყვანო. მისი დაბეჭვდა აუცილებლობად მიგვაჩნია და მკითხველი მის შესახებ სრულ წარმოდგენას მაშინ შეიქმნის, როდესაც ის გამოქვეყნდება.

ზემოთ ითქვა, რომ მიხეილ გეგეშიძემ თავისი ცხოვრების ბოლო 16 წელი სოციოლოგიას დაუთმო (ისტორიის ინსტიტუტში სოციოლოგიის განყოფილებას 1967 წლის დასაწყისიდან ხელმძღვანელობდა). ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამით ქართული ეთნოლოგია გარკვეულად დაზარალდა. მაგრამ როგორც ეთნოლოგს აქაც არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა. ისტორიის ინსტიტუტში სოციოლოგიის გა-

სყოფილების გახსნა ითვალისწინებდა თანამედროვე სოციალური მოვლენების ისტორიული განვითარების კონტექსტში გაანალიზებას. კონკრეტულ სოციალურ კვლევა-ძიებათა განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობის დროს მან პირველმა სცადა დაეკავშირებინა ეთნოლოგია და სოციოლოგია. მიხეილ გეგეშიძის მიერ მოწყობილ სოციოლოგიურ ექსპედიციებში ყოველთვის ეთნოლოგებიც იყვნენ ჩართული. ეს პატივი ჩვენც გვხვდა. ექსპედიციაში ბატონ მიხეილთან ყოფნა მისი მონაწილეებისათვის ცოდნის გამდიდრების საშუალება იყო. ახლადშექმნილ სოციოლოგიურ განყოფილებაში რამდენიმე ეთნოლოგიც იქნა ჩართულ (აკაკი კაცაძე, მზია ბექაია...) ამასთან, საკვებით მართებულად აიღო გეზი საქართველოს მთის რეგიონების სოციალური განვითარების პრობლემების კომპლექსური კვლევის მიმართულებით. ფაქტობრივად ეს იყო თანამედროვეობის ეთნოგრაფიული შესწავლა. სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა ექსპედიციებში სოციოლოგებთან ერთად ეთნოლოგების ჩართვა. მიხეილ გეგეშიძემ პირველმა ქართველ მეცნიერთა შორის გამოიყენა კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევათა მეთოდები საქართველოს მთის რეგიონთა სოციალური განვითარების პრობლემათა შესასწავლად. მიხეილ გეგეშიძისათვის როგორც სოციოლოგისათვის მთავარი იყო არა მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ არსებული საზოგადოებრივი აზრის დაფიქსირება, არამედ იმის გამოკვლევა, თუ რამ აღმოაცენა ესა თუ ის საზოგადოებრივი აზრი. სოციოლოგებისაგან ის მოითხოვდა, რომ კონკრეტული სოციოლოგიური კვლევები დაფუძნებული უნდა ყოფილიყო არა მარტო ზოგადთეორიულ თეორიებზე, არამედ სპეციალურ თეორიაზეც, რომელიც ამყარებს კავშირს ზოგად თეორიასა და რომელიმე მოვლენის კონკრეტულ შესწავლას შორის. ეს კი უნდა დაქვემდებარებოდა რაოდენობრივ გაზომვასა და ემპირულ შემოწმებას. მიხეილ გეგეშიძის გამოცდილებისა და დიდი ალღოს შედეგი გახლდათ ის, რომ არ მოხდა ორი მეცნიერების ხელოვნური სიბზიოზი.



მიხეილ გეგეშიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადამიანისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ურთიერთობის პრობლემებს. მას ამ საკითხზე რამდენიმე ნაშრომი აქვს დაბეჭდილი: „გეოგრაფიული გარემო და საზოგადოებრივი განვითარება (ზოგადი და კერძო საკითხები)“ (1968), „საქართველოს ვერტიკალური ზონალობა და შინაგანი კულტურულ-სამეურნეო ურთიერთკავშირები ქართველ მეცნიერთა კონცეფციებში“ (1967). 1978 წელს ბატონმა მიხეილმა მოსკოვში საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება – „სასოფლო-სამეურნეო ბუნებითსარგებლობის ხალხური საწარმოო ტრადიციების რაციონალიზაციის შესახებ“, რომელიც მოსკოვშივე, ამ თემისასადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა. თუ ამ ნაშრომების სათაურებს დავაკვირდებით, აშკარაა, რომ მიხეილ გეგეშიძე ცდილობდა ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფა თანამედროვეობის სამსახურში ჩაეყენებინა და წარმოეჩინა ეთნოლოგიური მეცნიერების აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ მიზნით იკვლევდა ის ტრადიციებს. ცნობილია, რომ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების კვლევა ეთნიკური ტრადიციების მოქმედი ფუნქციების თანამედროვე სოციალურ გაზომვებსაც ითვალისწინებს.

ამრიგად, მიხეილ გეგეშიძის მეცნიერული ინტერესების სფერო ფართო და თემატურად მრავალფეროვანი იყო. მკვლევარის მეცნიერული დაკვირვების სფეროში შედიოდა ქართველი ხალხის ყოფითი კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიული და თანამედროვე პროცესების, ეთნო-ისტორიული და ეთნოკულტურული ისტორიის, მატერიალური კულტურის, ტექნიკის, სამეურნეო ყოფის ისტორიის, სოციალურ ურთიერთობათა და სხვა პრობლემები. ერთადერთი სფერო, რომელზედაც მას სამეცნიერო ნაშრომები არ შეუქმნია, ესაა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის პრობლემები, ქართველთა რწმენა-წარმოდგენები. მაგრამ ამ სფეროში წაკუთხული მისი ლექციები გამორჩეული და ორიგინალური

იყო. ჩვენ თავს ვერ ვიდებთ შევაფასოთ მიხეილ გეგეშიძის მემკვიდრეობა კონკრეტულ-სოციალურ კვლევა-ძიებათა სფეროში, მაგრამ ამ დარგშიც მისი შემოქმედება, როგორც არაერთგზის აღნიშნულა მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა და მოწაფეების კვალიფიკაციაც ამას ადასტურებს. კონკრეტულ სოციოლოგიური ხასიათის შრომებს მიეკუთვნება მ. გეგეშიძის ნაშრომი „წყალი და სოციოსფერა“. ამ სათაურით მან მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო სოციოლოგიურ კონგრესზე 1970 წელს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში. ნაშრომი ეძღვნება ადამიანის მიერ წყლის როგორც ბუნებრივი და საზოგადოებრივი საწარმოო ძალის გამოყენების თავისებურებებს. გაანალიზებულია ირიგაციის სფეროში საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკა, წარმოჩენილია წყლის საზოგადოებრივ-მორგანიზებელი, მამობილიზებელი და მასტიმულირებელი სამეურნეო (საირიგაციო) ძალა.

ასეთია მიხეილ გეგეშიძის შემოქმედების სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხი. მისი მეცნიერული მემკვიდრეობის სრულყოფილი კვლევა მომავლის საქმედ მიგვაჩნია, მას შემდეგ რაც დატოვებული არქივის შესწავლა მოხდება, სადაც სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად სავსე ეთნოგრაფიული მასალებიც იქნება. ერთი ასეთი საარქივო მასალა ბატონი მიხეილის ლამაზი კალიგრაფიით გადაწერილი ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივშია დაცული და ის რაჭის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მოპოვებულ მასალებს მოიცავს ქართველი ხალხის ხალხური შემოქმედების ყველა სფეროში. დასაბეჭდია სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების, დისერტაციების შესახებ მის მიერ დაწერილი რეცენზიებიც. მისი რეცენზიები მეცნიერული ჭეშმარიტების მაღალკვალიფიციურობით, პრინციპულობით და შეუვალობით გამოირჩეოდა.

მიხეილ გეგეშიძე აქტიურ სამეცნიერო-ორგანიზიული საქმიანობითაც იყო გამორჩეული. ის იყო თბილისის სახელმწიფო



უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების ეთნოგრაფიის სექციას, მიწვეული იყო მუდმივმოქმედ კომისიებში, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებულ ეთნოგრაფიულ კომისიაში.

მიხეილ გეგეშიძე უაღრესად კაცთმოყვარე ადამიანი გახლდათ. ის იყო მიმტევებელი, მაგრამ შეურიგებელი იყო იმ ადამიანების მიმართ, ვინც ნებისთ თუ უნებლიედ საქართველოს საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდა. მისი კაცთმოყვარეობა კარგად ჩანს გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ ნარკვევში, რომელშიც იხსენებს და ახასიათებს იმ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ასწავლიდნენ 1935-1939 წლებში. საყურადღებოა, რომ მისი თხრობა მიყვება ჩათვლის წიგნაკს. რაოდენი სიყვარული, მოწიწება და პატივისცემა ჩანს იმ ლექტორების მიმართ, რომლებიც მას მეცნიერების საფუძვლებს ასწავლიდნენ, იგივე დამოკიდებულება ჩანს საყვარელი უნივერსიტეტის მიმართ. აი, რას წერს პროფესორების შესახებ: „როდესაც მათს ხელმოწერას დავცქერი ძალაუნებურად ცოცხლდება ჩემს თვალწინ მათი სახეები, გარეგნობა, ხასიათი, ხმა და ინტონაცია, ჟესტიკულაცია და, წარმოიდგინეთ, ჩაცმულობაც და მოძრაობის მანერაც კი, ასევე მათი სულ ახლო გამობედვა და საუბარი საგნის ჩაბარების დროს“ (მ. გეგეშიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (30-იანი წლების მეორე ნახევარი). — მაცნე, ისტორიის... სერია, №4, 1983, გვ. 159). ამავე მოგონებებიდან აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილი მონაკვეთიც უნდა მოვიხმო: „მეთხე კურსის პირველ სემესტრში მოვისმინეთ ლექციების კურსი კავკასიის ეთნოგრაფიაში, წავვიკითხა იგი პროფ. გ. ჩიტაიამ. ... ლექციების მსვლელობაში თანდათან სულ უფრო ნათელი ხდებოდა ამ საგნის მასშტაბი და მნიშვნელობა.

... ლექციებს მეტად საინტერესოს ხდიდა ხალხის ცხოვრებიდან აღებული უაღრესად კონკრეტული და თვალსაჩინო მაგალითები, რასც ფართოდ იყენებდა გ. ჩიტაია. ამ საგანში გამოცდამაც საინტერესოდ ჩაიარა. პირადად ჩემთვის კი, როგორც ჩანს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ შემდგომში ჩემი საქმიანობა ამ დარგისათვის დამეკავშირებინა“ (მ. გეგეშიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, გვ. 159). აქვე არ შეგვიძლია არ დავსძინოთ, რომ ჩვენი ეთნოლოგიისადმი სამუდამოდ დაკავშირება კი ბატონმა მიხეილ გეგეშიძემ მოახდინა. მას ყველა ის დადებითი თვისება ახასიათებდა როგორც მის ლექტორებს: დარგისადმი, სამშობლოსადმი, სტუდენტებისადმი დიდი სიყვარული, მხარში ამოდგომა. ვერც იმ პირველ ლექციას დავივიწყებ, რომელიც მან თავის სტუდენტებთან წამაკითხა და რომლის კრიტიკული მსმენელიც თავად იყო.

მიხეილ გეგეშიძეს განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესი გააჩნდა საქართველოს მთიანეთის მიმართ, მისთვის ერთგვარად „სუსტი წერტილი“ იყო სვანეთი, ეს მხარე განსაკუთრებით უყვარდა, საათობით შეეძლო ესაუბრა სვანეთსა და სვანეთის მკვიდრებზე. შეურიგებელი იყო იმ მეცნიერთა მიმართ, რომლებიც სვანეთის პირველყოფილობაზე საუბრობდნენ. ამ აკვიატებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ მას ძალიან ბევრი მყარი არგუმენტი გააჩნდა. სვანეთის კონკრეტულ-სოციოლოგიურ შესწავლას მისი მეთაურობით კოლექტიური ნაშრომიც მიეძღვნა (1975). აქტუალური იყო მიხეილ გეგეშიძისათვის განაპირა მხარეების შეწავლა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თანამედროვე დედოფლისწყაროს მეცნიერული შესწავლა. ამ რაიონისადმი მიძღვნილ კოლექტიურ ნაშრომში სოციოლოგიურ გამოკვლევებთან ერთად, ეთნოგრაფიული გამოკვლევებცაა წარმოდგენილი (ნ. მაისურაძე, ჟ. ერიაშვილი, რ. თოფჩიშვილი).



„ბატონი მიხეილ გეგეშიძე არ იყო ჩაკეტილი მკვლევარი. მას უყვარდა გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე. საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ხშირად კითხულობდა ლექციებს თანამედროვე ყოფისა და ტრადიციების საკითხებზე, აქვეყნებდა სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალებში. „ცოდნის“ ხაზით გამოიცა მისი საინტერესო ლექცია – „ადამიანთა რასები – რასიზმი“. მიხეილ გეგეშიძე წვერი იყო სოციოლოგთა საკავშირო ასოციაციისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭოსი, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური მეთოდური საბჭოსი და ყველგან გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით, მტკიცე შინაგანი დისციპლინით, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით“ (ა. სურგულაძე. არდავიწყება მოყვრისა. მიხეილ გეგეშიძე, თბ., 1986, გვ. 143).

ჩვენი სტუდენტობის პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრაზე ინახებოდა მიხეილ გეგეშიძის მიერ შედგენილი (ხელნაწერი), 80 ჩამონათვალისაგან შემდგარი სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომების ჩამონათვალი, რომელიც მომავალში უნდა დამუშავებულიყო საქართველოს ეთნოლოგიაში. ბატონმა მიხეილმა სადიპლომო ნაშრომი (შემდეგ საკანდიდატო დისერტაციის თემა) – „მთის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები“ – სწორედ ამ ნუსხიდან შემირჩია (უფრო სწორად, არჩევანი გამაკეთებინა). სამწუხაროდ, ეთნოლოგიის კათედრამ ეს შესანიშნავი ნუსხა ვერ დაიცვა და ის სადღაც გაქრა.

ამრიგად, ბატონი მიხეილ გეგეშიძე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების გამორჩეული წარმომადგენელი იყო. მას წილად ზედა ბედნიერება ყოფილიყო იმ ადამიანების გვერდით, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ქართულ ეთნოლოგიას. ბატონი მიხეილი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ შესანიშნავი მასწავლებელი და ხელმძღვანელი. მისმა ამ ბუნებით

მოსაძლებულმა ნიჭმა და ცოდნის გადაცემის უნიკალურმა უნარმა ქართულ ეთნოლოგიას შესძინა გამორჩეული მეცნიერ-მკვლევარები, რომლებიც ცდილობდნენ და ცდილობენ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას თუ საქმიანობის დროს იყვნენ დიდი მასწავლებლისა და მეცნიერის ნათელი კვალის გამგრძელებლები.

ბატონ მიხეილი იყო შესანიშნავი ლექტორი, მისი ლექციები ყოველთვის იყო დატვირთული ღრმა შინაარსით, რომელსაც ვერსად ვერ ამოიკითხავდი. ჰქონდა საკითხის გადმოცემის უნიკალური უნარი. დღესაც კი, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით ბატონი მიხეილის სტუდენტები და სიყვარულით ვიგონებთ მას, აუცილებლად გავიხსენებთ მისი შესანიშნავი ლექციების დროს გონებაში დარჩენილ სიტყვებს „გვარი გენსი, ფამილია, გვარი“, „ვენახს მორწყვა არ უხდება, მცივანი ჭყაპინტა იქნება“ და სხვ. ბატონი მიხეილის ლექციები არ მთავრდებოდა ზარის დარეკვის შემდეგაც, როდესაც ლექცია დამთავრდებოდა და იძულებული ვიყავით კაბინეტი დაგვეტოვებინა, ლექცია გრძელდებოდა, დიდხანს I კორპუსში, ფანჯრის რაფასთან. ეს დრო ისე გადიოდა სასიამოვნო საუბარში, რომ ამას ვერც კი გრძნობდით. ბატონ მიხეილთან გამოცდა დიდხანს გრძელდებოდა. სტუდენტმა თუ სათანადოდ არ იცოდა საკითხი, ამ დროს ის ამ საკითხებს ასწავლიდა, თავად ყვებოდა, უხსნიდა ისე, რომ სტუდენტი ცოდნით დატვირთული გაეშვა აუდიტორიიდან. კიდევ ერთი: პირველი ლექციის დროს ყველა სტუდენტს სათითაოდ გაიცნობდა, კითხავდა საიდან იყო, ოჯახური მდგომარეობით ინტერესდებოდა. ამის შესახებ ჯულიეტა რუხაძეც აღნიშნავდა: „ყოველი სტუდენტის გამოცდა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო; ჩვეულებრივად იგი, როგორც გამიგია, ერთ საათს გრძელდებოდა, მაგრამ დაღლას არც გამომცდელი გრძნობდა და არც გამოსაცდელი. ბატონი მიხეილი ბევრ ახალგაზრდას უწევდა მფარველობას“. მიხეილ



გეგეშიძეს გააჩნდა უნარი ახალგარდისათვის შეემჩნია მკვლევარის შესაძლებლობები და შესაბამისად პრობლემატიკასაც ისე ანაწილებდა, ითვალისწინებდა მის ინტერესებსაც, ფაქტობრივად ის არჩევანში არ ცდებოდა.

ჩვენი თაობის სტუდენტებს წილად გვხვდა ბედნიერება ვყოფილიყავით ჩვენთვის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრები, რომლის ხელმძღვანელიც ბატონი მიხეილ გეგეშიძე იყო. ველზეც ის ლექციებს კითხულობდა. ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ექსპედიციის თითოეულ მონაწილეზე. ამის შედეგი იყო ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორის (თ. გვიმრაძე) მიერ ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ დაბეჭდილი სტატია „ლექციები ველზე“. მიხეილ გეგეშიძეს სხვა კეთილ თვისებებთან ერთად ერთი გამორჩეული ჩვევაც ჰქონდა. სტუდენტებს აცნობდა მეცნიერების გზაზე შემდგარ ახალგაზრდა მკვლევარებსა და ასპირანტებს. ასეთი შემთხვევა ამ სტრიქონების ავტორებსაც ჰქონდათ, როდესაც ერთი მათგანი დამწყები მეცნიერი (რ. თოფჩიშვილი) და მეორე სტუდენტი (თ. გვიმრაძე) იყო. ახალგაზრდა მეცნიერისა და სტუდენტთა ურთიერთობას ის საველე პირობებშიც ახერხებდა. ისევ ჩვენი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ. სტუდენტების ლექცია-ექსკურსია ერწო-თიანეთში. რადგანაც ერთ-ერთი მათგანი უკვე კარგად იცნობდა აღნიშნულ რეგიონს, მას დაევალა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სტუდენტებისათვის გაცნობა და ლექცია ივრის ხეობის სათავეში მდებარე ლაშარის ჯვართან, სადაც საუბარი იყო საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციაზე, ქართველ მთიელთა ჯვარ-ხატებზე, მთიელთა სოციალურ პრობლემებზე. ბატონი მიხეილი პერსპექტიულ, დამამთავრეველი კურსის სტუდენტებს ხშირად წარუდგენდა დაბალი კურსის სტუდენტებს, როგორც პერსპექტიულ მომავალ მეცნიერებს. ეს ამ სტრიქონების ავტორებმა ჩვენს თავზეც გამოცვადეთ. ამ სტრიქონების

ერთ-ერთი ავტორის (თ. გვიმრაძის) სადიპლომო ნაშრომის დაცვაზე, ბატონმა მიხეილმა ავადმყოფობის გამო, მისვლა ვერ მოახერხა. თუმცა დაცვაზე თავისი მეუღლე, ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის დოცენტი ქალბატონი რუსუდან გოგოლაშვილი გააგზავნა, რათა „ბიჭს თავი მართო არ ეგრძნო“ და დაცვის მსვლელობის შესახებ სრული ინფორმაცია მიეღო.

ასეთია მოკლედ ცნობილი ქართველი ეთნოლოგის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მიხეილ გეგეშიძის ცხოვრება და შემოქმედება. მისი შემოქმედების მაღალი დონე, ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, სამშობლოს დიდი სიყვარულითაც იყო განპირობებული, რომლის მდიდარი კულტურისა და მრავალფეროვანი ყოფის გამოკვლენასა და შესწავლას შეაღია თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი იმ დღიდან, როდესაც მეცნიერების სამსახურში ჩადგა.



სალომე ბახია-ოქრუაშვილი  
დასახლების ფორმისა და საცხოვრებლის  
ეკოლოგიური ასპექტები

ადამიანი გარკვეულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ბინადრობდა და ამჟამადაც მისი განუყოფელი ნაწილია. მას თავიდანვე ურთიერთობა ჰქონდა და დღესაც აქვს იმ ბუნებრივ გარემოსთან, ცოცხალ არსებებთან, რომლებიც მის გვერდით არსებობდნენ და არსებობენ. ადამიანი ძველ-თაგან ცდილობდა და ცდილობს იმ სამყაროში, სადაც ცხოვრობს, მოერგოს მას და შესაძლებლობის ფარგლებში არეგულიროს იგი. ადამიანი ყოველთვის იყენებდა და იყენებს გეოგრაფიულ გარემო-პირობებს, ლანდშაფტის თავისებურებებს, ნიადაგებს, კლიმატს, ტყეს, წყალს და ა. შ., ე. ი. რასაც ბუნებრივი რესურსები ეწოდება. სწორედ ამ ბუნებრივი რესურსების დახმარებით, მატერიალური მოთხოვნილებებით, ადამიანი სამეურნეო ხასიათის ფორმებსაც განაპირობებდა.

საქართველოში დასახლების ფორმები და მასთან ერთად საცხოვრებლები თავისი ძირითადი არსით, ყველა მხარეში, დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების წყაროს წარმოადგენდა. თუმცა, ეკოლოგიური მრავალფეროვნების გამო, მაღალმთიანი კლიმატიდან, დასავლეთ საქართველოს დაბლობის სუბტროპიკულ ტენიან კლიმატამდე, დასახლებასა და საცხოვრებლებსაც სხვადასხვაგვარი ლოკალური ფორმები ახასიათებდა. ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების წყალობით, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში დასახლების გაშლილი, ხოლო მთის

ცენტრალურსა და აღმოსავლეთ რაიონებში დასახლების შეჯგუფული ფორმა იყო გავრცელებული. რაც შეეხება მატერიალურ ნაგებობებს, ამა თუ იმ რეგიონში მათი მშენებლობისათვის ის მასალა გამოიყენებოდა, რომელიც ადგილობრივ ბუნებაში ჭარბად იყო წარმოდგენილი. შავი ზღვის სანაპიროზე და მიმდებარე დასავლეთ საქართველოს მრავალ რაიონში ძველთაგან ხის ნაგებობები ჭარბობდა, ხოლო მთის, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ რაიონებში საცხოვრებელი ნაგებობებისათვის ქვა გამოიყენებოდა, თუმცა, ზოგიერთ ადგილებში სამეურნეო ნაგებობებისათვის ხესაც ხმარობდნენ.

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების ისტორიული განვითარების პრობლემებს — მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის, მელიორაციის ხალხურ საწყისებს, ბუნებრივ სტიქიებს, განსახლებისა და დასახლების, სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის კულტურულ-ისტორიული ტრადიციების მეთოდუკას, კულტურულ-სამეურნეო ტრადიციების მოდელირებისა და თანამედროვე სასოფლო წარმოების პრაქტიკის ეკოლოგიურ საკითხებს ქართულ ეთნოლოგიაში პირველმა მ. გეგეშიძემ მიაქცია ყურადღება და ამ მიმართულებით კვლევა დაიწყო.

ამჟამად, ზემოთ ჩამოთვლილი ამ ეკოლოგიური თავისებურებებიდან მხოლოდ დასახლების ფორმისა და საცხოვრებლის ეკოლოგიურ ასპექტებზე შევჩერდებით.

როგორც ცნობილია, თვით ტერმინი „ეკოლოგია“ სამეცნიერო მიმოქცევაში 1866 წელს იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, ზოოლოგმა და ფილოსოფოსმა, ერნესტ ჰეკელმა შემოიღო (Дажо, 1975, 9). რაც შეეხება, ეკოლოგიის თანამედროვე განსაზღვრებას, იგი ასე გამოიყურება — „ეკოლოგია შეისწავლის ორგანიზმთა



(ინდივიდების, პოპულაციების, ბიოცენოზებისა და ა. შ.) ერთმანეთთან და არაორგანული ბუნების გარემოსთან ურთიერთობებს, სხვადასხვა იერარქიული დონის ეკოსისტემების ფუნქციონირების ზოგად კანონებს, ცოცხალ არსებათა, მათ შორის ადამიანის ბინადრობის გარემოს“ (შ. ანდლულაძე, ნ. ანდლულაძე, ლ. ანდლულაძე, 2016, 9). თვით ტერმინი ეკოლოგია, რომელიც ბერძნული სიტყვიდან ὄκος – სახლი, „ლოგოს“ – მოძღვრება მოდის, თავდაპირველი განმარტებით სწორედ იმ თავისებურებაზე – „ადგილბინადრობის მოძღვრებაზე“ – მიუთითებდა (Дажо, 1975, 9), რომელზედაც გვექნება საუბარი.

მ. გეგეშიძემ სოფლის დასახლებათა კულტურულ-ისტორიული რაობის და განსაკუთრებით მორფოლოგიურ-ტოპოლოგიური სპეციფიკის განსაზღვრაში მთავარ საზომად, ისტორიულ წარსულში წარმოქმნილი და ჩამოყალიბებული დასახლებისა და ნაგებობების ტიპიური მეტნაკლებად სტაბილური ფორმები, ხოლო მათი გენეტიკური განვითარების კვლევაში ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ცხოვრების სოციალური ორგანიზაციის ფორმები გამოიყენა. მისი ვარაუდით, როგორც არ უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი და ცხოვრების შინაარსი სასოფლო დასახლებაში არსებობის საშუალებათა წარმოების წესითა და ფორმით იყო განპირობებული. რადგან ჩვენს ქვეყანას მრავალფეროვან ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში, მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის ზედა სარტყელებში, წარმოების წესისა და კონკრეტული ფორმების წარმოქმნა-განვითარებაში გადამწყვეტ როლს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო თამაშობდა, როგორც ობიექტური მოვლენა, აქედან გამომდინარე მ. გეგეშიძემ არსებითი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის

ეკოლოგიურ ასპექტებს მიანიჭა. მისი აზრით, ადგილობრივი საწარმოო ძალების თვისებებისა და შესაძლებლობების სწორი და გონივრული შეხამება ადამიანის შრომის პროცესებთან დასახლების ორგანიზაციის განსაზღვრასა და განვითარებაში გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნია. მისივე ვარაუდით – მზის რადიაციის, რელიეფური ექსპოზიციის მიკროკლიმატის, ჰიდროგრაფიული რეჟიმის, ნიადაგების, ეროზიული პროცესების ბუნებრივი სტიქიების და სხვ. ამ მოვლენების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ფაქტების ახსნა, როგორც იყო, მაგალითად, ადამიანთა განსახლებები ერთ შემთხვევაში ღრმა ხეობების პირზე მთის მდინარეთა სანაპიროს გაყოფებით (როგორც ეს ზემო სვანეთშია), სხვა შემთხვევაში კი, მდინარეთაგან დაშორებით, ქედებზე და ქედების ჰორიზონტალებზე (როგორც ეს ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთშია). მეცნიერი ფიქრობდა, რომ ასეთივე მიდგომა ტერიტორიის სამეურნეო დატერასების ეფექტურობას, თუ არამიზნაშეწონილობის ახსნასაც სჭირდებოდა, ასევე მთური (მცირე) ირიგაციის არათანაბარი გავრცელების მიზეზების ძიებას, მესაქონლური მიკრომომთაბარეობის შიდა რეგიონალური პრაქტიკის კანონზომიერებათა შევსებას და ისეთ სხვა მოვლენებს, რომლებიც სასოფლო დასახლებების თვისებასა და ხასიათზე ზემოქმედებენ (გეგეშიძე 1982, 67-69).

აუცილებელია აღინიშნოს მ. გეგეშიძის სამართლიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ ისტორიულ წარსულში წარმოქმნილ და ჩამოყალიბებულ დასახლებისა და ნაგებობების ფორმებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ხალხურ კონკრეტულ ცოდნას ჰქონდა, რომელიც მყარ საწარმოო ტრადიციებზე იყო აღმოცენებული (გეგეშიძე 1982, 39).



თავისთავად ცხადია, შუასაუკუნეებში ადამიანი ცდილობდა ბუნებრივ გარემოსა და ადამიანებს შორის ურთიერთობა განვითარების იმდროინდელი დონით მოეგვარებინა. გარემო სივრცე და არსებული რეალობა კარნახობდა მას, თუ როგორ მოქცეულიყო. მართალია, იმდროინდელ ადამიანს ეკოლოგიურ მოვლენებზე წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ მას თვით ბუნება კარნახობდა უბედურებებისა და ტექნოგენური კატასტროფების შესახებ ინფორმაცია საკუთარი ძალებით მოეძიებინა.

ჩვენი საკუთარი საველე ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ ადამიანი ამა თუ იმ ადგილზე დასახლების წინ გარემო პირობებს – საიდან უდგებოდა სინათლე, ანუ მზე, როგორი იყო ქარის მიმართულება, ნალექების რაოდენობა, იყო თუ არა ახლომანლო წყალი, გარკვეული ხალხური ქმედებებით ცდილობდნენ წინასწარ გაერკვიათ ამა თუ იმ ადგილზე როგორი იქნებოდა მათი არსებობა.

მ. გეგეშიძე მთურ კომკურ კულტურასაც დასმული პრობლემის შემადგენელ და ამავე დროს დამოუკიდებელ ნაწილადაც განიხილავდა. სვანური კომკის საერთო რაობისა და განსაკუთრებით მისი ეკოლოგიური ფუნქციის გარკვევის კუთხით მას საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული.

სვანური კომკის ფუნქციის შეფასებაში, მართალია, იგი არ გამორიცხავდა სოციალურ ფაქტორს, მაგრამ უპირველეს, ერთადერთ და გადაწყვეტ მნიშვნელობას იგი მაინც ეკოლოგიურ ფაქტორს ანიჭებდა. მისი ვარაუდით, საქართველოს მაღალმთიანი ზოლის ამ საკუთარი თავისებურებების მქონე რეგიონში, დამჯდარი ცხოვრების მდინარეთა ხეობების დაბალ კალაპოტში მოწყობა, უხვთოვლიან გარემოში თოვლის ზვავებითა და მეწყერებით გამოწვეული საფრთხისაგან თავის დაცვა თავიდანვე ადამიანისაგან

ფიქრსა და ზრუნვას მოითხოვდა. ამიტომ, თვით ეს კატასტროფები იქ მცხოვრებ მოსახლეობას უკარნახებდა ხელოვნურ შემადგენებზე ეფიქრათ, რაც, მისი აზრით, სვანური კომკი ამ ღონისძიების კონკრეტული გამოსახულება იყო (გეგეშიძე 1982, 81).

იგი იყენებდა რა სპეციალურ ლიტერატურას, ზოგად დახასიათებას იძლეოდა თოვლის ზვავების სინქარეზე, მათ სპეციფიკურ თვისებებზე, ზვავების ჩამოწოლის რეგისტრირებულ შემთხვევებზე, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ყურადღებას ამახვილებდა ზვავების წარმოქმნის ზოგად მორფოლოგიურ საკითხებზე. მიაჩნდა, რომ ზვავური გამოვლინების შესწავლაში მთავარი ზვავთა რეჟიმის გეოგრაფიული ტიპების დადგენა იყო. მას, ხასიათის თანახმად, ზვავების სამი ტიპი ჰქონდა გამოყოფილი – თოვლის ნაშვავი მეწყერი, რომელიც ფერდობის მთელ ზედაპირზე კალაპოტის გარეშე ცურდებოდა; ღარული ზვავი, რომელიც როგორც ვიწრო, ისე ფართო ხეობებსა და ეროზიულ ნაღარს ჩამოყვებოდა და მხტუნავი ზვავი, რომელიც საფეხურებსა და შვერებზე თავისუფლად ვარდებოდა. მართალია, სამივე სახეობა საშიში იყო, თუმცა, მეცნიერის ვარაუდით მეტ საფრთხეს უკალაპოტო ზვავები შეიცავდნენ. თოვლის ზვავი ერთ-ერთ სტიქიურ უბედურებას წარმოადგენდა. იგი განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებდა მაღალმთიანი რაიონების მცხოვრებლებს. ამდენად, იგი ფიქრობდა, რომ ამ მოვლენებთან დაკავშირებული აქტიური ბრძოლის პრაქტიკული ჩვევა-გამოცდილება მოსახლეობაში ადრევე უნდა შემუშავებულიყო (გეგეშიძე 1982, 82-88).



მეცნიერის აზრით, სვანური დასახლებების ამ თავისებურებას ბუნების სტიქიის უშუალო საშიშ ზოლში ადამიანის მხრიდან სიფრთხილე უნდა მოეთხოვა. ამიტომ, მისი ვარაუდით, კოშკთა სიმრავლე ზემო სვანეთში დიდთოვლობის, ზვავების, მეწყერებისა და ღვარცოფებისაგან თავდაცვის პროფილაქტიკით ნაკარნახევი, უძველესი ტრადიციების გამოხატულება და უპირველესი ფუნქცია უნდა ყოფილიყო. ეკოლოგიურ კანონზომიერებების შუქზე მაღალმთიანეთის და კავკასიონის მარადთოვლიანი მთების მიმდებარე საცხოვრებელ არეალებში, სადაც გარშემორტყმული ზვავსაშიში მაღალი მთების პირობებში სტიქიური უბედურებისაგან დაცვის ერთადერთ გარანტიას სწორედ მაღალი და ამავე დროს უაღრესად მაგარი კოშკები მდგრადი საძირკვლით წარმოადგენდნენ (გეგეშიძე 1982, 88-92).

საქართველოში ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ჩვენი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები – ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი. თანამედროვე ეკოლოგების აზრით XVIII-XIX საუკუნეებში სასოფლო განსახლების ძველი მონოგენური ფორმა, საქალაქო ცხოვრების დაწყებით, ქალაქებში მათი კონცენტრაციის შედეგად დაირღვა (მესხია 2012, 108). რაც შეეხება, ადამიანის საცხოვრებელ გარემოს (ბუნებრივსა და ეკოლოგიურს), ადამიანების ირგვლივ არსებული გარემო არის ბუნების სივრცე და ნივთიერებები თავისი ძალებითა და მოვლენებით. ადამიანის საცხოვრებელი და სამეურნეო საქმიანობის გარემო, რომლის შემადგენლობა, ერთი მხრივ არაცოცხალი ბუნების გავლენით (ჰავა,

რელიეფი და სხვა), ხოლო მეორე მხრივ ცოცხალი ორგანიზმების ზემოქმედების ფაქტორებით და აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით განისაზღვრება. გარემო არის გეოგრაფიული გარემოს ნაწილი, რომელიც ადამიანის საზოგადოების დედამიწისეულ განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს. თუ გარემოს განვიხილავთ მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმებთან ან ობიექტებთან ცოცხალის მონაწილეობით მიმართებაში, ამგვარ გარემოს ეკოლოგიური უნდა ვუწოდოთ (ქარჩავა, ციციშვილი 2011, 90-91).

ამრიგად, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით მ. გეგეშიძემ ბუნებრივი სტიქიებისა და მოვლენების საკითხები განიხილა და აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს ამ სფეროში მრავალსაუკუნოვანი ცოდნა და გამოცდილება ქონდა დაგროვილი. მისი ვარაუდით, ეს გამოცდილება აგებული და დამყარებული იყო საკუთარ კულტურასა და სწორედ ეკოლოგიურ ცოდნაზე.



### დამოწმებული ლიტერატურა

- ანდლულაძე 2016 – შ. ანდლულაძე, ნ. ანდლულაძე, ლ. ანდლულაძე, ეკოლოგია, თბ., 2016.  
გეგეშიძე 1981 – მ. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1981.  
მესხია 2012 – რ. მესხია, ეკოლოგია, თბ., 2012.  
ქარჩავა, ციციშვილი 2011 – გ. ქარჩავა, მ. ციციშვილი, ზოგადი ეკოლოგია, თბ., 2011.  
Дажо 1975 - Р.Дажо, Основы экологии, М., 1975.

### როზეტა გუჯეჯიანი

#### სოლიდარობის ტრადიციული ფორმები სვანეთში („გალღამ“)

სვანეთის ტრადიციული ყოფა იცნობს სოლიდარობის გამოხატვის ყველა იმ ფორმას, რაც ზოგადად ქართული კულტურისთვისაა დამახასიათებელი: ეს არის სოლიდარობის როგორც მექანიკური (Emile Durkheim), ასევე ინკლუზიური და უნივერსალური ფორმები (Hannah Arendt).

სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი და საზღვრისპირა მხარეა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იქ სოციალურ სტაბილურობას ძალიან დიდი და სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სოციალური სტაბილურობა კი საზოგადოების წევრთა სრული სოლიდარობით მიიღწეოდა. სვანეთში საზოგადოებად მოიაზრებოდა კონკრეტული უჯრედები, რომლებიც ქმნიდნენ იერარქიულ კიბეს: მასში უმცირესი უჯრედი იყო ოჯახი, შემდეგ – სამხუბი/ლამხუბი, საგვარეულო, სოფელი, თემი, სანათესაო, ხეობა, სვანეთი, საქართველო, ზოგადად – კაცობრიობა.

სვანეთის საზოგადოებაში არსებული სოლიდარობის არსი გამოიხატებოდა ტრადიციულ ნორმებშიც და ყოველდღიურ ყოფაშიც (ჩვეულებითი სამართალი, ეტიკეტი, ქცევის წესები, შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები,



კოლექტიური შრომის ორგანიზაციის ნაირსახეობები, ლხინთან და გლოვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და სხვ.)<sup>1</sup>.

ტრადიციული ნორმები არეგულირებდა სოციალური სამართლიანობის საკითხსაც: სვანეთის ტრადიციულ საზოგადოებაში თემის ყოველი წევრი სრულუფლებიან და სრულფასოვან ადამიანად მიიჩნეოდა (ქალიც, კაციც, ბავშვიც, მოზარდიც, შრომისუუნაროც, ფსიქიკური პრობლემების მქონეც). თემი უზრუნველყოფდაყოველი წევრისადმი მთელი თემის სოლიდარობას, რაც გამოიხატებოდა, როგორც მორალურ, ასევე მატერიალურ მხარდაჭერაში. სოლიდარობის ფორმები მსგავსი იყო სვანეთის სამივე ნაწილში. მიუხედავად გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში განვითარებული მოვლენებისა, როდესაც ბატონ-ყმური ურთიერთობები შენარჩუნდა ქვემო და ბალსქვემო სვანეთში, ხოლო ბალსხემო სვანეთის გლეხები ფორმირდნენ თავისუფალ მეთემეებად, ფეოდალთა თანდათანობითი დასუსტებისა და დაკნინების შედეგად, მაინც მთელ სვანეთში არსებობდა სოლიდარობის ისეთი ფორმები, რომლებიც ერთიანი კულტურიდან მომდინარეობდა და მასზე სოციალური იერარქიული კიბე გავლენას ვერ ახდენდა. საყურადღებოა სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულია ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა მიმართ არისტოკრატიის მზრუნველობისა. მაგალითად, ცნო-

<sup>1</sup> კვლევა ეყრდნობა საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ მასალას. მასალა გროვდებოდა 1995-2016 წლებში სვანეთში (მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები), დაღის ხეობაში (გულრიფშის მუნიციპალიტეტი, 2007-2008) და სვანეთიდან გადმოსახლებულ ეკომიგრანტთა და დევნილთა (აფხაზეთის არ-დან) შორის ქართლსა და თრიალეთში (2006-2017).

ბილია რომ დადემქელიანებმა (სვანეთის ბალსქვემო ნაწილის მთავრები) საკუთარ რეზიდენციაში (ეცერის თემი, სოფელი ბარში) წაიყვანეს და გაზარდეს ობოლი ძმები დემეტრიანები, რომელთაც სხვადასხვა სა-ხის პრობლემები ჰქონდათ. მათგან ერთმა ძმამ ხანდაზმულობამდე მიაღწია. დადემქელიანებმა დაკრძალეს და მდიდრული ქელეხი გადაუხადეს ორივე დემეტრიანს (XIX საუკუნის მიწურულს). ასევე, ცნობილია, რომ დადემქელიანთა რეზიდენციაში ცხოვრობდა ბევრი სხვა ობოლიც, მათივე ყმთაშვილები, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც კი.

სვანეთის ტერიტორიული თემი (ასევე, სოფელი, საგვარეულო) იცავდა სოციალური სოლიდარობის ფორმებს ჭირსა და ლხინში: თანასოფლელების გარდაცვალებისთანავე, მის დაკრძალვამდე, სოფელში წყდებოდა სალხინო შეკრებები, გადაიდებოდა ქორწილები, მთელი სოფელი და ნათესავები იმოსებოდნენ სამგლოვიარო სამოსით, მამაკაცები უშვებდნენ წვერს. თანადგომა გამოიხატებოდა შრომითი ურთიერთდახმარებითაც და მატერიალური შესაწევართაც (ფული, ნატურალური მეურნეობის პროდუქტი). სოლიდარობის ეს გამოხატულება, მაგალითად, გლოვის დროს, იწყებოდა თანასოფლელების ლოგინად ჩავარდნის დღიდან მის დაკრძალვამდე და შემდეგაც სოფელი მთელი წლის განმავლობაში (საეკლესიო კალენდრით განპირობებულ სულთა მოსახსენებელ დღეებში) მხარში ედგა გარდაცვლილის ოჯახს მატერიალურადაც და მორალურადაც.

სვანეთის ტრადიციული საზოგადოება უზრუნველყოფდა ქვრივისა და ობლის უფლებების დაცვას, რაც სოფლის პრესტიჟის საქმედ ითვლებოდა. ზოგადად, ობოლთა



დაცვას მთელი სასოფლო თემი და ადგილობრივი საეკლესიო პირები უზრუნველყოფდნენ.

მნიშვნელოვანია სვანეთის საზოგადოებისათვის ნიშნული ინკლუზიური სოლიდარობის გამოხატვის ფორმებიც. ტრადიციულ სოციუმში ნორმად მიიჩნეოდა შეზღუდული შესაძლებლობის პირებისადმი თანაგრძნობა და მათი მხარდაჭერა, როგორც მატერიალურად, ასევე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების<sup>2</sup> მეშვეობით. სვანეთის სოფლებში განსხვავებული ნიშნების მქონე ბავშვებს კი არ რიყავდნენ, და ასხვავებდნენ დანარჩენი მოზარდებისაგან, არამედ ცდილობდნენ მათ ჩართვას ყოველდღიურ ყოფაში, სხვა თანატოლებთან ერთად და შესაძლებლობის მიხედვით ასწავლიდნენ ხელობას. უზრუნველყოფილი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქონების დაცვის საკითხიც; შშმ პირების ქონებრივი და მორალური დაცვა კონტროლდებოდა სვანეთის ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. დაობლებულულებზე ზრუნდავდა მთელი სოფელი, მათ მორიგეობით კვებავდნენ და ეხმარებოდნენ შეშით, სახლის გადმოთოვლით და სხვ.

სვანეთში არსებული სოლიდარობის უნივერსალური ფორმებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტიური შრომითი ორგანიზაციის გამოხატულება – „გალდამ“-ი. „გალდამ“ არის ტრადიციული ქართული შრომითი ურთიერთდახმარების კონკრეტული ლოკალური ნაირსახეობა, ანუ, კულტურის იმ ფაქტის სვანური ფორმა, რასაც ზო-

<sup>2</sup>იგულისხმება ქართული ჩვეულებითი სამართლის სვანური ლოკალური სამართლის ნორმა „რჯვილ“.

გადქართულად „ნადი“ ეწოდება. „გალდამ“-ი ჰქვია კრებულს, რომელიც საჭიროების მიხედვით იკრიბება, რათა თანასოფელს, თანახეობელს დაეხმაროს შრომით, ხარკებითა და მარხილებით. „გალდამ“-ი იკრიბებოდა ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის ოჯახი საჭიროებდა ბევრ მუშახელს, ბევრ ხარსა და მარხილს ტვირთის გადაზიდვისათვის, მაგალითად, კოშკის ან სახლის მშენებლობის დროს.

ცნობილია, ტრადიციულ სვანურ სოფელს შეჯგუფული სახე ჰქონდა. სოფლის შუაგულს ქმნიდა სასოფლო მოედანი, მასზე აღმართული ეკლესიისთურთ, თავისი სოციალური და სამართლებრივ/საკრალური ფუნქციით და აქედან გამავალი შუკებით ცალკეულ უბნებადღე. სოფლის არქიტექტურაში მთავარი ადგილი ეკავა ქვისაგან ნაგებ კოშკებსა და სახლებს, გალავნებსა და ყორეებს, ფიქალის ქვით გადახურულ ქვითკირით ნაგებ კედლებს. სვანეთი მაღალი სამშენებლო ცოდნით გამოირჩეოდა და მას ჰყავდა ყოველი გავრცელებული ხელობის კარგი სპეციალისტები. ბუნებრივია, რომ მშენებლობის დაწყებამდე ოჯახს მომარაგებული უნდა ჰქონოდა მთელი სამშენებლო მასალა: ქვა, ხე, კირი, ქვიშა. რასაკვირველია, მხოლოდ ერთი ოჯახი, ან თუნდაც მისი სამმო, ვერ მოამზადებდა და მოზიდავდა სვანური სახლის სამყოფ სამშენებლო ქვას, კირქვას, ქვიშასა და ხის მასალას. ამიტომ ამ დროს ამოქმედდებოდა სოლიდარობის ტრადიციული გამოვლინება – კოლექტიური შრომითი ორგანიზაციის სახეობა – იკრიბებოდა „გალდამი“, აუცილებელი იყო რა ბევრი მუშახელი, ადჭურვილი საკუთარი საშუაო იარაღითა და საგზლითურთ.



როგორც უკვე ითქვა, „გალდამ“-ი ყოველი ახალი მშენებლობისათვის იკრიბებოდა. „გალდამ“-ის წევრთა რაოდენობა და გეოგრაფიული არეალი იცვლებოდა შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბის მიხედვით. რთული საქმისათვის ხშირად არათუ სოფელი, არამედ მთელი თემიც გამოდიოდა, კოშკების მშენებლობისას კი – მთელი ხეობაც.

2006-2017 წლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით შესაძლებელი გახდა „გალდამ“-ის, როგორც შრომითი ურთიერთდახმარების ფორმის, რეკონსტრუირება. მთხრობელთა მეხსიერებაში შემონახული ამბების ქვემო ქრონოლოგიური საზღვარი არის 1940-იანი წლები.

როგორი იყო „გალდამ“-ის ტრადიციები სვანეთში 1940-50-იან წლებში? სახლის მშენებლობის გადაწყვეტილების მიმღები ოჯახი თავის სურვილს გამოთქვამდა მშენებლობის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე. ოჯახის უფროსი მამაკაცი გადიოდა სასოფლო მოედანზე („სუიფ“) და შეკრებილ თანასოფლელებს აცნობდა თავის გადაწყვეტილებას, საიდანაც ამბავი ვრცელდებოდა სხვა სოფლებშიც და საბოლოოდ მთელი თემი შეიტყობდა, რომ ამა და ამ ოჯახს სჭირდება დახმარება. ტრადიციული ცხოვრების წესი მოითხოვდა მთელი თემის თანამონაწილეობას ამ საქმეში. ვისაც რა შეეძლო, ის უნდა გაეღო: იქნებოდა ეს შრომითი დახმარება, ხარებისა და მარხილის ჩართვა შრომაში, თუ რომელიმე კონკრეტული ხელობით მიშველება. ქვის მოპოვებისა და გამოთლის მცოდნენი ამ საქმისათვის დაიწყებდნენ ზრუნვას, სამშენებლოდ ვარგისი ხის შერჩევის მცოდნენი, თავის კონკრეტულ სფეროს მიაშურებდნენ.

საკირის აგების მცოდნენი, საკირისათვის შესაფერის ადგილს (მიწას, ნაკლებ ქარიან ადგილს) შეურჩევდნენ ოჯახს და ა. შ. ცხადია, ყველა საქმეს თავისი კონკრეტული ცოდნა დრო და კლიმატური პირობები სჭირდებოდა. ყოველივე ამის დაგეგმასა და წაძლოლას საქმის მცოდნენი ითავებდნენ: ამგვარი ხალხური მენეჯმენტით სამშენებლო ხეც მოიჭრებოდა, გამოშრებოდა კიდეც და გადახურულ სათავსშიც განთავსდებოდა; ქვაც მომზადდებოდა და სოფელი მას საკუთარი ხარებითა და მარხილებით ოჯახს სამშენებლო ადგილამდე მიუტანდა. მთიდან (ნათხარი ქვიშა) ან მდინარიდან მოზიდავდნენ ქვიშას; შედარებით უფრო ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა სამშენებლო კირის გამოწვას. კირის გამოწვისათვის წინასწარ უნდა მოეტეხათ კირქვა და აეგოთ საკირე. გამოეწვათ კირი. და ა. შ. შრომატევადი იყო სახლის მშენებლობის პროცესი და მას, ბუნებრივია, დიდი დრო და ხარჯი სჭირდებოდა. წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ხშირად ორ-სამი წელი გრძელდებოდა.

მოვიყვან ერთი კონკრეტული ისტორიას, რომელსაც იხსენებს 82 წლის მთხრობელი შოთა ტარასის ძე გუჯეჯიანი (აღწერილი ამბავი ხდება 1954-55 წლებში, ეცერის თემის სოფელ ჭელირში): „მამაჩემმა გადაწყვიტა, ახალი სახლი აგვეშენებინა. ვიქნებოდი მაშინ 19-20 წლის. მამა ავიდა ჟიბღალიში<sup>3</sup> და გამოაცხადა, სახლი უნდა ავაშენო და ახლა თქვენ იცითო. ხმა გავარდა მთელ ეცერში, როგორც გეშლარში, ასევე ქვემო ეცერში და ჰებუთში. ამის მერე ზამთარში ამოვზიდეთ ქვიშა ენგურიდან. ეს ძალიან მძიმე საქმე იყო და ჩვენი ვერ შევძლებდით,

<sup>3</sup>ეცერის თემის სოფელ ჭელირის სასოფლო მოედანი.



ამიტომაც მოვიწვიეთ ვალდამი. მაგრამ ვიდრე ვალდამს მოვიწვევდით, საჭირო იყო ქვიშის მომზადება. ქვიშა ეცერელებს ენგურიდან ამოგვექონდა. სოფელ კალაშის განაპირას არის ერთი ადგილი, სადაც ენგური ძლორედ მოედინება. აქ ჩვედით გაზაფხულზე მამაჩემი, მამას ბიძაშვილები, მე და ჩემი ტოლი ორი ბიჭი და ენგურს მცირე ტოტი მოვწყვიტეთ, ჯებირი ავავეთ და ეს წყალი აქეთკენ გადმოვაგდეთ. ენგურის ეს პატარა ტოტი შემოდგომამდე მოედინებოდა რიყეში და ქვიშაც გროვდებოდა. ქვიშის დაგროვებას აკვირდებოდა ერთი იქაური კაცი, ის გვეხმარებოდა და ქვიშას კრებდა ბორცვებად, უსასყიდლოდ. მერე, როცა წყალმა დაიკლო, ჩვედით ხარებით და მარხილებით და ეს ქვიშა მოვზიდეთ სოფელ კალაშის განაპირას მდებარე ვაკემდე. ქვიშა უკვე მზად იყო სახლში მოტანისათვის. დადგა ზამთარიც, ჩამოთოვა და, აი, აქ დაგვეჭირდა ვალდამი. მამა ავიდა სუიფში და სოფლის ბიჭები შეკრიბა, ორ-ორი ბიჭი გაუშვა ეცერის თემის ყოველ სოფელში და დააბარა, რომ ზევ ვალდამი მაქვს, კალაშიდან ჭელირამდე ქვიშა უნდა ამოვზიდო და დამეხმარეთო. მეორე დღეს მე და ჩემმა ბიძაშვილებმა რამდენიმე ხარითა და მარხლით ეს რთული გზა გავკვალეთ. ვალდამს თავისი წესი ჰქონდა და ყველა მოვალე იყო, რომ თავის საუკეთესო საყანე ნაკვეთშიც კი გაეხსნა გზა მარხილებისათვის. უარს ვერავინ იტყოდა, ასეთი იყო სოფლის წესი., ამიტომ ყველამ გაგვიხსნა გზა. მესამე დღეს გამოვიდა მთელი თემი: ყველა ოჯახიდან თითო კაცი თავისი უღელი ხარებითა და მარხლით, ნიჩბებითა და თოხებით, ზოგიც ორი-სამი გამოვიდა. ვისაც მხოლოდ ერთი ხარი ჰყავდა, ის მეორე ცალუდელს შეუამხანაგდებოდა. თუ იმ დღეს სახლში კაცი არ იყო, ოჯახი ხარსა და მარხილს მაინც მოგვაშველებდა

და მას სხვა რომელიმე თანასოფელი წაუძღვებოდა. გამოთენიისას ქურაშელებმა ჩამოგვიარეს და ჩვენთან ერთად (ჭელირი) დაიძრნენ კალაშისაკენ, გზად სვიფელები, ბარშელები, ისკარელები და ფხუტრერელები შემოგვემატნენ, ჰებუთელები და უღვალელები ერთად მოვიდნენ და თეტელანში დაგვხვდნენ, ლანტელიდან და ლადრერიდან ჩვენზე ადრე ჩასულან კალაშში. დიდებული სანახავი იყო კარეთ გამოსული მთელი ეცერი. ახლაც თვალწინ მიდგას. სათითაოდ იტვირთებოდა მარხილები და მიემართებოდნენ ჭელირისაკენ. სალამოსათვის მთელი ქვიშა ამოტანილი იყო. ქვიშა დავცალეთ იქ, სადაც ახლა მსხლის ხეები დგას. პატრონებმა ხარებშებმული მარხილები სახლეებისაკენ გუშვეს. თავისით მივიდნენ ხარები სახლებში, ზოგიც ბავშვებმა წაიყვანეს. კაცები კი დარჩნენ. ჩვენ საკლავები დავკალთ და კარგი სუფრა გავშალეთ. დაგვილოცეს ოჯახი, სახლ-კარი. დილამდე ქეიფობდნენ.

მეორედ ვალდამი დაგვეჭირდა საკირეს აშენებისა და კირის გამოწვის დროს. საკირეს აშენებამდე მოვიმარავეთ შუშა და კირქვა. ხის მასალა ჩვენით მოვამზადეთ. მზადება ერთი წლით ადრე დავიწყეთ. საკირედ უბრალო შუშა არ კარგა. ჩვენ ტყე გვექონდა და არ გვიჭირდა მასალა, მოვჭერით საჭირო რაოდენობის ხეები: სოჭი, ნაძვი და ცოტაც ფიჭვი. ხის დიამეტრიც უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტი — 20-30 სმ. ამაზე მსხვილი ხე საკირის კარში ვერ შეეტეოდა. გავსხიპეთ და მორებად ვაქციეთ. მორები ჩამოკხიდეთ სახლში და დავჭერით ზომაზე: 2-2 მეტრზე. დაკაწყვეთ ერთმანეთზე მოფარებულ ადგილას, რომ კარგად გამოშროალიყო. ასე ეწყო ერთი წელი. თუმცა საკირისათვის ნაწილი ნედლიც კი ივარგებდა, რადგან საკირე მაკრად უნდა გახურებულიყო. შუშის კარგად გამოშრობა



მოესწრებოდა. მერე შევუდექით კირქვის მოჭრას. კირქვა ჩვენთან სვიმზაგარშია, იქ არის კლდე, რომლიდანაც მოვტეხეთ ქვა. ძნელი საქმე იყო, ვტეხდით ძალაყინით, „ლომით“, ზოგან ასაფეთქებელი საშუალებაც მოვიხმარეთ. მოჭრილი ქვა იქვე კლდის ძირში დავალაგეთ, ვაწყობდით ქვებს ზომის მიხედვით. ადგილზე მუშაობას დასჭირდა ერთი კვირა. დილით ადრე ავდიოდით და საღამოს უკან, სოფელში ვბრუნდებოდით. კირქვა რომ მომზადდა, დაველოდეთ ზამთარს და თოვლს. ისევ ვაცნობეთ სოფელს და გამოვიდა სოფელი თავისი ხარებითა და მარხილებით. ზოგი ტვირთავდა მარხილებს, ზოგსაც სოფლამდე ჩამოჰქონდა ტვირთი. თოვლზე მარხილი უფრო მსუბუქად მოსრი-ალებდა და მეტი ტვირთი ჩამოჰქონდა თითო მარხილს, ვიდრე სხვა დროს. ჩამოვზიდეთ სახლამდე მთელი კირქვა და დავაწყვეთ ბოსტანში, სადაც მშრალი მიწაა და იგი ივარგებდა საკირედ. დაღამდა და დიდი სუფრა გავშალეთ, ისევ დაგვლოცეს და გვადღეგრძელეს.

ახლა ამის შემდეგ, უკვე ყველაფერი რომ მზად იყო, საკირეს დადგმა გადაწყვიტეთ. ამისათვის დაველოდეთ ზაფხულს. უფროსები ამინდს დააკვირდნენ და შეარჩიეს ისეთი დრო, როცა მათი ვარაუდით, სამი დღე არ გაწვიმდებოდა. ახლა უკვე მთელ ეცერს არ ვაცნობეთ, მხოლოდ გეშლარი შევკრიბეთ. საკირის აგება კარგად იცოდნენ ბაბუაშენმა, ჩვენმა სოფრომ (გუჯეჯიანმა), ილამაზ გურჩიანმა და სხვებმა. მეც ვისწავლე მათგან. მოზომეს საკირეს ადგილი. ჩვენ დიდი სახლის აშენებას ვგეგმავდით და ამიტომ 4 მეტრი უნდა ჰქონოდა საკირეს განი. ამოთხარეს ორმო. ორმოს სიმაღლე უნდა მისწვდომოდა მაღალ კაცს მხრებამდე. მერე ოთხმა კაცმა ამოაშენა კირქვით ორმოს კედლები. ძირში აწყობდნენ გარდივრადმო ხის

მორებს. მორებს ამატებდნენ პერიოდულად. მიწის ზედაპირთან ორმოს დაატანეს კარები: 60 სანტიმეტრის სიმაღლისა და სიგანისა, ორივე მხრიდან ჩასვეს მაგარი ქვა, ქვითვე გადახურეს. კარის ერთი მხარიდან მეორე მხარამდე ორმოს პირზე წრიულად დააწყვეს თითო ფენა კირქვა. ამას შიგნიდან აწყობდნენ კაცები. ზოლო ამავე ზომაზე გარედან დაიწყეს ღობის ამოშენება. შიდა კედელს კირქვით აგებდნენ, გარედან ღობეს აშენებდნენ. ღობისათვის გამოვიყენეთ ახლად მოჭრილი ნეღლი თხმელა, ის მდინარის პირებში იჭრება (მდინარე დახმარი), წვნიანია და ადვილად არ იწვის, ღობესა და კირქვას შორის კი ჩაყარეს და ჩატკეპნეს მიწა. საკირე ღობითურთ დაახლოებით კაცის სიმაღლემდე აიყვანეს. მერე ღობის შემოვლება შეწყვიტეს და კირქვის კედლის ამოშენება განაგრძეს, ფორმა თანდათანობით გუმბათისებური მიეცა, დაახლოებით ორი მეტრი კიდევ ამოშენდა და ბოლოში ისე დავიწროვდა რომ ხვრელში კაცის თავი ძლივს ეტეოდა. ახლა უკვე შიგნით დარჩენილი ბოლო მშენებელიც გამოძვრა კარებიდან. ის იყო მომცრო ტანის კაცი. საკირის ხვრელს თავზე ერთი მაგარი ქვა დააფარეს. შემდეგ დავიწყეთ გარედან კირქვის დამატება, კირქვა ემატებოდა საკირის იმ ნაწილს, ზედა ნაწილს, რომელსაც ღობე არ ერტყა. იქ ვარჭობდით მომცრო ზომის კირქვებს, დაახლოებით სამი-ოთხი ფენა დავამატეთ. სულ ზემოდან კი წვრილ-წვრილი ნაფშხვენებიც დავაყარეთ. საკირემ მიიღო საბოლოო ფორმა. შიგნითა კედლის ამოშენების შემდეგ ჩვენი საკირის დიამეტრიც ქვემო ნაწილში შიგნიდან იყო 3 მეტრი, მერე კი ვიწროვდებოდა, ზოლო გარედან ხუთ მეტრამდე აღწევდა. უკვე მოსალამოვდა. აუცილებელი იყო, რომ შენება ერთ დღეში დასრულებულიყო და ცეცხლი დანთებულიყო. ცეცხლის



დანთება მეტად საპასუხისმგებლო საქმედ ითვლებოდა და ამ საქმეს ავალებდნენ შერჩეულ კაცს, ღვთისნიერს, ოჯახის ერთგულს. მამაჩემს ასეთად მიაჩნდა სანდრო გურჩიანი (ეტაშერ). მას სთხოვა და სანდროსაც ძალიან ესიაშოვნა. დედაჩემმა გამოაცხო ლემზირები, მამამ ჩამოასხა ზედაშე, მე მივაწოდე სანთლები და ამ ტაბლით სანდრო შეძვრა კარებში და დაიწყო ლოცვა. ლოცვა რომ დაამთავრა, ამოვიდა და შეყარა მორები, მერე კი ცეცხლი შეუნთო. მის მერე ცეცხლი ენთო და საკირეში კირი იწვოდა მთელი სამი დღე და ღამე. ჩვენი სოფლელები მორიგეობით ათენებდნენ ღამეებს და უკეთებდნენ ცეცხლს. იყო ერთი კაცი, რომელსაც ისე უზაროდა ჩვენის სახლის აშენების ამბავი, რომ სამი დღე და ღამე არ დაუძინია, სულ იქ ტრიალებდა, მღეროდა, ყველას ახალისებდა. ის იყო ცხნობეული იასონ გურჩიანი, ჩვენი ბაღიში. სამი დღე-ღამის მერე კირქვა მთლიანად ჩაიწვა და ფერფლმა და ნაცარმა ცეცხლი თანდათან ჩააქრო. ამის შემდეგ სრული ერთი კვირაა საჭირო კირის გაცივებისათვის. მერე საკირე გადავზურეთ, რათა წვიმისაგან არ გაფუჭებულიყო. ასე დაგვეზმარა სოფელი, მაგრამ ჩვენც ასე ვეზმარებოდით სხვებს. სულ გვეყავდა ხარები, ბაბუაშენი და მე ყველგან მივდიოდით გალღამზე. ჩვენს მერე კიდევ სხვა საკირეების აშენებაც მახსოვს: ჯერ ქეზარე ბიძინამ (გუჯეჯიანმა) ააშენა, მერე ფაცი აფრასიძემ. მათაც მთელი სოფელი ვეზმარებოდით, ასეთი იყო წესი“ (თბილისი, 2018, ივნისი).

სამშენებლო კირიქვა სვანეთში ბევრგან მოიპოვება, ამიტომ ყოველ თემს თავისი საკუთარი, სასოფლო საკუთრებაში არსებული კარიერები ჰქონდა: ლატალელებს კირქვა ტებღიაშიდან მოჰქონდათ, ჩუბეხველებს – მდინარე

საკრის ხეობიდან, ბეროელებს – ლეჩყანის კირის კარიერიდან, უშგულელებს – შხარის მთიდან და სხვ. უშგულელები კირქვის ნამტვრევებს სამარხილე გზასთან შეაგროვებდნენ და ზამთრობით მათ მთელი სოფელი ეზამრებოდა ტრანსპორტირებაში. სვანებს ქვიშა, ძირითადად, ენკურიდან მოჰქონდათ, ზოგიერთ სოფელში ქვიშა სხვაგანაც მოიპოვებოდა. მდინარის ქვიშასთან ერთად იყნებდნენ მთის ასე ნათხარ ქვიშასაც. ქვიშა მოიპოვებოდა და ახლაც მოიპოვება მდინარე დოღრაზე, მესტიაჭალაში, ცანისწყლაზე და სხვ.

ქვიშის ხარისხიც მნიშვნელოვანი იყო: მაგალითად, მშენებლობისათვის უვარგისად ითვლებოდა უშგულში მდინარე ქვიშორის ქვიშა, მულახში – მდინარე მულხურის ქვიშა. მშენებლობის ხანგრძლივმა პრაქტიკამ სვანი მშენებლები დაარწმუნა, რომ კედლის წყობის შესაკრავი ხსნარისათვის უკეთესი იყო მთის ქვიშა, შესალებად კი – მდინარისა (ქალღანი 1978: 54-56).

ტრადიციულად, თუკი სამშენებლო მასალას რომელიმე ოჯახი თავის თემში ვერ მოიპოვებდა და სხვა თემს მიაშურებდა, მას არ დაუშლიდნენ და ქვის მოჭრისა თუ ქვიშის გამოტანისა ნებას მისცემდნენ<sup>4</sup>. ამაში იშვიათად, მაგრამ მაინც იღებდნენ საზღაურს, თუკი მდინარის სიახლოვეს მცხოვრებ ოჯახს სათავისოდ ჰქონდა მომზადებული ქვიშა, რომელსაც იგი სხვა თემიდან მოსულ მოხოვნელს ან მიჰყიდდა ან აჩუქებდა.

<sup>4</sup>საყურადღებოა, რომ მდიდარი წერილობითი კულტურის მქონე სვანეთმა შემოგვინახა XIV საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტი „დაწერილი სეტის ხევისა საკირის აგებაზე“ (სწმ 1986: 159).



სამეცნიერო წყაროებში აღწერილია უფრო ძველი ისტორიებიც — კოშკების მშენებლობისა და ამ დროს გამოვლენილი სოლიდარობის სახეობები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეთნოგრაფ ალი დავითიანის არქივში დაცული გადმოცემები, რომლებიც ეხება ბალსქვემოთ, კერძოდ, ჩუბეხევის მხარის სამშენებლო ტრადიციებს. ალი დავითიანის მიერ მეოცე საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში ჩაწერილი გადმოცემებით, როდესაც ხმა გავარდებოდა, რომ ესა თუ ის ოჯახი კოშკს იშენებდა, მთელი ხეობა თავს მოვალედ თვლიდა თითო თლილი ქვითა და საკუთარი საგზლით ასულიყო იმ კონკრეტულ ოჯახში ერთი კვირით და სრულიად უსასყიდლოდ დახმარებოდა მშენებლებს. მაგალითად, ფარის თემი მასალით, „*კოშკის მშენებლობისას საზოგადოების ყველა კომლიდან შრომისუნარიანი თითო მუშა ვალდებული იყო მისულიყო თავისი საგზლით და კოშკის მშენებლს ერთი კვირა უფასოდ დახმარებოდა. დამხმარე კაცი მშენებლ ოჯახს არაფრით არ აწუხებდა და თუ ბინის მიცემაც გაუჭირდებოდა, იმაზედაც თვითონ იზრუნებდა. შორიდან მოსულ კაცს ერთი კარგი საშენი ქვაც უნდა მოეტანა, არავის გაუკვირდებოდა და სოფელი სახელად ჩაუთვლიდა. ქვის მომტანს უხაროდა, რომ კოშკისა თუ სახლის შენობას ერთი კარგი ქვა მაინც მისი ერია*“ (დავითიანი 62)

„გალდამ“-ი იკრიბებოდა სასოფლო მნიშვნელობის საკითხების მოგვარებისთვისაც: გზების გაყვანა და მოწესრიგება, ეკლესიების მშენებლობა და სხვ. „გალდამ“-ის აგებულად ითვლება კაიშის მთავარნგელოზის ეკლესია ფარის თემში. გადმოცემით, მთელი თემის მამაკაცები შეკრებილან მდინარე მავლაშის ნაპირებთან, სადაც მოუშაბდებიათ ქვა და შემდეგ ჩამწკრივებულან დაახლოებით 7-8

კილომეტრიან მწკრივში, ქვის ერთმანეთზე გადაწოდებით აუზიდავთ სამშენებლო ქვა მთის წვერამდე (დავითიანი 63).

„გალდამ“-ის ნაწილია სახლის მშენებლობის სხვა ეტაპების მიმდინარეობის დროს გამოვლენილი სოლიდარობაც: მართალია, ოჯახი მოურიგდებოდა კალატოზებს და ისინი გარკვეულ ფასად აშენებდნენ სახლს, მაგრამ, ცხადია, რომ მშენებელეს სჭირდებოდათ დამხარე მუშებიც. აი, ამ დამხარე მუშებს გამოყოფდა სოფელი თავისი შემაღგენლობიდან, გადაანაწილებდნენ კალენდარულად სოფლის მოსახლოების რიცხვნობას და ყოველდღიურად ორორი კაცი და უსასყიდლოდ შრომობდა მშენებლობაზე.

„გალდამ“-ი მნიშვნელოვანი ძალა იყო ტრადიციული საზოგადოებისათვის, რადგან მისი არსებობა იმედს უჩენდა თითოეულ კომლს, თვით ყველაზე ღარიბსა და მცირესულიანსაც, რადგან საჭიროების შემთხვევაში „გალდამ“-ი ყველას თანაბრად ამოუდგებოდა გვერდში. „გალდამ“-ის მოწვევის უფლება ჰქონდათ ისეთ უპოვარ ოჯახებსაც კი, რომელთაც ხარი არ ჰყავდათ. ასეთი ოჯახები სხვებს პირადი ფიზიკური შრომით ეხმარებოდნენ და შემდგომში მათაც სრული უფლება ჰქონდათ სოციალური სოლიდარობის სვანური ფორმების მოთხოვნისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „გალდამ“-ით სარგებლობდნენ უკაცო ოჯახებიც, ქვრივ-ობლებიც, მარტოხელა ქალებიც და მოზუცებიც. მართალია, ასეთი ოჯახების წევრები თავად ვერ ეხმარებოდნენ სხვებს, მაგრამ სოფელს მოვალეობად მიაჩნდა სუსტსა და მიუსაფარზე ზრუნვა.

აღსანიშნავია, რომ „გალდამ“-ის ტრადიცია ახლაც ცოცხალია და ჩვენს დროშიც იგი იკრიბება ყოველი მორიგი საჭიროების დროს, მაგალითად, როდესაც რამდენიმე



ოჯახს სახლ-კარი გადაეწვა ან სახლი წაღეკა მეწყერმა (ლატალიის თემი, ლახამულის თემი, ჩოლურის თემი, იფარის თემი და სხვ.) მთელი თემი ჩაერთო ახალი სახლების შენების პროცესში. რასაკვირველია, თანამედროვე მშენებლობის ეტაპები და საშენი მასალა განსხვავებულია ტრადიციულისაგან და მისი მოპოვება ისეთი შრომატევადი აღარაა, როგორც ძველად იყო. გარდა ამისა, ჩვენ დროში სოციალური სოლიდარობის ზოგიერთი სხვა ფორმაც არსებობს, ტრანსფორმირებული ან თითქმის უცვლელი სახით. ამჟამადაც მოქმედია თანასოფლელთა შორის ტრადიციულად არსებული სულიერი თუ მატერიალური თანადგომის წესები. ტრადიციული ფორმების განვითარების დინამიკა საინტერესო სურათს იძლევა: ჩემს მეხსიერებაში სამი ეტაპი იკვეთება: საბჭოთა პერიოდის ბოლო ხანი, საქართველოს გათავისუფლების შემდგომი ათწლეული, როდესაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა კოლექტიური მეურნეობის ნგრევა და კერძო მიწათმფლობელების სისტემასთან მიბრუნება და ამჟამინდელი დრო, როდესაც მიგრაციამ მკვეთრად შეამცირა მოსახლეობის რაოდენობა სოფლად და ამის გამო ტრადიციული ყოფის ბევრი ფორმა გაქრა ან გაქრობის პირასაა. ყოველ ამ ეტაპზე მოქმედ სოლიდარობის ფორმებს აქვს თავისი კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც, მართალია, იცვლება დროის, კულტურულ-სამეურნეო ან ტექნიკური განვითარების შესაბამისად, მაგრამ სრულ აღმოფხვრას ჯერ-ჯერობით არ ნებდება და ამ ეტაპზეც აგრძელებს არსებობას.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- დავითიანი – ალი დავითიანი, საისტორიო ამბები, 94. – არქივი დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.
- სვანეთის 1986 – სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები, – ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1986.
- ქაღდანი 1978 – ანზორ ქაღდანი, კომკების სამყაროში, თბ., 1978.



## როლანდ თოფჩიშვილი

### ახალი თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ (თეზისური ვარიანტი)

ცნობილია, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ-ერთი რთული პრობლემა ეთნოგენეტიკური კვლევაა. ისიც ცხადია, რომ შედარებით ახალგაზრდა ეთნოსების შესწავლა შედარებით ადვილია — სიადვილეს საკმარისად არსებული საისტორიო წყაროები და ლინგვისტურად მონათესავე ხალხების არსებობა განაპირობებს. ქართველთა წარმომავლობის კვლევა ერთობ რთულია, რადგან ქართული ეთნოსი ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი და მას ენობრივად მონათესავე ეთნიკური ერთობა ფაქტობრივად არ ჰყავს. მიუხედავად სირთულეებისა, ქართველთა ეთნოგენეზის კვლევით არაერთი მეცნიერი დაინტერესდა, რომელთა შორის არიან ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, ფიზიკური ანთროპოლოგები. იყო და არის მცდელობა შემაჯამებელი ნაშრომების შექმნისა. ასეთად შეიძლება გიორგი მელიქიშვილის ნაღვაწი მივიჩნიოთ, რომელიც არ შემოიფარაგლება მხოლოდ საისტორიო წყაროების ანალიზით და ფართოდ იყენებს ზემოთ დასახელებული ყველა მეცნიერების მონაცემებს, მათ შორის, საისტორიო მონაცემებს, როგორც ქართულს, ისე არაქართულს. ამ სფეროში მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა არქეოლოგმა ოთარ ჯაფარიძემ. პრობლემას წიგნი მიუძღვნა ისტორიკოსმა გურამ ყორანაშვილმა, რომლის კრიტიკული შენიშვნებიც სტიმულს აძლევს ქართველთა ამ ადრეული ისტორიის შესახებ კვლევების გააქტიურებას.

ხაზგამით უნდა ითქვას, რომ ქართველთა წარმომავლობის შესახებ საისტორიო წყაროები არარეალურ ვითარებას ასახვს

და მხოლოდ იმდროინდელი ავტორების წარმოსახვასა და გარკვეული მოსაზრებით ჩამოყალიბებულ მიზანმიმართულ კონცეფციას წარმოადგენს. უცხოური წყაროები კი მხოლოდ საქართველოსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე დასახლებული ხალხების სახელწოდებებს ეხება. ამ მხრივ სირთულეს ის წარმოადგენს, რომ უცხოურ წყაროებში მოხსენიებული სახელწოდებები მხოლოდ ეგზოეთნომიმებია და არცერთი მათგანი ენდოეთნონიმი არაა.

ალარ ვისაუბრებთ ეთნოგენეზური პროცესების გამომწვევ მიზეზებზე. პირველ რიგში ეს იყო ხალხთა გადასახლებები ერთი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოდან მეორეში და სხვადასხვა ხალხების შერევა. შერევას კი, უპირველეს ყოვლისა, შერეული ქორწინებები, საერთო იდეოლოგია (რელიგია) განაპირობებდა. მოგვიანო პერიოდში ეთნიკურ ერთეულთა შერევის ერთ-ერთი ფაქტორი სახელმწიფოებრივი ბერკეტები იყო (ამის მაგალითად ფრანგი და თურქი ხალხების ფორმირება შეიძლება დავასახელოთ). ერთხანს მიგრაციები ეთნოგენეტიკური პროცესების ერთადერთ ძირითად მიზეზად გამოცხადდა. ამან განაპირობა ე. წ. მიგრაციული თეორიის გაბატონება და ქართველი ხალხის მიგრაციის თეორიის ჩამოყალიბება მისი განსახლების არეალში. „მიგრაციულ თეორიას“ ხარკი ქართველმა მეცნიერებმაც მოუხადეს, მათ შორის იყო ივანე ჯავახიშვილი. თუმცა, როგორც არქეოლოგ გოგი ლომთათიძეს აქვს დაფიქსირებული ივანე ჯავახიშვილმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე პირად საუბარში საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე ქართველთა მოსულობა უარჰყო.

ეთნოგენეზური კვლევა ძირითადად სამი პრობლემის კვლევას ითვალისწინებს; ესაა ტერიტორია, სადაც მოხდა ამა თუ იმ ეთნოსის წარმოქმნა, ენა (რომელ ენას ენათესავენა საკვლევი ეთნიკური ერთობის ენა) და ეთნიკურ კულტურა.

ქართველ ენათმეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული ენა და ქართველური მეტყველებანი მონათესავეა



ჩრდილოეთკავკასიური ენებისა. უცხოენოვან ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში ეს მოსაზრება გაზიარებული არაა. ამ შეხედულების მიმდევრები არ ასაბუთებენ თუ რამ გამოიწვია კავკასიაში მცხოვრები ეთნიკური ერთობების ფორმირება. ახალი ენების წარმოქმნა იყო თუ არა სხვა ენობრივ ჯგუფებთან შედრევის შედეგი და სხვ. ჩვენც არ ვიზიარებთ ამ შეხედულებას, განსაკუთრებით აფხაზურ-ადიღეური ენების მიმართ. ყოველ შემთხვევაში, თუ ოდესღაც ეს ენობრივი ნათესაობა არსებობდა, ის ძალიან შორეული წარსულში უნდა არსებებოდა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წინარეაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ჯგუფების მკვიდრობის რაიმე ფაქტი საერთოდ გამოირიცხა თანამედროვე ლინგვისტთა გამოკვლევებით. თეიმურაზ გვანცელაძე წერს: „აფხაზური მოსახლეობა არასოდეს ბინადრობდა გურიაში და აკად. ნ. მარის „თეორიას“ მთელ დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად აფხაზთა წინაპრების ცხოვრების შესახებ არა აქვს არც ლინგვისტური და არც ისტორიული საფუძვლები“. „იგივე ითქმის დასავლეთ საქართველოში ფს(ა), ყვა, რა ელემენტებიანი და ზოგი სხვა ტიპის ტოპონიმების, ჰიდრონიმებისა და სატომო სახელების მცდარი ანალიზის საფუძველზე შექმნილი შეხედულებების შესახებ, თითქოს ასეთი ენობრივი ფაქტები ადასტურებდნენ დასავლეთ საქართველოში წინარე-აფხაზურ-ადიღეურ ტომთა ცხოვრებასა და მათ შემდგომ ასიმილაციას გვიან მოსული ქართველური მოსახლეობის მიერ. თანამედროვე მკვლევარები უკვე აღარ იზიარებენ ამ დაუსაბუთებელ „თეორიებს“ და ახლებურად ხსნიან ამგვარა ფაქტებს (იხ.: ა. ონიანის, ტ. ფუტყარაძის, მ. ჩუხუას და სხვათა ახალი გამოკვლევები)“. ვიზიარებ ნიკო სილაგაძის, შეხედულებას: „იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობა რომც არსებობდა, მას იმდენად შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი, რომ ქართველთა ეთნოგენეზზე საუბრისას იგი გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნებოდა“.

ქართველ ენათმეცნიერთა ზოგიერთი წარმომადგენელი მიიხედავს, რომ რამდენიმე ენის ერთ ენათა ოჯახისადმი მიეკუთვნებოდა ეთნოგენეზის პრობლემის გადაწყვეტას ნიშნავს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ქართული ენის იბერიულ-კავკასიურ ენათა წევრობა თურმე ქართველთა ეთნოგენეზის საბოლოო გადაწყვეტის დამადასტურებელია. ენობრივი დიფერენციაცია სრულიად არ ნიშნავს ეთნოგენეზს. თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიური პრობლემატიკის ქართულ ეთნოსში შემოდინება თითქმის მუდმივად ხდებოდა.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეთნოსის მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სტრუქტურა ჰქონდა (ამიტომაც არ შეიძლება სხვადასხვა ეთნოსებს განვითარების ერთნაირი გზა გაეგლოთ). ქართულ ეთნოსსაც განსაკუთრებული სტრუქტურა გააჩნდა. მხედველობაში გვაქვს ქართულ სალიტერატურო ენასთან ერთად მასთან ახლოს მდგომი ენების-მეტყველების არსებობაც. ესენია მეგრულ-ლაზური ანუ ზანური და სვანური.

ქართველი მემატეანის ლეონტი მროველის კონცეფცია გენეტიკური პრინციპს მიეკუთვნება. იმ დროის მემატეანებისათვის ძირითადად ეს პრინციპი იყო გაბატონებული, რაც ითვალისწინებდა ლეგენდარულ წინაპარს/მამამთავარს. თუმცა, ლეონტის პრინციპით, ქართველთა წინაპარი — ქართველოსი და მისი ძმა — ეგროსი — სამხრეთიდან იყვნენ მოსული. შუა საუკუნეების ავტორების დიდი ნაწილი „წინარესამშობლოს“ ეძებდა. ეს თეორია პირდაპირ მიგრაციას ითვალისწინებდა. მაგრამ, საზგასმით უნდა ითქვას, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში (ერთადერთი გამონაკლისი ისლანდიელები არიან) ხდებოდა ახალი ეთნოსის წარმოქმნა ერთი ეთნოსიდან მისი ერთი ჯგუფის გამოყოფით. ახალი ეთნოსების ფორმირება აუცილებლად ხდებოდა ორი და მეტი ეთნიკური ერთობის შერევის შედეგად.



ფაქტობრივად მიმდინარეობდა ახალი ეთნოსის ფორმირება. ამიტომ პირდაპირ ვერ ვისაუბრებთ ამა თუ იმ ეთნოსის „წინარესამშობლოზე“ — მხოლოდ პროტოეთნოსის მიგრაცია ზღებოდა, რომელიც ახალ ეთნოსად გარდაიქმნებოდა. ამდენად, როდესაც ზოგიერთი მეცნიერი ქართველთა „წინარესამშობლოსა“ და მიგრაციაზე საუბრობდა და საუბრობს, აუცილებელად გასარკვევია, ეს ქართველთა მიგრაცია იყო, თუ პროტოქართველებისა. ჩვენი დასკვნით, ქართველთა ეთნოგენეზი თანამედროვე და მის მიმდებარე ისტორიულ ტერიტორიაზე მოხდა პროტოქართული და სხვა ეთნიკური ერთეულების შერევის შედეგად, თუმცა ეს პროცესი ამით არ დამთავრებულა. თავდაპირველ ქართულ ეთნიკურ და ენობრივ ერთობაზე შემდეგ რამდენიმე დაფენევა მოხდა უცხო და სხვა ენის მატარებელი ჯგუფებისა. იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ თავდაპირველი ქართული ეთნიკური ერთობა და მისი მონათესავე ჯგუფები უფრო სამხრეთითაც იყვნენ განსახლებული, რომელთა სახელწოდებებს „ეთნომინებს“ ჩვენამდე არ მოუღწევიათ (აქ მხედველობაში არა გვაქვს სახელწოდებები, რომლებიც უცხოურ წყაროებშია დაფიქსირებული) — ამ წინარე ქართველური ჯგუფების ნაწილი სხვა ეთნოსებში განივთდა, რომელთა შორის სომხური ეთნოსი უნდა დავასახელოთ, რასაც ინდოევროპულ სომხურ ენაში ისეთი ფონეტიკური ფაქტები ადასტურებს, როგორიცაა ქართულისათვის დამახასიათებელი „წ“ და „ჭ“ ბგერები. მეცნიერები ხშირად ერთმანეთში ურევენ გლოტოგენეზისა და ეთნოგენეზის პროცესებს. ქართველი მეცნიერები, განსაკუთრებით ენათმეცნიერები, ფართოდ გამოიყენებდნენ ტოპონიმიკურ მონაცემებს და ხშირად ორი-სამი ტოპონიმის საფუძველზე ასკვნდნენ, რომ ამა თუ იმ ქართულ ტერიტორიაზე ქართველებამდე სხვა ეთნიკური ჯგუფები მკვიდრობდნენ. თუმცა, ისინი თავს არ იწუხებდნენ იმ ფაქტის ძიებით ეს ტოპონიმები სუბსტრატული იყო, თუ ადსტრატული.

ქართველთა სამხრეთიდან მიგრაციის მიმდევრები იმასაც „ასკვნდნენ“, რომ უფრო ადრე, ამ მიგრაციულ პროცესამდე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღური (დასავლეთ საქართველოში) და ნახურ-დაღესტნური ტომები ცხოვრობდნენ, რომლებიც ქართველური ტომების მოწოდების შედეგად იძულებული იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში გადანაცვლებულიყვნენ. ამის საფუძველს მათ რამდენიმე ტოპონიმი აძლევდა. მაგრამ ყველა მოსაზრებას თავისი დასაბუთება სჭირდება, არა მხოლოდ ენობრივი, არამედ საისტორიო, ანთროპოლოგიური, გეოგრაფიული, არქეოლოგიური. როდის უნდა მომხდარიყო ეს ფაქტი. არავინ არ დასვა საკითხი, შეერივნენ თუ არა ისინი მოსულებს? გარდა რამდენიმე ტოპონიმისა, მათი ენიდან შემოვიდა თუ არა რაიმე ლექსიკური ერთეული? ეს შეხედულება დღეს ველარავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცნობილია, რომ აფხაზურ-ადიღური ეთნიკური ერთობა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ჩრდილოეთ კავკასიაში ჩრდილოეთიდან გადმოსახლდა, მას შემდეგ, რაც მას ირანულენოვანი მომთაბარეები შეერივნენ. მათი, უფრო სწორედ, პროტოადიღელების თავდაპირველი განსახლების არეალი იყო სტეპების ზონა — მდინარე ყუბანის ჩრდილოეთი ტერიტორია — აზოვისპირეთი და მიმდებარე შავი ზღვის ჩრდილოეთი, დონის შესართავიდან ჩრდილოეთი ტერიტორია 80-100 კილომეტრის ფარგლებში (ვ. გუდაკოვი).

მართალია, ქართველთა ეთნოგენეზის კვლევებში ფართოდაა გამოყენებული არქეოლოგიური მონაცემები, ანუ ის მატერიალური კულტურა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, მაგრამ, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ არქეოლოგიური მატერიალური კულტურა ეთნოგენეტიკურ კვლევებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ინდოევროპული ენების დაფენების შესახებ, ხელახლდა გასაზრებელი. მიაჩნიათ, რომ ერ-



თი არქეოლოგიური კულტურა ერთი რომელიმე ეთნოსის მატარებელი ჯგუფისა იყო. ეს პრობლემაც გადასახდია გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით. იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკური ანთროპოლოგიის შესახებ, რადგან ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ელემენტები ყველაზე განსხვავებული ხალხებისთვისაც არის დამახასიათებელი.

ქართველთა ეთნოგენეზზე როდესაც საუბრობენ, აუცილებლად ეხებიან თავდაპირველი/საერთოქართველური ენის დიფერენციაციას. და, რაც მთავარია, ამ დიფერენციაციის თარიღებიცაა შემოთავაზებული. რადგანაც ქართული ეთნოსის სტრუქტურა თავისებურია, აუცილებელია ამ საკითხსაც შევეხოთ. ეს სტრუქტურა სწორედ ენობრივად დაშორებული ჯგუფების არსებობას გულისხმობს. ენობრივი დაშორების შემდეგ, რამ გამოიწვია ოდესღაც ერთიანი ქართველური ეთნოსის შენარჩუნება? რამ გამოიწვია ეს ენობრივი დიფერენციაცია? ენათმეცნიერთა შორის საერთო-ქართველური ენის დაშლისა და მისგან სვანური, მეგრულ-ჭანური და ქართული მეტყველებების წარმოქმნის დროის შესახებ ერთიანი შეხედულება არ არსებობს, რაც, როგორც სხვაგანაც გვქონდა აღნიშნული, იმის შედეგია, რომ მკვლევარებს ამ პრობლემის კვლევისას მყარი მეთოდოლოგიური მიდგომა არ გააჩნიათ და ეს საკითხი ძირითადად ვარაუდებსა და ნებისმიერობაზეა დამოკიდებული. ყველაზე მისაღებად ითვლება ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან სვანურის გამოყოფა, ხოლო ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ქართულისა და მეგრულ-ჭანურის გამოცალკეება. რუსი ენათმეცნიერი გიორგი კლიმოვი წინარე-ქართველური ენიდან სვანურის გამოყოფას ძვ. წ. XIX საუკუნით ათარიღებდა, ხოლო ზანურისა, ქართულ-ზანური ენიდან — ძვ. წ. VIII საუკუნიდან. უფრო შორს წავიდნენ ვიანესლავ ივანოვი და თამაზ გამყრელიძე, რომლებიც აცხადებენ, რომ წინარექართული (ქართველური) ენა

ფუნქციონირებდა ძვ. წ. IV-III ათასწლეულის დასაწყისში, ხოლო II ათასწლეულის დასაწყისში კი დაიწყო ზანური და ქართული ენების დიფერენციაცია (დაშორიშორება). არის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ქართული და მეგრულ-ჭანურის მეტყველებების წარმოქმნა (დაშორიშორება) ძველი და ახალი წელთაღივხვების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო (ტ. ფუტკარაძე). ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციის სიღრმეში გადატანა მაინცდამაინც მყარ მეცნიერულ არგუმენტებს არ ემყარება.

ზემოთ წარმოდგენილი შეხედულების ავტორები არ ხსნიან იმის მიზეზებს, თუ რამ განაპირობა საერთოქართულის (წინარექართველურის) დაშლა სხვადასხვა ენებად (მეტყველებად). ეს იყო გეოგრაფიული ფაქტორის როლი თუ სხვა მოსულ ეთნიკურ ერთობებთან შერევის შედეგი. რომელ ქართველურ მეტყველებასთან იდგა ყველაზე ახლოს წინარექართველური? მეცნიერები საერთო მოსაზრების არიან, რომ ქართული ენის (შემდეგდროინდელი სალიტერატურო ენის) გავრცელების არეალი თავდაპირველად არ მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, აგრეთვე საქართველოს იმ ნაწილს, რომელსაც, თავის დროზე, ჰერეთი ეწოდებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს, და, რომ შემდეგ, მოგვიანებით მოხდა დასახელებული გეოგრაფიული რეგიონების ქართიზაცია. ამ ტერმინის — „ქართიზაციის“ — მიუღებლობა და არამეცნიერულობის შესახებ სრულიად სამართლიანად მიუთითა ტარიელ ფუტკარაძემ. ჩვენ მის შეხედულებას ვიზიარებთ. მივიჩნევთ, რომ თავდაპირველ ქართულთან ანუ წინარექართულთან ყველაზე ახლოს იდგა ზანური (მეგრულ-ჭანური) და არა ის ენა, რომელსაც სალიტერატურო ქართული დაეყრდნო. ამ ენაზე მოსაუბრენი ცხოვრობდნენ არა მარტო დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონში, სადაც გვიან მეგრულ-ჭანური იყო გავრცელებული, არამედ მთლიანად იმ ტერიტორიაზე, სადაც მოგვიანო პერიოდში



სვანურად და ქართულ ენებზე მოსაუბრენი ცხოვრობდნენ, ჭოროხისა და მტკვრის სათავეების ჩათვლით.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილიც აღნიშნავდა: „...არქეოლოგიური თუ ისტორიული ტოპონიმიკური მონაცემები და წერილობითი ცნობები თითქო თანხმობით მოწმობენ, რომ გარკვეულ დროს (შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში) აწინდელი ტაოკლარჯეთის, სამცხისა და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა აღმოსავლურ ქართული ტომების გვერდით“. მოყვანილ ციტატაში ყველაფერი ნათელია და მისაღები, მაგრამ ბოლო წინადადება გაურკვეველობას ჰქნის – აღმოსავლურ ქართულ ტომებსაც ხომ უნდა მოეძებნყო ადგილი? ამიტომაც იყო, რომ თვით ნიკო ბერძენიშვილი და სხვებიც ამ აღმოსავლურ ქართული ტომების (ქართების, იბერების) განსახლების არეალსაც ეძებდნენ იქვე ან გვერდით (მას ასეთად ქვემო ქართლი წარმოუდგინა). ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ გამართლება მოეძებნათ „ქართიზაციის“ თეორიისათვის. არადა ფაქტია, რომ იმ დროს ჯერ კიდევ ერთიანი ქართული ეთნოსი დიფერენცირებული არ იყო და ის თავისი ერთი ახლოს იდგა ზანურთან. ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად ნიკო ბერძენიშვილი ტოპონიმებს მოიხმობდა, რომლებსაც „მეგრულ-ლაზური ენის მატარებლთა ნაკვალევს“ უწოდებდა. აქვე უნდა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – შიდა ქართლში არსებული ზანიზმების დიდ რაოდენობას ერთად მოუყარა თავი გურამ ყორანაშვილმა.

კიდევ ერთ ციტატას შემოგთავაზებთ, რომლის ავტორია მარიამ ლორთქიფანიძე: „როგორც ცნობილია, ისტორიული საქართველოს (ძირითადად დასავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს) დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულია სვანური და მეგრული (!) ტოპონიმები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც არის არა საკუთრივ სვანური ან მეგრული (!), არამედ ფუძე ქართული ენის (!) კუთვნილება, საიდანაც ნაწილი

სვანურს შემორჩა, ნაწილი მეგრულს და არ შევიდა ქართულში, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს ამ ტოპონიმების გავრცელების ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე ქართული ეთნოსის არსებობას“ („აფხაზეთი და აფხაზეთი“).

რას უნდა გამოეწვია საერთოქართველური ენის დიფერენციაცია, ქართულის დანარჩენ ტერიტორიებზე გავრცელება, მაკალითად, იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ლეჩხუმში, აჭარაში, სამხრეთ საქართველოში? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართიზაციას გამოვრიცხავთ, რადგან ქართიზაციის დემოგრაფიული რესურსი ქართლს არასდროს არ ჰქონია. ენობრივი დიფერენციაცია, ჩვენის აზრით, იყო გამოწვეული ინდოევროპული ტომების განფენის/დაფენების ქართველთა განსახლების არეალში. ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ბევრია ინდოევროპული ლექსიკა. ინდოევროპული ლექსიკური ერთეულები არაა დადასტურებული მეგრულ-ჭანურსა და სვანურში. ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში დადასტურებულია ბევრი ზანიზმი, განსაკუთრებით, ტოპონიმები. ქართლსა და სამხრეთ საქართველოში ზანური ტოპონიმების არსებობის სხვა გზა არ არსებობს – ეს ტოპონიმები იმ დროსაა შექმნილი, როდესაც ადგილობრივი ავტოქტონი მოსახლეობა თავდაპირველ ქართველურ ენაზე საუბრობდა, რომელიც ზანურთან იდგა ძალიან ახლოს. აგრეთვე კოლხური არქეოლოგიური კულტურა შიდა ქართლსაც მოიცავს. ეს ორი ფაქტი გვძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: 1. საერთოქართველური ყველაზე ახლოს იდგა მეგრულ-ჭანურთან (გიორგი მელიქიშვილის ვარაუდითაც საერთო-ქართველური იყო „კოლხური კულტურა“ – ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი – ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი), 2. საერთოქართველიდან ქართული ენის გამოყოფა (და არა პირიქით, ზანურისა) მოხდა ინდოევროპული ენების შერევის შედეგად. ენები



მრავლობით რიცხვში ვინმარეთ იმიტომ, რომ ინდოევროპული ჯგუფების შემოსვლა ქართველთა განსახლების არეალში ერთჯერადი ფაქტი არ ყოფილა. მინიმუმ ინდოევროპელთა ორი ჯგუფი (თუ მეტი არა), დაეფინა წინარექართულს.

ვინ იყვნენ ეს ინდოევროპელები, ან როდის მოხდა მათი მიგრაცია? მიგვაჩნია, რომ პირველი ასეთი ინდოევროპელები თრიალეთის კულტურის (ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული - II ათასწლეულის პირველი ნახევარი) მატარებელი იყვნენ. რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? - ოთხთვლიანი ეტლი. ცნობილია, რომ ქართველთა განსახლების არეალისათვის რელიეფიდან გამომდინარე ოთხთვლიანი ეტლი არ იყო დამახასიათებელი, რადგან ასეთი ეტლის მთავორიანი პირობებში მოტრიალება შეუძლებელი იყო, ხოლო ორთვლიანი საზიდი საშუალება ფაქტობრივად ერთ ადგილზე ტრიალდებოდა. თრიალეთსა და მისი მიდამოებში ინდოევროპელებმა თავიანთი ბარული განსახლების არეალიდან მოტანილი ოთხთვლიანი საზიდი საშუალება დასაკრძალავად გამოიყენეს.

მეორე ინდოევროპული ერთობა, რომელიც ქართველურ ეთნიკურ ერთობას შეერია მესხები იყვნენ, რომელთა არაქართული - ასირიული სახელწოდება „მუშქები“ იყო, რომლებიც ჯერ კიდევ ძვ. წ. XII საუკუნეში საქართველოსაგან ძალიან შორს, სამხრეთში ცხოვრობდნენ. მუშქების (მესხთა) მოსვლა თავდაპირველად სამხრეთ საქართველოში უნდა მომხდარიყო ძვ. წ. VIII საუკუნეში, სადაც ისინი მთლიანად ჭოროხის ხეობისა და მტკვრის ზემო წელის (ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის, სამცხე-ჯავახეთის) საერთოქართულენოვან მოსახლეობას შეერივნენ და ერთ-ერთ ტერიტორიულ ერთობას/ჯგუფს სახელწოდებაც გადასცეს. ამის შემდეგ, ისინი თანდათანობით გავრცელდნენ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ ქართლში (სწორედ ამ მიგრაციის შედეგი იყო ტოპონიმ „მცხეთის“ წარმოქმნა). რატომ გავრცელდნენ „მესხები“ სწრაფად საქართვე-

ლოს დანარჩენ ტერიტორიაზე ასე სწრაფად? მიზეზი გეოგრაფიული ფაქტორია. სახენელი მიწის შედარებით სიმცირე აიძულებდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას ქართლისა და შემდეგ კახეთის ნაყოფიერი ველები აეთვისებინათ. ასეთი მიგრაციული პროცესი შემდეგშიც არაერთხელ განხორციელდა. იქ, სადაც ინდოევროპელებმა მოახერხეს საერთო-ქართველურ ეთნიკური ერთობის ტერიტორიაზე გავრცელება, მივიღეთ უკვე განსხვავებული ენა - ქართული, ხოლო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო, სადაც ვერ შეაღწიეს, დარჩა ფაქტობრივად ხელუხლებლად საერთოქართველური მეტყველება. ძნელია არაა იმის გამოცნობა, რომ ეს იყო ზანებისა და შემდეგდროინდელი სვანების განსახლების არეალი. ეს საერთოქართველური ეთნიკური ერთობა აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის იმ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა, სადაც ე. წ. ყობანური კულტურის გავრცელების არეალი იყო, რომელიც ფაქტობრივად, კოლხურ კულტურას წარმოადგენდა. ამდენად, საერთოქართველური ენის დიფერენციაცია დაიწყო ინდოევროპული ტომების (ჯერ თრიალეთის კულტურის მატარებლების და შემდეგ, მუშქების/მოსხების/მესხების) ინფილტრაციის შედეგად.

ინდოევროპელთა და წინარექართველთა ურთიერთშელწევის შესახებ, უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ქართველთა მიერ ინდოევროპელთა ასიმილაციის შესახებ გიორგი მელიქიშვილიც წერდა: „ბუნებრივად იბადება აზრი ძველი ამიერკავკასიური „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელთა შესაძლო ინდოევროპული წარმოშობის შესახებ, რომელნიც შემდეგში ასიმილირებულ იქნენ (ენის თვალსაზრისით) წინააზიური ტიპის ენების მატარებელთა, კერძოდ, ქართველურ ტომთა მიერ, რომელთათვისაც აღნიშნულმა ინდოევროპულმა მოსახლეობამ სუბსტრატის როლი შეასრულა („მძლავრი გავლენა მოახდინა გამარჯვებულთა - ქართველურ ენათა სტრუქტურაზე და ლექსიკაზე“)“. აქ მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ვრცელი



არეალი ფაქტობრივად გამორიცხავს იმას, რომ ის მხოლოდ ერთი ან მონათესავე რამდენიმე ეთნიკური ერთეულის საკუთრება ყოფილიყო.

რატომ შემოვიდნენ ინდოევროპელები მაინცდამაინც წინარექართველთა განსახლების იმ არეალში, რომელიც შემდეგ თანამედროვე ქართული ენის განფენის არეალად იქცა და არა კოლხეთის დაბლობზე, შავი ზღვისპირეთში ანუ იმ სივრცეში, სადაც მეგრულ-ჭანები და აგრეთვე იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდეგ სვანები ცხოვრობდნენ? ისინი ისტორიული საქართველოს იმ ტერიტორიაზე გავრცელდნენ, რომელიც ნომადების ინტერესებში შედიოდა მათი მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე. მიწათმოქმედი და საძიწათმოქმედო პროდუქტების მჭამელი ქართველი ტომებისაგან განსხვავებით, ინდოევროპელები მეცხოველეობის მიმდევრები და ხორცის მჭამელები იყვნენ. ქართულ ლანდშაფტში მოსული მომთაბარეები იძულებული იყვნენ ადგილობრივი მეურნეობის ფორმას ზიარებოდნენ, რამაც დააჩქარა მათი ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში გათქეფვა.

არსებული შეხედულებით სვანური მეტყველება საერთო-ქართველურს ყველაზე ადრე გამოეყო. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ყველაფერი პირიქითაა: ყველაზე გვიან ის ფორმირდა. თუმცა, როდის? არნოლდ ჩიქობავას შეხედულებით, სვანურის წარმოქმნაში მონაწილეობა მიიღო აწ არარსებულმა ერთ-ერთმა ჩრდილოეთკავკასიურმა ენამ. ცნობილია, რომ სვანები ადრე ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლერე რაიონებშიც ცხოვრობდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან სავარაუდოდ საქო, შეერია სხვა ენაც, მოხდა ინფილტრაცია ერთ-ერთი თურქული ენისაც. ეს თურქული ენა კი ავარების ენა, უფრო სწორედ, მათი ერთი დანაყოფის — სავირების/სავიარების ენა იყო, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის მთებში VI საუკუნის შუა ხანებში შემოვიდნენ. დღესაც სვანეთში არაერთ გვარსა და გვარის დანაყოფს დაგისახელებენ, რომლებსაც „სავიარებს“ უწოდებენ. ამრიგად,

სვანური მეტყველების საბოლოო ფორმირება, საერთოქართველური ენიდან (რომელიც ახლოს იდგა მეგრულ-ჭანურთან) გამოყოფა ყველაზე გვიან მოხდა — ახ. წ. VI საუკუნიდან. რატომ მაინცდამაინც თურქული? — ეს ცხადია ენობრივი ფაქტით. სვანური შეიცავს უმლაუტებს. უმლაუტები კი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია თურქული ენებისათვის.

ამრიგად, საერთოქართული ენა ისტორიული და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე იყო განფენილი და მას ყველაზე მეტი საერთო ზანურთან (მეგრულ-ჭანურთან) გააჩნდა. საერთოქართველურის დიფერენციაცია (დაშლა) გამოიწვია უცხო-ქოვანი ეთნიკური ერთობების მიგრაციამ და მათი წინარექართველთა განლაგების არეალში განსახლება-განფენამ. მოსული ეთნიკური ერთობები ქართველებში გაითქვიფნენ, მაგრამ ისინი იმდენად მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ, რომ თავისი კვალი დაამჩნიეს ქართულ ენას. ასე ჩამოყალიბდა ქართული ეთნოსის თავისებური ეთნიკური სტრუქტურა. ენობრივმა დიფერენციაციამ არ განაპირობა მათი ცალკეულ ეთნოსებად გადაქცევა. თუ რატომ, ამის შესახებ ამჯერად ძალიან მოკლედ შეიძლება ვუპასუხოთ. ცნობილია, რომ ეთნოგენეტიკურ პროცესებში დიდ როლს თამაშობდა ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორი. ქართველთა განსახლების არეალი ნაირგაროვანი ლანდშაფტისა იყო, რაც აიძულებდა მათ ერთმანეთთან მჭიდროდ სამეურნეო-ეკონომიკური კავშირუროთიერთობა ჰქონოდათ. სხვა მხრივ ბევრი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის არსებობა შეუძლებელი იყო. შემდეგ მოგვიანო ხანიდან ყველა ქართველის კონსოლიდაციის საფუძველს ჰქმნიდა იდეოლოგია — აღმოსავლური ქრისტიანობა და, სახელმწიფოებრიობა. თავის მხრივ, ქართველთა მისწრაფებას, განსაკუთრებით მისი განაპირა მხარეებისას, გაერთიანებისაკენ სწორედ გეოგრაფიული და აქედან გამომდინარე ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა.



სად იყო ქართველთა, უფრო ადრე პროტოქართველთა განსახლების არეალი? მიგვაჩნია, რომ ეს იყო თანამედროვე საქართველოს ძირითადი ტერიტორია, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი, აფხაზეთი და მისი ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, სადაც გიორგი ახვლედიანმა ისეთი თანხმობიანი ტოპონიმები გამოავლინა, როგორც მხოლოდ ქართველური ენებისათვისაა დამახასიათებელი. ეს ტერიტორია მოიცავდა აგრეთვე ე. წ. ყობანური კულტურის გავრცელების არეალს, რომელიც ფაქტობრივად კოლხური კულტურის ვარიანტი. საყურადღებოა, რომ ნიკო სილაგაძეს წინარექართველური ერთობის კუთვნილებად მიაჩნია ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიური კულტურა, რომელიც „მაიკოპის კულტურის“ სახელს ატარებს და რომელსაც მეცნიერები ძვ. წ. 2500-2000 წლებით ათარიღებენ. თუმცა ვერ გავიზიარებთ იმას, რომ სწორედ ამ პროტოქართველებსა და ინდოევროპული ენათა ოჯახის გერმანულ, ბალტიურ და სლავურ ენებთან ზღებოდა ლექსიკური შეხვედრები. თავდაპირველი ქართველური რომ კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა, ამას ისიც მოწმობს, რომ დვალეთის (რომელიც მუდმივად საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა) 1818 წლის აღწერაში ოს მამაკაცებს შორის თითქმის ნახევარზე მეტი ისეთი ანთროპონიმები იყო გავრცელებული, როგორც სამეგრელოში. დვალეთშივეა არა ერთი და ორი ტოპონიმი, რომლებიც ზანურით იხსენება. წინარექართველთა/პროტოქართველთა განსახლების არეალად ვერ მივიჩნევთ კოლხეთის დაბლობს, განსაკუთრებით მის ზღვისპირა მონაკვეთს, რადგან მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო (ჭაობიანი ნიადაგი) ადამიანებისათვის მიმზიდველი არ იყო.

რატომ გახდა ქართლი სახელმწიფოებრიობის ცენტრი? რატომ იქცა საერთოქართულ კულტურულ, საღვთისმეტყველო და სახელმწიფო ენად ქართული ენა და არა სხვა? აქაც განმ-

სახლვერელი გეოგრაფიული ფაქტორი იყო. ქართლი საქართველოს ცენტრში მდებარეობდა. ამავე დროს აქ იყო დიდი რაოდენობით სახნავ-სათესი მიწა, აგრეთვე სათიბი და საძოვარიც. მაგრამ აშკარაა, რომ ქართლი მხოლოდ გვიანდელ ქართლს არ ეწოდებოდა. შემთხვევითი არაა, რომ შუა საუკუნის ქართული წყაროები მთელ სახრეთ საქართველოს „ზემო ქართლს“ უწოდებდნენ, რომელიც მთელ სამცხე-სათაბაგოს მოიცავდა. ასე რომ, საქართველოში სამი ქართლი იყო: ზემო ქართლი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი, სადაც თავდაპირველად უნდა მომხდარიყო სწორედ ქართული ენის წარმოქმნა, საერთოქართველური ენიდან მისი გამოყოფა. საამისო დასკვნის გაკეთების საშუალებას (რომ სამხრეთი საქართველო) ქართლი იყო, გვაძლევს ის ტოპონიმები რომლებიც ერთი ჭოროხის ხეობაშია და მეორე – მტკვრის ზემო წელზე. ადრე გამოთქმული ვექონდა მოსაზრება, რომ „მოქცევაი ქართლის“ „არიან-ქართლი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა „არსიან-ქართლი“. უბრალოდ, ტექსტის გადაშწერს „არსიანი“-დან „ს“ გამორჩა და მივიღეთ „არიან-ქართლი“. არსიანის/არიანის ქედი კი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კი არ თიშავდა ჭოროხისა და მტკვრის აუზების მოსახლეობას, არამედ ის გამაერთიანებელი იყო. კლარჯეთში, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე დღესაცაა შემორჩენილი ოიკონიმი (სოფლის სახელი) – „ქართლა“ („ქართლა“ ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლაა და თითქმის მთელ შავშეთსა და კლარჯეთს დაჰყურებს). ანალოგიური ტოპონიმი მტკვრის ხეობის ზემო წელში, არტაანის „ქვეყანაშიც“ არსებობდა (მთა „ქართალი“ ზღვის დონიდან 2.521 მეტრზე არსებობდა კოლასა და არტაანს შორის). ცნობილია და არაერთი შემთხვევა გვაქვს, ტოპონიმების უფრო დიდ ტერიტორიულ ერთეულებზე გადატანისა და შემდეგ კი – მთელ ქვეყანაზე. ასე რომ, შუა საუკუნეების ზემო ქართლი იგივე „არიან/არსიან-ქართლია“.



ამრიგად, ასეთია ქართველთა ადრინდელი ეთნიკური ისტორიის (ეთნოგენეზის) ჩვენეული ხედვა. თანამედროვე ქართული ეთნოსი ჩამოყალიბებულია წინარექართველებისა/პროტოქართველებისა და ინდოევროპელების შერევის შედეგად. ქართული ეთნოსის ერთ ნაწილს შეერია ჩრდილოეთკავკასიური და თურქული ელემენტიც. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე გრძელდებოდა სხვადასხვა ჩრდილოეთკავკასიური ეთნიკური ერთობების ინფილტრაცია. წინარექართულთა ნაშთს წარმოადგენს ზანური (მეგრულ-ჭანური) მოსახლეობა, რომელმაც შემოინახა ის ენა, რომელზედაც ყველა ქართველის წინაპარი ერთ დროს საუბრობდა. თუმცა არც სამეგრელოსა და ლაზეთის მოსახლეობა ყოფილა იზოლატი, სხვადასხვა ეთნიკურ ერთობათა შეჭონვა აქაც ხდებოდა. ასე რომ, არაა მართალი ლევ გუმილიოვი, როდესაც ის სამხრეთ კავკასიის ეთნოსების (და მათში ის, პირველ რიგში, ქართველების გულისხმობდა) იზოლატობაზე საუბრობდა. ეს ახალ შეხედულება, შესაძლოა, ყველამ არ გაიზიაროს. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილ არგუმენტებს არსებობის უფლება აქვს. თეზისურ ვარიანტში შეუძლებელი იყო სათანადო ლიტერატურის მითითება. მომავალში ჩვენი შეხედულების სასარგებლოდ არგუმენტები სათანადოდ იქნება წარმოდგენილი.

## თინა იველაშვილი

### ქართველ ებრაელთა რელიგიური დღეობები სამცხე-ჯავახეთში

ცნობილია, რომ ებრაელისათვის არსებობა იუდეველად ყოფნას ნიშნავს, რაც რჯულის დაცვას, ანუ წეს-ჩვეულებათა ერთგულებას გულისხმობს. ამიტომ ქართველ ებრაელთა კალენდარულ თუ რელიგიურ დღეებს მათ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მთელი რიგი თავისებურება-სპეციფიკურობით გამოირჩევა.

იუდაისტური რელიგია ადრინდელ ღვთისაღმი სწრაფვა-სიყვარულისაკენ იყო მიმართული. დღეობა-დღესასწაულები ებრაელების სოციალური ურთიერთობების, სულიერი თუ მატერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს და თითოეულ მათგანში თვალნათლივ იკვეთება მდიდარი, დახვეწილი, ამავე დროს განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნების მატარებელი ყოფითი ტრადიციები. ეს დღეობები, მათში შემავალი რიტუალებით, აგარარულ თუ ასტრალურ კულტებთან იყო დაკავშირებული.

იუდაიზმის მთავარი დღესასწაულები წარმოშობისთანავე ორგვარ ხასიათს ატარებს: ისინი აღნიშნავენ, როგორც წელიწადის სეზონების ცვლილებას, ისე ისტორიულ მოვლენებს.

სამცხე-ჯავახეთის ქართველმა ებრაელებმა უცვლელად შემოინახეს თითქმის ყველა უძველესი რელიგიური დღეობა და თუ სხვა სახის დღესასწაულები. რომელსაც საუკუნეების მანძილზე ისრაელში ამოსვლამდე მეზობლებისაგან ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე ტრადიციულად ასრულებდნენ. ეს სათემო ტრადიცია, ქართველი ებრაელების სულიერი კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების მდიდარ სამყაროს წარმოაჩენს.



## დამოწმებული ლიტერატურა

- თავლიდიშვილი 1940 – რ. თავლიდიშვილი, ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1940.
- იველაშვილი, ცაგარეიშვილი 1955 – თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გვიხმობს მამული მამაპაპათა, თბ., 1995.
- მამისთვალაშვილი 1995 – ე. მამისთვალაშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995.
- ჯინჯიხაშვილი 1990 – ზ. ჯინჯიხაშვილი, ქართველ ებრაელთა ყოფა და კულტურა, ხელნაწერი, თბ., 1990.
- ჩორნი 1945 – ი. ჩორნი, მოგზაურობა იმერ და ამიერ კავკასიაში/საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტომი 3, თბ., 1945.
- Мамиствалашвили 2011 - Мамиствалашвили Э. Грузинские евреи, Тб., 2011.

## ირმა კვაშილავა

### ეროვნულისა და რელიგიურის ურთიერთმიმართება საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ყოფაში

საქართველო ძირითადად ისლამური აღმსარებლობის ხალხების (თურქების, ირანელების, აზერბაიჯანელების, ჩრდილო კავკასიელების) გარემოცვაში იმყოფება. ისტორიულად ცნობილია მათთან როგორც მშვიდობიანი თანაარსებობა, ისე ჩვენი ქვეყნის შეურიგებელი ბრძოლა ისლამურ ექსპანსიონიზმთან, რამაც ფიზიკური განადგურების ზღვარზე დააყენა ქართველი ხალხი (ისლამი 1999: 6). ამჟამად აღარ არსებობს ისლამური ექსპანსიონიზმის საფრთხე. უფრო მეტი, XXI საუკუნე ცივილიზაციათა დიალოგის ეპოქად გამოცხადდა, მაგრამ არც ისლამი აღარ არის ერთიანი რელიგია და ისლამური ფუნდამენტალიზმის მზარდი გავრცელების ფონზე, საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რაც მას ავალებს განავითაროს მრავალმხრივი კავშირი მუსლიმურ თემთან – ქვეყნის ყველაზე დიდ რელიგიურ უმცირესობასთან. საქმე იმაშია, რომ ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ პროცესებზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ეთნო-რელიგიური ასპექტები. ამიტომ გვიანშუასაუკუნეებამდე მთავარი მნიშვნელობა ეთნო-რელიგიური სიტუაციის კონტროლს ენიჭებოდა, განსაკუთრებით საზღვრისპირა რეგიონებში. ბუნებრივია, სახელმწიფოს სიმტკიცე სხვადასხვა ეთნო-კონფენსიური კუთვნილების მოსახლეობის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ შუა საუკუნეებში შემუშავდა შემწყნარებლურ-ტოლერანტული პოლიტიკა, რომელიც საზოგადოებრივ ღირებულებად იქცა და დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. „ნიშანდობლივია, რომ მაშინ



კონფენსიათა თანაარსებობა პოლიტიკური და არა წმინდა რელიგიური თავისებურებებით იყო შემაგრებული“ (ჯოხაძე 2000: 24).

ეთნო-კონფენსიური შემაღვენლობით საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტად ქვემო ქართლი გამოირჩევა, რომლის მოსახლეობა ადრეული პერიოდიდანვე ნარევი იყო. იგი ქვეყნის ფორპოსტს წარმოადგენდა და სამხრეთიდან შემოსულ ყოველ ახალ დამპყრობელს თურქმანული მეჯოგე ტომებიც თან მოსდევდნენ და გაპარტახებულ ქართულ ნასოფლარებს ეუფლებოდნენ (ჯალაბაძე 1990: 5).

ქვემო ქართლში თურქმანული ტომების მასობრივი შემოსახლება, რომელიც XV საუკუნიდან დაიწყო, უკავშირდება ირანელი შაჰების პოლიტიკას, მიზანს ქრისტიანობის მოშლა და ადგილობრივი მცხოვრებლების გამუსლიმანება შეადგენდა. ამისთვის ჩამოსახლეს სხვადასხვა ტომისგან ხელოვნურად შეკოწიწებული ნაზავი – ელი მოსახლეობა, რომლებიც კულტურულ, სოციალურ-ეკონომიურად ისედაც ჩამორჩენილ ყიზილბაშებზე კიდევ უფრო დაბლა იდგნენ (ჯუკაშვილი 2000: 66).

თავდაპირველად ისინი დასახლდნენ ბოლნის-მარნეულის, ალგეთისა და დმანისის სანახებში, სადაც დღესაც მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. კერძოდ, 1996 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლში აზერბაიჯანელი მოსახლეობა 45% შეადგენდა, 7,3% – სომხები და 6,5 რუსი ეროვნების წარმომადგენელი გვხვდებოდა (საქართველოს ... ფონდი 765). კიდევ უფრო კონკრეტულად, აზერბაიჯანელები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ მარნეულის (83%), ბოლნისის (66%) და გარდაბნის (44%) მუნიციპალიტეტებში (კომახია 2006: 8). იგივე უნდა ითქვას დმანისზეც, სადაც უკვე ნაქალაქარ დმანისში (XVI საუკუნეში) მოსახლეობის უმრავლესობას თათრები შეადგენდნენ, შემდეგ მოდიოდნენ სომხები და ქართველები (ეპისკოპოსი ზენონი 2005: 135). ე.

ი. აზერბაიჯანელები ძირითადად განთავსებული არიან აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულში, ბოლნისში, გარდაბანში, დმანისში, წალკაში, აგრეთვე საგარეჯოს, ლაგოდეხის და თელავის მუნიციპალიტეტებში. ისინი ცხოვრობენ ქალაქებში: თბილისში, რუსთავეში, ნაწილობრივ კასპში, მცხეთასა და ქარელში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში საუკუნების მანძილზე ერთმანეთის გვერდით, სხვადასხვა ეთნო-რელიგიური ჯგუფები ცხოვრობს, მაგრამ ისინი ურთიერთკულტურულ ღირებულებებს და მონაპოვრებს ან ძალიან სუსტად, ან საერთოდ არ იცნობენ (დუნდუა, აბაშიძე 2009: 6). თუმცა ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, სოციოლოგებს თუ სხვა დარგის მკვლევრებს აღნიშნული საკითხის შესასწავლად ცდა არ დაუკლიათ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ბოლო პერიოდი, როდესაც ქართული სახელმწიფო ეფექტურად ცდილობს სამოქალაქო ინტეგრაციას და ამ მხრივ მრავალი სახის ორგანიზაციაა დაკავებული. საკვლევო საკითხის მიზანს – ამოცანას წარმოადგენს ინტეგრაციის გრძელვადიანი და კომპლექსური პროცესის ასახვა, რომლის შედეგს სამოქალაქო თანასწორობის ხარისხის ამაღლება წარმოადგენს.

დავიწყოთ იქიდან, რომ „ეთნონიმი აზერბაიჯანელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საერთოდ არ არსებობდა. სხვადასხვა თურქულენოვან ტომებს საერთო ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონდათ, რადგან ამ ტერიტორიაზე თურქულენოვანი ხალხების განსახლების შემდეგ, მათ საერთო სახელმწიფო არასდროს შეუქმნიათ“ (თოფჩიშვილი 2012: 250). კრებითი თვითსახელწოდების აზერბაიჯანელის შექმნა, ანუ თვითიდენტიფიკაცია საზოგადოებრივი განვითარების დონით იყო განპირობებული. სხვადასხვა თურქულენოვანი ხალხები თავიანთი ტომობრივი სახელწოდებებით, ან იმ გვარისა და ტომის სახელით ან ტერიტორიული პრინციპით მოიხსენიებოდნენ, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ. სწორედ



ამის გამო მოხდა, რომ ძალიან სწრაფად გავრცელდა ტერმინი აზერბაიჯანელები, რომელიც ნაწარმოებია ახლად შექმნილი პოლიტონიმიდან აზერბაიჯანი (თოფჩიშვილი 2012: 251). რა სიტუაციაა საქართველოს აზერბაიჯანელების ეთნიკური თვითშეგნების საკითხში? ცენტრალური და სამხრეთ ირანიდან გადმოსახლებულ თურქულენოვან ტომებს ირანული ეროვნული თვითშეგნება არ გააჩნდათ, ვინაიდან სხვადასხვა ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდნენ. მათთვის უცხო იყო ეროვნული იდენტობა. „ისედაც ურთიერთგათიშულ, მოთარეშე ტომებს შორის საქართველოში გადმოსახლების შემდეგ, კავშირი კიდევ უფრო დასუსტდა, მათი დიდი ნაწილი ტერიტორიულად ახლოს მყოფ აზერბაიჯანელებს შეერწყა, რომელთანაც მათ ენა, სოციალური წყობა, ზოგიერთი წეს-ჩვეულება და რაც მთავარია, რელიგია აკავშირებდათ. დროთა განმავლობაში ეს კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდა. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ბინადარ მუსლიმ მოსახლეობას თავი ეთნიკურ აზერბაიჯანელად მიაჩნია და არა ირანელებად ან თურქებად“ (დუნდუა, აბაშიძე 2009: 66-67). საერთოდ, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობას, მათ შორის, აზერბაიჯანელები, საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიაზრებენ. უფრო მეტი, კახეთში მცხოვრები აზერბაიჯანელებისგან იმასაც გაიგონებთ, რომ ისინი კახელები არიან (კვაშილავა 2017: 2). აქ საინტერესო ასპექტი იკვეთება, საქმე იმაშია, რომ უახლეს ხანაში ქართული იდენტობის ახალი ეტაპი დაიწყო. „ქართველად თავს თანდათანობით ეთნიკურად არაქართველი წარმოშობის საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს“ (ბერაძე 2008: 9). ცხადია, საქართველო არაქართველთათვის უპირატესად პოლიტიკური სამშობლოა, ამიტომ საქართველოს ძირითად პრობლემებს არ მიიჩნევენ საკუთარ პრობლემებად. მათთვის სამშობლოს ცნება ვიწრო და თითქოს ბოლომდე გაუაზრებელია – წერს ხ. იოსელიანი გარდაბნის აზერბაიჯანელებზე (იოსელიანი 2008: 57-58),

რომლის განზოგადება საქართველოს დანარჩენ აზერბაიჯანელ მოსახლეობაზეც დასაშვებია. კერძოდ, ბევრია შემთხვევა, სხვაგან გადასახლებული პიროვნება ანდერძის თანახმად, მარნეულის იმ სოფელში იკრძალება, სადაც დაიბადა (ქანთარია, გოცირიძე 2005: 268).

თუ შუა საუკუნეებში რელიგიურობა ეთნოკუთვნილების მთავარი კრიტერიუმი იყო (თოფჩიშვილი 2010: 676), დღესაც ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში რელიგია განსაზღვრავს ეთნიკურ იდენტობას. მაგალითად, აზერბაიჯანელების ე. წ. ქართული ნომენკლატურა „თათარი“, სარწმუნოებრივ კრიტერიუმს აიგივებს ეთნიკურთან, რაც მათ საძრახისად მიაჩნიათ. საქმე იმაშია, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოში მუსლიმის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენებოდა. სახელდობრ, ისლიმნი, მუსულმანი, მაჰმადის ტომნი... მუსლიმს, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, აღნიშნავდა აგრეთვე აგარიანი, უკავშირდება ბიბლიურ აგარს, აბრაამის ხარჭას, რომელიც არაბთა ეთნარქის, ისმაილის დედა იყო; ისმაილელი, სარკინოზნი, სპარსნი (XI-XIV სს.) და თათარი (XV-XVIII სს.) (ისლამის 1999: 140; ქართულ-სპარსული 1955: 322; 453). სახელწოდება თათარს სხვა ისტორიული დატვირთვაც აქვს, იგი გარკვეული იდენტობის შემცველია. გამაჰმადიანებულ ქართველზეც ამბობდნენ გათათრდაო (კაკაბაძე 1926: 13). ამ შემთხვევაშიც ეთნიკურ სახეს ფარავდა სარწმუნოებრივი კუთვნილება. ცხადია, ეთნიკურ თვითშეგნებას რელიგიური მსოფლმხედველობა გარკვეულწილად აყალიბებს. აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი იდენტობის განსაზღვრისას უპირატესობას რელიგიურ ფაქტორს ანიჭებს. ამ შემთხვევაში სახეზეა ფაქტი, თუ როგორ შეიძლება რელიგიამ განსაზღვროს ეთნიკური იდენტობა. აქ გასათვალისწინებელია ისლამის ტრადიციული მოძღვრებაც, რომელიც საერო და სასულიერო სფეროებს ერთმანეთისგან არ მიჯნავს და რწმენის საფუძველზე ცდილობს ჩამოაყალიბოს სოციალური თუ პოლიტიკური



ჯგუფი, თემი (დუნდუა, აბაშიძე 2009: 74). ისლამური ტრადიციების სიძლიერეზე მიანიშნებს ბოლნისში გამოკითხული აზერბაიჯანელების შეხედულება, რომ ისინი თამამად იცავენ ისლამურ ყოფით ტრადიციებს, ვინაიდან მათ არჩევანის თავისუფლება არა აქვთ და უნდა აკეთონ მხოლოდ ის, რასაც მათი პაპა და პაპის პაპა მისდევდა, რაც ეროვნულის და რელიგიურის ურთიერთშერწყმას იწვევს (კვაშილავა 2017: 4). გასათვალისწინებელია ისლამის, როგორც რელიგიური სისტემის თავისებურება, რომელსაც რ. ანდრიაშვილის და სხვა მკვლევრების დახმარებით ვაყალიბებთ. ნიშანდობლივია, რომ მუსულმანთაყოფის ნებისმიერი მხარე ყურანით, შარიათით და ჰადისებითაა რეგლამენტირებული, ამით ისლამმა ადამიანი მთლიანად დაუმორჩილა რელიგიურ კონტროლს. ამიტომ რელიგიური ყოფითი ტრადიციები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველი ჯგუფი, ყურანის კითხვა, მოწყალების მრავალი ფორმა, მსხვერპლთშეწირვა, ზიქრი, მთელი რიგი მაგიურ-ფეტიშური რწმენა და რიტუალები თავისი წარმოშობით, არსით, რელიგიური ხასიათის საკულტო რიტუალებია. მეორე ჯგუფი – დასუნათება (წინდაცვეთა), მიცვალებულის დაკრძალვა, ნიქაჰი (ქორწინების რელიგიური რიტუალი), ყალიმი, ჩაცმულობა, სამეურნეო საქმიანობა, საოჯახო ვალდებულებები, ქონებრივი მემკვიდრეობა და სხვა, ის ყოფითი ტრადიციებია, რომლებიც რელიგიური ფუნქციის არ არიან, მაგრამ ისლამთან კავშირში ისლამიზებულ სახეს ღებულობენ. ამიტომ აქ ადამიანთა მთელი ცხოვრება და ყოფა ისლამიზებულია, რიტუალურ დონემდეა აყვანილი (ანდრიაშვილი 1988: 20). სწორედ ისლამურ წეს-ჩვეულებებს, ისლამიზებულ ყოფას ეროვნული ტრადიციად, ეროვნული ყოფისა და კულტურის შემადგენელ ელემენტად თვლიან. სახელდობრ: დასუნათება, მიცვალებულის ისლამური რიტუალური დაკრძალვა, საქორწინო რიტუალი, მათ შორის ყალიმი, მრავალცოლიანობა და მისთანა ეროვნულ ტრადიციადაა

მიჩნეული; მათ რელიგიური შინაარსი შეიძლება დაკარგონ, მაგრამ გაიგივებულნი არიან ეროვნულ კულტურასთან. ამიტომ ისლამურ ყოფით ტრადიციებს უფრო ასრულებენ, ვიდრე საკულტოს. ეს თავის მხრივ, ხელს უწყობს კულტურულ ინტეგრაციას კონფესიური ბარიერის გათვალისწინებით. სუსტდება რა ქორწინებაში შემსვლელთათვის ეროვნული და აგრეთვე სოციალურ-პროფესიული ბარიერი, პოზიციებს ინარჩუნებს კონფესიური რეგლამენტაცია... მეზობელი ხალხების გავლენით შეიცვალა მიცვალებულის დაკრძალვის წესები, აგრეთვე ეროვნული სამზარეულოს ელემენტები ერთმანეთს დაუახლოვდნენ (შოშიტაშვილი 1990: 46). იგივე შეიძლება ითქვას სამეურნეო ყოფის ნიუანსებზე.

საერთოდ, სარწმუნოება ადამიანთა გაერთიანების მამოძრავებელი ძალაა და ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ რელიგია არა მხოლოდ მსოფლმხედველობაა, არამედ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც სოციალური სისტემის ნორმებს, ღირებულებებს, წეს-ჩვეულებებს, რწმენას, რიტუალებს, ქცევის სტანდარტებს განსაზღვრავს (ინტერრელიგიური 2016: 82). ამიტომ პატივს უნდა ვცემდეთ სხვა აღმსარებლობის ადამიანების რელიგიურ გამოცდილებას, ვინაიდან იგი ადამიანთა თვითიდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილია.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების 93% ისლამის შიიტური, ხოლო 7% სუნიტური მიმართულების წარმომადგენელია. თუმცა ეს სხვაობა მათ ყოფით დონეზე (ნათესაობა, შერეული ქორწინებები, სოციალ-ეკონომიური კავშირები) არ აისახება და ისინი ერთ ინტეგრირებულ სოციუმს წარმოადგენენ (ისლამი 2016: 25). უფრო მეტი, შიიტების მეჩეთის დანგრევის შემდეგ, თბილისში სუნიტები და შიიტები ერთ მეჩეთში აღავლენენ ლოცვას, რაც ისტორიულ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენს და „მსოფლიო



ისტორიაში დღემდე უცნობი უპრეცედენტო ფაქტია“ (გოცირიძე 2012: 50).

მრავალეთნიკურობით გამორჩეულ საქართველოს ქალაქებში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში), ისტორიულად ადგილი არ ჰქონია ეთნოკონფენსიურ კონფლიქტებს, რაზედაც სიამაყით აცხადებენ მოქალაქეები. ამით განსაკუთრებით გამოირჩეოდა პოლიეთნიკურობით ცნობილი ძველი თბილისის უბანი, სადაც მოსახლეობა ხუთ და მეტ ენაზე (ქართული, სომხური, რუსული, ბერძნული, აზერბაიჯანული, სპარსული და ა.შ.) მეტყველებდა. ქართული მაინც გამორჩეული იყო, როგორც ამ ხალხების საერთო სალაპარაკო ენა. ნ. პოპოვა-ავდიშევას თქმით, „მამა-პაპური ენა ჩვენი ქართული ენაა, ეროვნებაზე არ იყო ლაპარაკი ძველ თბილისში, ახლა დაიწყეს“ (აბესაძე 1995: 5). ქართველებს მაღალი ეროვნული თვითშეგნების გამო შეუძლიათ მიიღონ და შეითვისონ სხვა ერის და რწმენის ადამიანები, მათი საკუთარი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებით, ვინაიდან „სახელმწიფო ქვეყანა რაც მეტ ხალხს აერთიანებს, იგი იმდენად მდიდარია, რადგან თითოეულ ხალხს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში და ცივილიზაციაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს“ (ბეჟიტაშვილი 2015: 176).

რაც შეეხება ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, ისინი ზოგად განათლებას განსხვავებულ ენებზე (შიდა ქართლში – ქართულად, ქვემო ქართლში აზერბაიჯანულად) იღებენ, რაც მათ ერთმანეთისგან მკვეთრად განასხვავებს, მაგრამ რელიგიური და ისლამიზებული ყოფითი ტრადიციების ნაწილი ასევე ეროვნულთან რჩება გაიგივებული. ეროვნული პრინციპების დამცველად „მამული, ენა, სარწმუნოება“ თანაბარი საზომით გვეკლინება, თუმცა საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებლობამ განსაზღვრა ეროვნული კულტურის ფორმირება, ვინაიდან „ქრისტიანობამ კულტურის ბევრი ელემენტი საკუთარ საკულტო სისტემაში მოაქცია, ის ერთგვარად თავის სამსახურში ჩააყენა (მაგ;

საეკლესიო ტაძრების მხატვრობა, ჯვარ-ხატები, საკულტო ცერემონიები, გალობა, მუსიკა და ა.შ.). ისლამმა კულტურის ამ ფენომენტთა საკულტო სისტემაში ჩართვა ვერ მოახერხა“ (ანდრიაშვილი 1988: 46-47). სანაცვლოდ, თუ ქართველმა ხალხმა თავიანთი ეთნიკური სახის განმსაზღვრელად მართლმადიდებლური ქრისტიანობა აქცია, სომხებმა – ქრისტიანობის მონოფიზიტური მრწამსი, აზერბაიჯანელებში ეთნიკური იდენტობა, ეროვნება, ისლამიზებულ ყოფით ტრადიციებთან ასოცირდება.

### დამოწმებული ლიტერატურა

- ისლამი 1999 – ისლამი ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999.
- ჯოხაძე 2000 – ჯოხაძე ავ., კავკასიური კონფესიური სიჭრელის პოლიტიკური განზომილება, წიგნ. ეკლესია, სახელმწიფო და რელიგიური უმცირესობები საქართველოში, თბ., 2000.
- ჯალაბაძე 1990 – ჯალაბაძე გ., ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრებული „ქვემო ქართლი“, თბ., 1990.
- ჯუკაშვილი 2000 – ჯუკაშვილი ი., ეთნიკური დაპირისპირების ისტორიული ასპექტების განსაზღვრისათვის, ყურნ. „მნათობი“, №2, 2000.
- საქართველოს... ფონდი 765 – საქართველოს ეროვნული არქივი – ფონდი 765, საქმე 217, ტ. VI, ფურც. 150.
- კომახია 2006 – კომახია მ., აზერბაიჯანული მოსახლეობა საქართველოში, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 აგვისტო, 2006.
- ეპისკოპოსი ზენონი 2005 – ეპისკოპოსი ზენონი, სამხრეთის კარიბჭე, თბ., 2005.



**დუნდუა, აბაშიძე 2009** – დუნდუა ს., აბაშიძე ზ., ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბ., 2009.

**თოფჩიშვილი 2012** – თოფჩიშვილი რ., კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012.

**კვაშილავა 2017** – კვაშილავა ი., საველე ეთნოგრაფიული დღიური, ბოლნისი 2017.

**ბერაძე 2008** – ბერაძე., ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები, „ეთნოლოგიური კრებული“, თბ., 2008.

**იოსელიანი 2008** – იოსელიანი ხ., ეთნოსთაშორისი ურთიერთობების კულტურულ-ისტორიული პრობლემები გარდაბნის რაიონის ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ეთნოლოგიური კრებული“, თბ., 2008.

**ქანთარია, გოცირიძე 2005** – ქანთარია მ., გოცირიძე გ., მარნეულის რაიონის ეთნოდემოგრაფიული თავისებურებანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXV, თბ. 2005.

**თოფჩიშვილი 2010** – თოფჩიშვილი რ., საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2010.

**ქართულ-სპარსული 1955** – ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955.

**კაკაბაძე 1926** – კაკაბაძე ს., ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926.

**ანდრიაშვილი 1988** – ანდრიაშვილი რ., ისლამური ყოფითი ტრადიციები საქართველოში და მათი დაძლევის გზები, თბ., 1988.

**შოშიტაშვილი 1990** – შოშიტაშვილი ნ., ქვემო ქართლის მოსახლეობის თანამედროვე საოჯახო ყოფა, კრებული „ქვემო ართლი“, თბ., 1990.

**ინტერრელიგიური 2016** – ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის, კონფერენციის მასალები, თბ., 2016.

**ისლამი 2016** – ისლამი საქართველოში, პოლიტიკა და ინტეგრაცია, თბ., 2016.

**გოცირიძე 2012** – გოცირიძე გ., აღმოსავლური დღესასწაულები საქართველოში, თბ., 2012.

**აბესაძე 1995** – აბესაძე ნ., ეთნიკური პროცესები აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისარქივი, საქალაქე ნ.ა. №64.

**ბეჟიტაშვილი 2015** – ბეჟიტაშვილი გ., ამაგდარნი, თბ. 2015



**ტრადიციული ანთროპოლოგიური ცოდნის  
რამდენიმე ასპექტის შესახებ**

თანამედროვე ეპოქაში ერთ-ერთი ყველზე პოპულარული მეცნიერება ეკოლოგიაა, რაც ეკოლოგიური პრობლემების განსაკუთრებულმა სიმწვავემ განაპირობა. ეკოლოგიურ პრობლემებს დღეს მეცნიერების სხვადასხვა დარგი შეისწავლის, მათ შორის ეთნოლოგია.

ეკოლოგიური კვლევის პიონერი ეთნოლოგიურ მეცნიერებაში მიხეილ გეგეშიძე გახლდათ, რომელმაც 1982 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში: „ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში“ განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: ეთნიკური ყოფა და ეკოლოგიური სისტემა, ხალხური ეკოლოგიური ცოდნა და მეურნეობრივი კულტურის საკითხები და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიხეილ გეგეშიძის ამავე წიგნის ერთ-ერთი ქვეთავი – „ბუნებრივი სტიქიები, განსახლებისა და დასახლების ფორმები (სვანური კოშკი)“. ამ ქვეთავში გამოთქმული მოსაზრებების მართებულობა სვანური კოშკის ეკოლოგიური ასპექტების შესახებ, სვანეთში დატრიალებულმა სტიქიურმა უბედურებამ ნათელჰყო.

ეკოლოგიური მეცნიერების კვლევის სფერო საკმაოდ ფართოა. იგი მოიცავს მეცნიერების ცალკეულ დარგებად ჩამოყალიბებულ კულტურის ეკოლოგიას, სამედიცინო ეკოლოგიას, ადამიანის ეკოლოგიასა და სხვ. ამჯერად ადამიანის ეკოლოგიას შევეხები.

ადამიანის ეკოლოგია ანუ ანთროპოეკოლოგია მეცნიერების ახალი დარგია. პირველი სამეცნიერო ნაშრომი ადამიანის ეკო-

ლოგიის შესახებ ამერიკელ სოციოლოგებს პარკსა და ბურგესს ეკუთვნით (Park R.E., Burgess E. W., 1921). ეს ნაშრომი 1921 წელს გამოქვეყნდა, მას შემდეგ ანთროპოეკოლოგიის დარგში მრავალი ნაშრომი დაიწერა. დღეს უკვე ეს მეცნიერება საკმაოდ პოპულარულია. ანთროპოეკოლოგია იკვლევს ადამიანის, როგორც ბიოსოციალური არსების და გარემოს ურთიერთობას, უფრო სწორედ, გარემოს გავლენას ადამიანზე, მის ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი ადამიანის და ბიოგეოგრაფიული გარემოს ურთიერთობებს, ადამიანზე ბუნებრივი გარემოს ზემოქმედებას იკვლევს, ნაწილის კვლევის სფერო კი განსხვავებულია და ისინი ადამიანზე სოციოკულტურული გარემოს და კოსმიური სხეულების ზემოქმედებასაც კი შეისწავლიან.

დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც მწვავედ დგას ადამიანის პრობლემა, ანთროპოეკოლოგია განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მთელ ცივილიზებულ სამყაროში და, რა თქმა უნდა, საქართველოში (საქართველოში ანთროპოეკოლოგიური კვლევების შესახებ: მინდაძე 2015, 85-94; მინდაძე 2016, 115-119). საბოლოო ჯამში ანთროპოეკოლოგია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. იძებნება ამ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა. ერთ-ერთი ასეთი გზა წარსულის გამოცდილების შესწავლაა. როგორც აღვნიშნეთ, ანთროპოეკოლოგია შედარებით ახალი სამეცნიერო დისციპლინაა, მაგრამ ანთროპოეკოლოგიური დაკვირვებანი, უძველეს ცივილიზაციებში და მათ შორის საქართველოში, შორეული ხანიდან დასტურდება. რაც შეეხება საერთოდ ადამიანის პრობლემის კვლევას, ეს ქართული ისტორიული მეცნიერებისთვის უცხო არ ყოფილა, ნიშანდობლივია, რომ ახალგაზსნილ უნივერსიტეტში, 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის პირველი ლექცია ასეთი იყო – „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“ (ჯავახიშვილი 2015, 21-53). ადამიანის პრობლემას ეხება ივანე ჯავახიშვილი თავის



მეორე ნაშრომში ადამიანის შესახებ, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ანთროპოეკოლოგიის ასპექტით. ნაშრომის დასკვნა ასეთია: „საშუალო საუკუნეებში, ქართველების წარმოდგენით, მსოფლიო ორ მთავარ ნაწილად იყო დაყოფილი: ხილულ და უხილავ სოფლად... პირველს ეკუთვნოდა ყველაფერი, რაც კი საცნაურთა და გრძნობათა ბუნებათა მფლობელი იყო, მეორეს, რასაც კი ზესთასოფლისა ძალთა ბუნებაი ჰქონდა ღმერთის მიერ შექმნილი, ადამიანი ამ ორისავე სოფლის ყოველსავე აგებულებისა ბუნებისა შემაერთებული იყო (ძეგლისწერა 56 და 60). მას ჰქონდა საცნაურ და გრძნობად ბუნებისა მქონე სხეული და უხილავი ძესთა სოფლისა ძალთა ბუნებოვანი სული. ამგვარად, იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო მიკროკოსმოსი დიდს მსოფლიოში — მაკროკოსმოსში“ (ჯავახიშვილი 1982, 122]. ეს ამონარიდი ანთროპოეკოლოგიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადც ადამიანს მაკროკოსმოსში, როგორც მიკროკოსმოსს, განიხილავს.

წინამდებარე სტატიაში ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართების საკითხს შევეხები. ძველი ქართული სამედიცინო ლიტერატურული თუ საისტორიო წყაროების, ასევე ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართება შესაძლებელია სამ ასპექტში განვიხილოთ. პირველი ეს არის ბიოგეოგრაფიული გარემოს გავლენა ადამიანის ფიზიკურ აღნაგობაზე, ბუნებასა და ხასიათზე, მეორე ბიოგეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზოგადად. და ბიოგეოგრაფიული ფაქტორები გარკვეულ კონკრეტულ დაავადებებთან მიმართებაში.

პირველ საკითხზე მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქართული სამედიცინო ხელნაწერები. აღნიშნული წიგნების მიხედვით, ბიოგეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს ადამიანის ფიზიკურ მონაცემებს. XIII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერში კვითხულობთ: „ქალაქთა და ჰაერთა ბუნება:

რომელიცა ქალაქლ შამალისა (ჩრდილოეთის ნ. მ.) მხარსა იყოს იგი ქალაქი უფროი გრილი ჰაერი იქნების, და რაიცა ჯონებისაკენ (სამხრეთისაკენ ნ. მ.) იყოს მხურვალ და ხმელ ჰაერი იქნების და გრილ ბუნებისა ქალაქისა კაცნი უმრთელესნი და უფრო ძლიერნი იქნებიან, და მხურვალ ბუნებისა ქალაქისა კაცნი უფროი უძალი და ასოი სუსთნი იქნებიან, და მხურვალ ბუნებისაგან შეწუხებულნი იქნებიან... და რომელიცა ქალაქი ცხელი იყოს, კაცნი ყვითელ ფერნი იქნებიან და მჭლე ასონი ვითა აბაშნი“... (წიგნი სააქიმოი, 1936, 49).

ცნობილია, რომ შუასაუკუნეების ქართული მედიცინა, ისევე, როგორც იმ პერიოდის ცივილიზებული, სამყაროს სამედიცინო სისტემები, ადამიანს, მის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ჰიპოკრატეს ჰუმორალური პათოლოგიის თეორიის საფუძველზე განიხილავდა, რომლის მიხედვით სამყაროს 4 ელემენტი: ჰაერი, წყალი, ცეცხლი, მიწა, ადამიანის სხეულში მათი შესაბამისი 4 სითხის: სისხლის, ლორწოს (ბალლამი), ყვითელი ნალველისა (საფრა) და შავი ნალველის (სევდა) სახით არსებობს. მათი წონასწორობის დარღვევა იწვევდა სხვადასხვა დაავადებას. ეს თეორია ასხულია ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში, რომლებშიც ადამიანის ფიზიკური თუ ფსიქიკური მონაცემები სწორედ ამ თეორიაზე დაყრდნობით არის წარმოჩენილი და წელიწადის დრონი და თვეებიც ამ კონტექსტშია განხილული.

XI საუკუნის ხელნაწერში „უსწორო კარაბადინში აღნიშნულია: „იცოდი რომე წელიწადი კაცისა გუნებასა ზედა დადებულ არის. აწე ესე მოგახსენით მარტსა, აპრილსა და მაისსა სისხლი აღულდებდის და ყმარწვილის გუნება არის და როგორაცა ყმარწვილის გუნება მხურვალ და ნედლი არის, აგრევე მაგა სამისა თვისა გუნება მხურვალ და ნედლი არის...“

რაი იენისი და ივლისი, აგუსტოსი დადგეს ყვითელი ბალლამი აღულდების, რომელ არს ზაფრა ახალ მწიფულობისა გუნება არის მხურვალ და ხმელი...



როგორცა სექტენბერი და ოქტონბერი ნომბერი დადგების შავი ბალღამი აიბურის და შუაკაცობისა გუნება იქნების სიხმე და სივრილე დაემართების კაცსა...

როგორცა დეკემბერი იანვარი და თებერვალი დადგების ბალღამი დაიბურის და ბერი კაცისა გუნება იქნების და გრილი და ნელდი არი“ (ქანანელი 1940, 26).

ზემომოყვანილი ამონარიდის მიხედვით, ადამიანის სხეულში არსებული 4 სითხის მდგომარეობაზე გავლენას ახდენდა წელიწადის დროები და მათი მიხედვით იცვლებოდა ადამიანის გუნება-ხასიათიც.

ადამიანის ეკოლოგიის ასპექტით მეტად საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი, რომელშიც გარკვეული მინისნებებია ბიოგეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობაზე. თუნდაც დაკვირვება, რომ საქართველოს „მთათა შინა სცხოვრობენ მგზავსნი ნადირთა, გარნა გონიერნი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 45). მისი ნაშრომი ათროპოეკოლოგიის თვალსაზრისით კვლევის მეტად საინტერესო პერსპექტივას სახავს.

ჯანმრთელობა, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში ყოველთვის იყო გათვალისწინებული, უპირველეს ყოვლისა კი და სამოსახლოს შერჩევისა და საცხოვრებლის აგების დროს. XVI საუკუნის სამედიცინო ხელნაწერის „იადიგარ დაუდის“ მიხედვით, სამოსახლოდ კარგი იყო ისეთი ადგილები, სადაც „ჰავა ზომიერია – არც ცივია და არც ცხელია, არ უნდა იყოს ამა ალაგასა კვამლი და ლული“, ასევე ბალახი და ხეები, რომელსაც „ჰავი სული“ (სუნი) ასდის. როგორცაა: „ნიგვზის ხე“, „ლელვის ხე“, ანწლი და სხვა. სახლი კედელსა და კედლის შუა „დამწყვდეული“ არ უნდა აშენდეს. „გამლილსა და მაღალს შანდაკს (სწორ, ვაკე) ალაგას და ღრმასა ალაგშიგა არ უნდა იდგეს, სახლებისა და კედლების მოფარებით არ იყოს და ასრე უნდა რომე თვითონ ეს სახლი მაღალი და დიდი იყოს და კარი აღმოსავლეთისკენ ჰქონდეს და ერთი კარი ჩრდილოეთისაკენ, და ესე ქარი სახლშიგან

შემოდოდეს და მზეცა მუდამ შემოდგებოდეს“ (ბაგრატიონი 1985, 105, 106). ასევე, საცხოვრებლის აგების დროს, სხვადასხვა ფაქტორებთან (მეურნეობის წარმოება, თავდაცვა და სხვ. ადამიანის ჯანმრთელობის გათვალისწინება მნიშვნელოვანი იყო. ცდილობდნენ სახლში „მეტი ჰაერი“ ყოფილიყო, „მზეს ეტრიალა“, მაგალითად, ცნობილია რომ დასავლეთ საქართველოს არქიტექტურა, ხის მასალით ნაშენი სახლები, ნესტის თავიდან აცილებას უწყობდა ხელს, აღმოსავლეთში კი ამის საჭიროება ნაკლები იყო და სხვ.

ხალხური ანთროპოეკოლოგიური ცოდნა კარგად ჩანს კონკრეტულ დაავადებათა ხალხურ ეტიოლოგიაში. განსაკუთრებით კი ციების (მალარიის), ჩიყვის (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის) თუ ე. წ. დაცდის (აკლიმატიზაციასთან დაკავშირებული დაავადებების) გამომწვევი მიზეზების ხალხური ინტერპრეტაციის დროს. ამ საკითხს ორიოდ სიტყვით შევეხები (დეტალურად: მინდაძე 2013, 47-58). აღნიშნულ დაავადებებს საქართველოს მოსახლეობა ბიოგეოგრაფიულ ფაქტორებს უკავშირებდა, ციებას – ჭაობიან ადგილებს, აქედან მალარიის ერთ-ერთი სინონიმი ხაშში, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი „ავ ჰაეროვანსა და უმაშნოს“, „ხორც დამრღვეველთა სენს“ უწოდებს (ორბელიანი 1992), ილია აბულაძის მიხედვით კი, „ხაშში – სნეული, ვნებული, დაშავებული, არაწმინდაა“, „სიხაშმე – საერთოდ ვნება, სნეულება“ (აბულაძე 1973). ვახუშტი ბატონიშვილი ხაშშიანს ცხელ, ნესტიან, არაჯანსაღჰაერიან ადგილს უწოდებს (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 525, 528). ეთნოგრაფიული მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა სიტყვით დაცდა ადამიანზე, შეუჩვეველი, უცხო გარემოს ზემოქმედებას გულისხმობდა და, როგორც ჩანს, აკლიმატიზაციას აღნიშნავდა, რაც რაიმე გამოვლინებით ან სპეციფიკური დაავადებით, ხშირად კი ციების არაენდემური ფორმით გამოიხატებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი რაჭის, კერძოდ „კრისს ზევით სხოვის ხევის“ მიდამოს



აღწერისას, აღნიშნავს: „ამ ხევზედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სუას მრავალმან კაცმან, გარნა თუ შთავიდეს კაცი უცხო, თვინიერ მუნ მყოფისა, აცივებს წელსა ერთსა“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 764] – აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ შეუჩვეველი წყალი ციებას იწვევდა. ე. ი იგი ციების ეტიოლოგიას ბიოგეოგრაფიულ გარემოს უკავშირებდა საქართველოს მოსახლეობა ჩიყვს „ცული წყალი“, ვახუშტის მიხედვით, კი „ჭათა შინ მყოფი ჭია“ იწვევდა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 774). ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ ვახუშტი რომ ამ დაავადებას წყალს, კერძოდ, ჭის წყალს უკავშირებს, მნიშვნელოვანია. სვანეთის მკვიდრი დ. მარგიანი ჩიყვის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად ბიოგეოგრაფიულ გარემოს მიიჩნევს (მარგიანი 1946, 10]. საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჩიყვის ძირითად გამომწვევად უკარგისი, უმარტილო წყალია მიჩნეული.

ანთროპოეკოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ხალხური დაკვირვება მცენარეებზე, ამჯერად ხემცენარეებს შეეხებით. წმინდა ხეების, ხეთა თაყვანისცემა ეთნოლოგების კვლევის ობიექტს ყოველთვის წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს (ბარდაველიძე (ლომია), 1927, 164-178; ჩიტაია, 2000, 215-230; ხაზარაძე, ცაგარეიშვილი თ., 1999; აბაკელია, 2017, 156-166; ლამბაშიძე, 2011; ქისტაური, 2012, 19-47 და სხვ.)

ცნობილია, ასევე, სხვადასხვა ჯიშის ხის საშენ მასალად, მათი ნაყოფის საკვებად, სამკურნალოდ და სხვ. გამოყენების შესახებ. ამ კუთხით მეტად საინტერესოა სვანური ეთნოგრაფიული მონაცემები, კერძოდ, სვანეთის მკვიდრის ალ. დავითიანის გადმოცემა სვანეთში გავრცელებული სხვადასხვა ჯიშის ხეებისა და მათი სარგებლიანობის შესახებ, მაგ.

სვანეთში, ნაძვი, რომელსაც უამრავი სარგებლობა მოჰქონდა ადამიანისთვის, „ღვთაების ხე“ ითვლებოდა, ხოლო ცაცხვი – „ბელნიერ ხე“ და მას ეზოსთან ახლო-მახლო, სოფლის მოედნებსა და სალოცავებთან რგავდნენ (დავითიანი, 1939, 1,9).

თანამედროვე მეცნიერება მცენარეებს, კერძოდ, ხეებს მათი ბიოენერგეტიკის ასპექტითაც განიხილავს, არკვევს თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა ჯიშის ხე ადამიანის ჯანმრთელობაზე, აქვთ თუ არა მათ რაიმე გავლენა ადამიანის ბუნებასა და ხასიათზე. ანთროპოეკოლოგიური თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის გუნება-განწყობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს როგორც ოთახის (ლომთათიძე, ალასანია, 2012, 227-234), ისე სხვა სახის მცენარეები. ამ კუთხით მეტად საინტერესოდ გვესახება ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების კვლევა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ქართველთა შეხედულებანი კაკლის ხეზე და სხვ.

კაკლის ნაყოფის – ნიგვზის სარგებლობიანობის, მისი საკვებად, სამკურნალოდ გამოყენების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უამრავი მასალა დასტურდება. სამკურნალოდ გამოიყენებოდა კაკლის უღელი, ფოთლებიც და სხვ. შორს რომ არ წავიდეთ, აღნიშნულის დასტურად ივანე ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვებიც იკმარება: „ნიგვზის ხეს ძველ საქართველოში, თავისი ნაყოფის, კაკლის გულისთვისაც დიდად აფასებდნენ და მის მშვენიერ ტოტმრავალსა და მარდილობელ ზროსაც. დასასრულ მისი ხეც საუცხოო მასალად ითვლებოდა (ჯავახიშვილი 1986, 710]. აქვე მას მოჰყავს ტაეპი ნიგვზის შესახებ გარსევან ჩოლოყაშვილის „ნილთა ქება“-დან: „მე ხე ვარ კარგი, სახმარი სავესე ლხინითა სრულითა, // მასპინძელი ვარ ნიადავ გულითა მხიარულითა, საჭმლისა შემამკობელი, მაცხოვრებელი სულისა“ (ჯავახიშვილი 1986, 711)



ვფიქრობთ, ქართველ ხალხს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა კაკლის ბიოენერგეტიკის შესახებაც. როგორც აღვნიშნე,

XVI საუკუნის სამედიცინო წიგნის მიხედვით, საცხოვრებელთან არ უნდა ყოფილიყო ისეთი მცენარეები, რომელთაც „ჰავი სული“ (სუნი) ასლიოდა: „ნიგვზის ხე“, „ლეღვის ხე“, „ანწლი“. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნულ ხეთა ბიოენერგეტიკაც იგულისხმებოდა.

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კაკალს სახლთან ახლოს არ რგავდნენ. ამ ტრადიციის ხალხური იტერპრეტაცია სხვადასხვაგვარია. ზოგი მიიჩნევს, რომ კაკალი სახლში „მზეს არ უშვებს“, ზოგიერთის აზრით, კაკლის ხის ფესვები სახლის საძრკველს საფრთხეს უქმნის, რიგი მთხრობლები კი ამ ფაქტს კაკლის ხის ირგვლივ არსებულ მძიმე სუნს, ჰაერს უკავშირებს, ზოგიერთის განმარტებით, კაკლის ხეს უკავშირდება დამბლის ეტიოლოგია, კერძოდ, მოსახლეობა დამბლას, კაკლის ხიდან ჩამოვარდნილი წვეთის დაცემით ხსნის (მინდაძე 2013, 133-137). ხალხური შეხედულებით, კაკლის ხე ითვლება ავსულთა (ჭინკების, ქაჯების), თავშესაყარად და ამიტომ იგი მეხს იზიდავს, რაც საცხოვრებლისთვის სახიფათოა. იგი მხოლოდ მეხის დაცემის, ან მასზე ჯვრის ამოჭრის შემდეგ, განიწმინდება, საკრალურობა ენიჭება და ფიგურირებს ბატონებთან დაკავშირებულ რიტუალში (მინდაძე 2013, 230-232).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენში, მზის ჩასვლის შემდეგ კაკლის ხის ქვეშ დადგომას, დაჯდომასა თუ დაწოლას ერიდებოდნენ. კაკლის ხის ქვეშ ბავშვის აკვანს არ დადგამდნენ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სწორედ ამ გარემოებამ და ხალხურმა დაკვირვებამ კაკლის ხის ირგვლივ არსებული მძიმე ჰაერის შესახებ, რომელიც XVI საუკუნის სამედიცინო ხელნაწერშიც არის აღნიშნული. ხომ არ ესადაგება ამ შემთხ-

ვევაში ხალხური დაკვირვება რეალურ ფაქტს კაკლის ბიოენერგეტიკული ველის სპეციფიკური თვისებების არსებობაზე. თუნდაც გამომდინარე იქიდან, რომ კაკლის ხის გვერდით და ქვეშ ვერ ხარობს მთელი რიგი მცენარეებისა, გვიმრის და ბალახეულობის გარკვეული სახის გამოკლებით. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი ქართველი ხალხის გარკვეულ ცოდნაზე კაკლის ხის ბიოენერგეტიკის შესახებ, რაც მეტად საინტერესოა ანთროპოეკოლოგიის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველებს ძველთაგან გარკვეული ანთროპოეკოლოგიური ცოდნა გააჩნდათ, რაც კარგად ჩანს საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ სამოსახლოს შერჩევის თუ საცხოვრებლის აგების ხალხურ ტრადიციებში. როგორც ჩანს, ჩვენს წინაპრებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ მცენარეთა ბიოენერგეტიკის შესახებაც, რაც ანთროპოეკოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია და ეთნოლოგების, ბოტანიკოსებისა და ეკოლოგების ერთობლივი კვლევის მეტად საინტერესო პერსპექტივას სახავს.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- აბაკელია 2017 – აბაკელია ნ., უძველესი კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მემსიერებაში, თბ., 2017.
- აბულაძე 1973 – აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ..1973.
- ბაგრატიონი 1985 – ბაგრატიონი დ., იადიგარ დაუდი, თბ., 1985



**ბარდაველიძე 1927** – ბარდაველიძე (ლომია) ვ. ხის კულტისათვის საქართველოში, – საქ მუზეუმის მოამბე, ტ. 3, ტფ., 1927.

**ბატონიშვილი ვახუშტი 1973** – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

**გეგეშიძე 1982** – გეგეშიძე მ. ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1982.

**დავითიანი 1939** – დავითიანი ალ. ბუნების კულტი ლახამულას თემში, სვანური მასალები (ხელნაწერი), ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივი, 1939  
**ლომთათიძე, ალასანია 2012** – ლომთათიძე ნ., ალასანია ნ. ანთროპოეკოლოგია, 2012

**მარგანი** – მარგანი დ., სვანური მასალა (ხელნაწერი), ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივი, 1946.

**მინდაძე 2015** – მინდაძე ნ. ადამიანის ეკოლოგიის ხალხური ტრადიციების კვლევა საქართველოში, „მაცნე“ №2, 2015.

**მინდაძე 2016** – მინდაძე ნ. ანთროპოლოგიის ხალხური ტრადიციები საქართველოს მთიანეთში, კრბ. „კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია“, თბ., 2016

**მინდაძე 2013** – ნ. მინდაძე, ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013.

**Robert, Park, Ernest, Burgess 1921** - Robert E. Park, Ernest W. Burgess .An Introduction to the Science of Sociology, Chicago, 1921.

**ქანანელი 1940** – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, 1940.

**ქისტაური 2012** – ქისტაური გ., წარმართული რელიქტი V-X საუკუნეების ქართულ ჰავიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2012.

**ლაშაშიძე 2011** – ლაშაშიძე ნ. ხეთა თაყვანისცემა და მისი ზოგიერთი ასპექტი საქართველოში, 2011.

[www.ambioni.ge](http://www.ambioni.ge)

**წიგნი სააქიმო 1936** – წიგნი სააქიმო, თბ., 1936, 49.

**ჩიტაია 2000** – ჩიტაია გ., სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტს, ჩიტაია გ., შრომები, II ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ წერეთელმა და თამილა ცაგარეიშვილმა თბ., 2000.

**ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1999** – ხაზარაძე ნ. ცაგარეიშვილი თ., წმინდა ხის კულტი საქართველოში (მითოლოგიური პარალელები), თბ., 1999.

**ჯავახიშვილი 2015** – ჯავახიშვილი ივ. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, პირველი ლექცია, თბ., 2015.

**ჯავახიშვილი 1982** – ჯავახიშვილი ივ. ზოგადი მოძღვრება ადამიანის ბუნებასა და კანონმდებლობაზე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982.

**ჯავახიშვილი 1986** – ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1986.



**საკრალური სივრცე მშვიდობიანობისა და  
დაპირისპირების კონტექსტში (ქართულ-ოსური  
ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ყაზბეგის რაიონში)**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, თრუსოს ხეობა და კობის ქვაბული – ოსების განსახლების არეალი ყაზბეგის რაიონში, რუსეთის გეო-სტრატეგიულ ინტერესებში მოექცა. ამ ტერიტორიაზე ოსები XVII-XVIII საუკუნეებში მოვიდნენ – ჯერ ქართველური მოდგმის დვალთა სამოსახლოში, ხოლო შემდეგ თანდათან ქვემოთაც ჩამონაცვლეს და თავიანთი კომპაქტური დასახლებები შექმნეს (თოფჩიშვილი 2016: 34-46). სწორედ ოსების აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტორს იყენებს დღეს რუსეთი/ოსეთი და გაყალბებული ისტორიის მოშველიებით ცდილობს, ეს არეალი ოსების ისტორიულ სამშობლოდ წარმოადგინოს, მიუერთოს ჩრდილოეთ ოსეთს და ამგვარად მოიპოვოს კონტროლი გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე. ამ მიზნით რუსეთი ქართულ-ოსური ურთიერთობის გარკვეული ასპექტებით მანიპულირებს.

როგორც აღვნიშნავთ, ნაშრომებში საქართველოს მაგალითზე აღმინიშნავს, განსხვავებულ ეთნოსთა შორის ურთიერთობა შესაძლოა ჩამოყალიბდეს ბუნებრივად (ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური სოციალური, რელიგიური, და სხვა ფაქტორების საფუძველზე) ან ხელოვნურად, ე. ი. მართვადი იყოს (ძირითადად იდეოლოგიურად და პოლიტიკურად); ამის მაგალითად კი აფხაზების, ოსების და ქართველების თუნდაც ბოლოდროინდელი ურთიერთობა იკმარებს. თუ ერთი მხრივ, ინტერენიკური კავშირების ხასიათს ისტორიული და ყოფითი რეალობები განაპირობებს, მეორე

შემთხვევაში, ეს ურთიერთობები ამა თუ იმ იდეოლოგიურ-პოლიტიკური მანიპულაციების იარაღად იქცევა (ნ. ჯალაბაძე 2006). წინამდებარე სტატიაში შევეცდები ყაზბეგის რაიონის მაგალითზე წარმოვადგინო საკრალური სივრცე, როგორც ქართულ-ოსური მშვიდობიანი ურთიერთობის ხელშემწყობი, ისე დაპირისპირების მაპროვოცირებელი ფაქტორი.

დღეს ყაზბეგის რაიონში ოსების სოფლები ფაქტობრივად დაცლილია და მოსახლეობის უმრავლესობა ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობს. საბჭოთა პერიოდშივე პერმანენტულად ხდებოდა ოსთა ჩრდილოეთისკენ გადინება, რასაც თავდაპირველად სეზონური ხასიათი ჰქონდა. ოსთა მიგრაცია გააქტიურდა 1970-იან წლებში, ხოლო პიკს 1990-იან წლებში მიაღწია; ეს პროცესი დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლამ და 1991-1992 წლების ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა. ფაქტობრივად, მიგრაციული პროცესების შედეგად, თრუსოს ხეობა სულ დაიკალა ოსი მოსახლეობისაგან და, უკანასკნელი მონაცემებით, დღეს მხოლოდ კობის საკრებულოს ორ სოფელში ცხოვრობს ოსთა 11 კომლი. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად, ტერიტორიული სიანხლოვის გამო, ყაზბეგის რაიონის და ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობას ერთმანეთთან ყოველთვის მჭიდრო სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა; მოხვევთა ორიენტირი ორჯონიკიძე/ვლადიკავკაზი იყო და დღესაც ნაწილობრივ ასეა.

საქართველო, როგორც პოლიეთნიკური ქვეყანა, აქ მცხოვრებ განსხვავებულ ეთნო-კულტურულ ჯგუფთა გამოი-სობით, მუდამ იდგა ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის არსებული მრავალი ტიპური პრობლემის წინაშე; ეს იყო უპირატესობისთვის ბრძოლა, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, ეთნოცენტრისტული პრეტენზიები და ა. შ. მაგრამ ყაზბეგის რაიონის ქართველთა და ოსთა ურთიერთობა განსხვავებულია უმრავლესობა-უმცირესობის ურთიერთმიმართების საყოველთაო მახასიათებლებისაგან. აქაური ოსები



კარგად იყვნენ ინტეგრირებული ქართულ გარემოში, რასაც ამ ხალხთა ხანგრძლივ თანაცხოვრების გარდა, სხვა ბევრი მიზეზიც ჰქონდა.

როდესაც ეთნიკურ ჯგუფთა აკულტურაციაზე ვსაუბრობთ, აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ პროცესის მთავარი არსი, რაც ჯ. ბერის განმარტებით, იმაში მდგომარეობს, რომ ორი ან მეტი კულტურული ჯგუფისა და მათი ცალკეულ წევრების ურთიერთობის შედეგად ადგილი აქვს კულტურულ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს ორივე მიმართულებით. ჯგუფის დონეზე ის მოიცავს ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურებში, ინსტიტუტებში და კულტურულ პრაქტიკაში; ინდივიდუალურ დონეზე კი გულისხმობს ინდივიდის ქცევითი რეპერტუარის ცვლილებებს, რაც ხანგრძლივი პერიოდის – წლების, თაობების, ხან საუკუნეების მანძილზეც კი მიმდინარეობს. ამ პროცესს, რომელიც ურთიერთმორგების სხვადასხვა ფორმებს მოიცავს, ჯგუფთა უფრო გრძელვადიან ფსიქოლოგიურ და სოციოკულტურულ ადაპტაციამდე მივყავართ (Berry 2005:698-699). აკულტურაცია კულტურათაშორისი კომუნიკაციის თანმდევი პროცესია; ინტერკულტურულ კომუნიკაციას განსაზღვრავენ, როგორც ინფორმაციის გაზიარებას განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის ცნობიერებისა და კონტროლის სხვადასხვა დონეზე (Allwood 1985:3). პოლიეთნიკურ სოციუმში ინტერკულტურული ურთიერთობის ხასიათს მნიშვნელოვნად განაპირობებს ინტერპერსონალური, ანუ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა პირადი ურთიერთობები, რაც გულისხმობს მათ მიერ ერთმანეთის ენის, მატერიალური და სულიერი კულტურის, რელიგიის, ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების, მსოფლმხედველობითი წარმოდგენების და ა.შ. ცოდნას, რის საფუძველზედაც ხდება ინფორმაციისა და კულტურულ ღირებულებათა გაცვლა. ეს მთლიანობაში განსაზღვრავს კომუნიკაციის მონაწილეთა ქცევის

მოდელებს და უზრუნველყოფს ურთიერთობის ეფექტიანობას (ჯალაბადე 2011: 222).

კულტურათაშორისი კავშირების ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მოქმედი მხარეების მიერ ერთმანეთის ენის ცოდნით, რაც ყაზბეგის რაიონში პრობლემას არ წამოადგენდა. ოსურ სკოლებში ისწავლებოდა ქართული, ამიტომ ოსებმა ქართული იცოდნენ; ასევე, მოხვედებმა, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც დედა ოსი ჰყავდა, იცოდნენ ოსურიც. ორჯონიკიძელი ოსები და ქართველები ერთმანეთში რუსულად საუბრობდნენ; ასე რომ, კომუნიკაციის პრობლემა მათ არ ჰქონიათ, მით უფრო, საბჭოთა პერიოდში. ქართველთა და ოსთა ინტერპერსონალური ურთიერთობები ყალიბდებოდა სხვადასხვა გარემოში – ოჯახში, სამსახურში, სანათესაოში და სამეზობლოში; შესაბამისად, ქართველთა და ოსთა წარმატებული აკულტურაცია გამოიხატებოდა მათ პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებაში, მეგობრობაში, მჭიდრო სამეზობლო კავშირებსა და შერეული ოჯახების სიხშირეში.

მართალია, ყაზბეგის ოსებს თითქმის მონოეთნიკური, კომპაქტური და იზოლირებული დასახლებები ჰქონდათ, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა მათ შორის ინტენსიურ კავშირებს. საბჭოთა პერიოდში სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები მოხვედებოდა და ოსებს ძალზე მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან. რესპონდენტების ინფორმაციით, ქართველებიც მუშაობდნენ ოსურ დასახლებებში და ოსებიც მოხვედების გვერდით ქართულ სოფლებში: ზოგი მასწავლებლად, ზოგი გამყიდველად, ბუღალტრად და სხვ. სამეზობლო ურთიერთობები გამოიხატებოდა ერთმანეთის მხარში დგომით ჭირისა და ლხინის დროს, იქნებოდა ეს ქორწილი თუ ნათლობა, წვეულება. თუ რაიმე დღესასწაული, დაკრძალვა, ჭირის სუფრა და სხვ. ეს ურთიერთობა გაგრძელდა ოსთა ჩრდ. ოსეთში გადასახლების შემდგომაც. ქართულ-ოსურ კონფლი-



ქტზე საუბრისას, ყაზბეგელი მთხრობელი სწორედ ამ გარემო-  
ებას უსვამს ხაზს: „ჩვენთან როგორ შეიძლება ერთურთი  
ერთმანეთის სასიკვდილოდ გამეტება, რაი რძლები გვეყვანან,  
სიძეები ოსებისა და იმათაც ჩვენები. ერთურთია შარეული  
სისხლი! სისხლით ნათესაობა გვეთქმის უჟე ერთმანეთთან“  
(ავტორის საველე მასალა, არშა, 2017).

ყაზბეგის რაიონის ქართველებისა და ოსების ინტენსიური  
კომუნიკაცია გამოხატულებას პოულობდა ყოფითი და სოციო-  
კულტურული ტრადიციების მსგავსებაში, საზიარო რელიგიური  
კულტების, საერთო სალოცავების და კულტმსახურების იდენ-  
ტური ნორმების ქონაში.

ხევში ცოტა არ არის ოსებისა და ქართველების საერთო,  
გაზიარებული საკრალური ადგილები, კერძოდ ხატ-  
სალოცავები. ხევის რიგ სოფლებში ოსები და მოხვევები ერთად  
აღნიშნავდნენ ამა თუ იმ რელიგიურ დღესასწაულს და  
აღასრულებდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. ყაზბეგის რაიონ-  
იდან ჩრდილოეთით მიგრირებული ოსები დღემდე ჩაღიან  
ხევში თავიანთ სალოცავებში რელიგიურ დღესასწაულებზე.  
მაგალითად, სოფელ კობის წმინდა გიორგის ხატში, რომელიც  
ტიპური ქართული სალოცავია, ეთნოგრაფიულად ხელმისა-  
წვდომ პერიოდში ორივე ეთნოსის წარმომადგენლები ერთად  
აღნიშნავდნენ ამა თუ იმ წმინდანის დღეს (მარიამობას,  
ათენგენობას). ცხადია, რომ კობში მოგვიანებით დამკვიდრე-  
ბულმა ოსებმა გაითავისეს ადგილობრივთა სალოცავი და  
შემდგომ დაისაკუთრეს კიდევ. ამ სალოცავის ქართულ  
ფესვებზე მოხეურ სმურთა თუ სადიდებელთა ტექსტებიც მი-  
აღნიშნებს:

„პირმა დაგლოცასთ ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამან,  
ქალაქჩი სიონისამა დარეკამ ზარებისამან.  
მცხეთაჩი სვეტიცხოველმა, გადმომცქერელმა მტკვრისამან,  
ლომისას თორმეწამემა, პატრონმა არაგვისამან.  
მა კობის წმ. გივარგიმ, პატრონმა დიდი მთისამან,

მა ბერმა წმ. სამებამ, პატრონმა ხმელეთისამან,  
ივანე ნათლისმცემელმან, პატრონმა ბაღლებისამან“ და ა.შ.  
(ქართული ქრისტ. პოეზ. 2014:5).

თავად კობში ოსების გვიან დასახლების საბუთად, გარდა  
ისტორიული თუ ხალხური ნარატივებისა, გამოდგება ის ფაქ-  
ტიც, რომ სოფელში 19-ე სუკუნეზე უადრესი საფლავები არ  
გვხვდება. ასეა თუ ისე, ბოლო დრომდე ორივე ეთნოსის წარ-  
მომადგენლები ათენგენობაზე (მარიამობაზე) იყრიდნენ თავს წმ.  
გიორგის სალოცავში. რუსეთის მიერ საზღვრის ჩაკეტვის  
შემდეგ, ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებული კობელი ოსები  
მანც ახერხებენ (თუმც ნაკლები ინტენსივობით) ყოველ წე-  
ლიწადს თავიანთ სალოცავში ათენგენობის (მარიამობის) აღნი-  
შვნას. კულტმსახურება ტრადიციულად ტარდება: დღეობაზე  
მიჰყავთ შესაწირი საკლავი, ქაღები, სასმელი. უზუცესი  
დალოცავს მეღვინეობებს, დაკლავს საკლავს, დალოცავს და  
დაჭრის ქაღებს, სანთელს აანთებს; ხატს შეწირავენ ფულს.  
საბოლოოდ შლიან საერთო სუფრას და ქეიფობენ.

გაზიარებულ სალოცავებთან კავშირში ლ. ჯანიაშვილი  
განიხილავს მარიამობის ნიშნ სოფელ მნაში, რომელიც კობია-  
შვილების სალოცავად ითვლება. სალოცავი მოგვიანებით აქ  
გადმოსულმა ოსებმა დაიკავეს, თუმცა ყანობის მკვიდრი კობია-  
შვილები ყოველწლიურად დადიან აქ მარიამობაზე, სადაც  
იმართება საერთო დღეობა (ჯანიაშვილი 2017: 68). მნის  
ყოველწმინდაში მოხვევები ბავშვებს და პატარძლებს  
ავედრებდნენ. შესაწირად მიჰყავდათ ერთი ბატკანი და ერთი  
ბოთლი ზედაშე (ღვინო). ოსები მოსულებს სუფრით  
უმასპინძლდებოდნენ (ითონიშვილი 2015: 175).

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. თოთში, ყაზბეგის რაიონ-  
იდან ჩრდილოეთით მიგრირებული ოსები დღემდე ახერხებენ  
ვაჩილობის (თვლიან ოსების დღეობად) აღნიშვნას. გადასახლე-  
ბამდე ვაჩილობას მოხვევებიც მათთან ერთად აღნიშნავდნენ;  
დღეს კი, როდესაც ოსები თოთში აღარ ცხოვრობენ, ვაჩილას



სალოცავში სათანადო რიტუალს მოხვევები ატარებენ, თუმცა მათ ძირად თოთელი ოსებიც სტუმრობენ.

ერთად აღნიშნავდნენ მარიამობას გერგეტის სამებაში საზღვრის ორივე მხრიდან მოსული სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. გასული საუკუნის 30-იან წლებში გერგეტში მარიამობის შესახებ ს. მაკალათია წერს: „ღამის სათევად მლოცველებმა 27 აგვისტოდან დაიწყეს სამებაში ასვლა. მიუხედავად ავღრებისა, ბევრი მლოცავი მოვიდა, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიიდან. აქ იყვნენ რუსები, ოსები, ბერძნები, სომხები, ქისტები და სხვა. ტაძრის ეზოში დეკანოზები ხალხს ამწყალობებდნენ. დეკანოზთან მიდიოდნენ ქადითა და საკლავით. ცხვარსა თუ კურატს იქვე კლავდნენ. ქალები ტაძარს მუხლისკვერა უვლიდნენ, ზოგმა თეთრი დროშით ბავშვი შემოატარა და ტაძარს ბაშბის ძაფს არტყამდა ... დილით ცხრა საათზე დეკანოზებმა დროშები და ღვთისმშობლის ხატი გამოიტანეს, დაიძახეს „დიდება“ და ტაძარს სამჯერ შემოუარეს. შემდეგ მხვეწარმა სამების კარის წინ მუხლი მოიყარა და დეკანოზმა ისინი დალოცა“ (მაკალათია 1934: 230-231).

ჩემი რესპონდენტის გადმოცემით: „სამების ტაძარში 28 აგვისტოს მარიამობას მოდიოდნენ ოსები, რუსები, ქისტები... 27-ში მოდიოდნენ ფეხით, სტავროპოლიდან და კრასნოდარიდან, ღამისთევით. უჩერებდნენ მანქანები, მარა ნათქვამი ჰქონდათ, რომ ფეხით უნდა ჩამოსულიყვნენ, ქალები ბავშვები კაცები, მოხუცები, ისეთი ბებრები რო ძლივს მოჩუქჩუქებდნენ. ივსებოდა ყველაფერი ამ ხალხით. მერე ეს ტამოყნიები რო დაიკეტა, ვეღარ მოდიან, არ უშვებენ“ (ავტორის საველე მასალა, არშა, 2015).

ქართველებსა და ოსებს საზიარო სალოცავები დღემდე აქვთ ჩრდილოეთ ოსეთშიც, სადაც საერთო დღესასწაულებს მართავენ. მაგალითად, სოფ. ბალთაში, სადაც შერეულად სახლობენ ქართველები, ოსები და ინგუშები აღნიშნავენ

ლომისობას; აქ თავს იყრიან არა მარტო სამივე ეთნოსის წარმომადგენლები, არამედ ამ დღეობას ყაზბეგის რაიონიდან ჩასულებიც ესწრებიან, ასევე მოდიან სომხებიც და რუსებიც. ქართულმა ტრადიციულმა დღესასწაულმა ჩრდ. ოსეთში საერთაშორისო დღესასწაულის ფორმა მიიღო. აქაური კულტმსახურების წესები საქართველოს მთაში არსებულის ანალოგიურია.

ასეთი რელიგიური სასიათის თავყრილობები, რაც განსხვავებული ეთნო-კულტურული ორიენტაციის ინდივიდებს საზიარო ღირებულებებისა და ინტერესების გარშემო აერთიანებდა, მჭიდროდ კრავდა სოციუმს და უყალიბებდა კოლექტიურობის განცდას. ეს თავყრილობები, რომელიც წელიწადში რამოდენიმეჯერ ეწყობოდა, განსხვავებულ ჯგუფებს პერიოდულად „უღვივებდა“ ერთიანობის გრძნობას და ხელს უწყობდა მათ ინტეგრაციას. მაგრამ საკრალური სივრცე ყოველთვის არ ატარებს ეთნიკურ ჯგუფთა გამაერთიანებლის ფუნქციას. მას, როგორც სოციუმის შემაკავშირებელ ერთ-ერთ რგოლს, გარკვეული პოლიტიკური ძალები საპირისპირო მიზნებისათვისაც იყენებენ. მაგალითისათვის გამოდგება სამაჩაბლოში ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდგომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ ქართული სალოცავების ოსურად გამოცხადების ფაქტები და საზოგადოებაში ამის გამო წარმოქმნილი უთანხმოება. ყაზბეგის რაიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნათელს ხდის, რომ რუსეთი ცდილობს თავის პოლიტიკური მანიპულაციებისთვის ბერკეტად ქართველებისა და ოსების მიერ რელიგიური დღესასწაულების ერთობლივად აღნიშვნის ტრადიცია გამოიყენოს.

რაიონში 2008 წლის შემდგომ შეიმჩნევა ვლადიკავკაზიდან ყაზბეგელ მიგრანტ ოსთა ერთი ჯგუფის მიმოსვლის გააქტიურება; მათ მოხვევები „პროვოკატორებად“ მოიხსენიებენ. ისინი წარმოშობით კობიდან და თრუსოს ხეობიდან არიან, რომლებიც თავის დროზე ვლადიკავკაზში წავიდნენ, მერე კი



პერიოდულად მიდი-მოდიოდნენ საზღვრის ორივე მხარეს. მოხვევები თვლიან, რომ თავიანთი საქმიანობით ეს ადამიანები რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან. მათი მიზანი ქართველთა და ოსთა შორის კონფლიქტის გაღვივებაა, რისთვისაც ისინი მრავალ საშუალებას მიმართავენ, მათ შორის, საკრალური სივრცის მეშვეობით კონფლიქტისთვის ნიადაგის შექმნას. ამის ნათელი მაგალითია რამო-დენიძე წლის წინ კობის წმინდა გიორგის დღეობაზე მომხდარი ერთ-ერთი ინციდენტი:

*„პირადადაც მქონია ოსებთან ძალიან ცუდი გამოცდილება; იყო ეგეთი შემთხვევა: კობში, ეკლესიაში მივდიოდი, წავიღე პურმარილი. ნუ, ახლა, ეკლესიას თავისი ეზო აქვს, სადაც შეიძლება დაჯდომა, და, თუნდაც სიმღერის მოსმენა. გავშალეთ სუფრა, ვუსმენთ სიმღერებს... მოვიდა ეს ფ. და (ბოდიშით, ამ სიტყვაზე) და „დავია ვალიაიტე ატსუღაო“, თქვენს ეკლესიებში გამართეთ დისკოტეკაო! – იმ ფ.-მ გვითხრა! ... და, აქედან წადითო! ატყდა ჩხუბი. გამოვიძახეთ პატრული. პატრული რო მოვიდა, ხმა არ ამოიღეს, არაფერი არ უთხრეს, პირიქით, ჩვენ გვეხვეწებოდნენ, თავი დაანებეთ, წადითო! ეგ ქალი დადის, ავითატორია და, გინდა თუ არა, კობი უნდა დაიბრუნონ, თურმე რუსებმა! ეგ ფ. საერთოდ არ უნდა შემოუშვა! ეგ კობელია და აქაც ცხოვრობს-იქაც ცხოვრობს. ყველაზე ცუდი ის არი, რო, ამბობენ, უამრავ ადგილებს იფორმებსო! მიწებს უფორმებენ და რო რამე იყოს, იმას აქვს თავისი საკუთრება და ვერავინ ვერაფერს ვერ უზამს. ჯერ როდიდან არის, რო მაგათ უნდათ რო ყაზბეგი შეუერთონ ორჯონიკიძეს. – თქვენაო, ბილიკ-ბილიკ ივლით მთაზეო, და ეს ჩვენი ადგილიაო და გადავკეტავთო – ასე გვეუბნებოდა პირდაპირ პირში“ (ავტორის საველე მასალები, აჩხოტი, 2016).*

დღეს, ორივე ეთნოსისთვის წმინდა ადგილების – სალოცავებისა და სასაფლაოების თემის კონფლიქტის კონტექსტში წამოწევა მიმდინარეობს. რუსეთის მოქალაქეები უვიზოდ შემოდინან საქართველოში და მათი მიმოსვლის წესები საზღვრის

გახსნის (2010 წ.) შემდგომ არ შეცვლილა. მხოლოდ, რუსეთთან გართულებული ურთიერთობის და იმ მოსალოდნელი საფრთხეების გამო, რაც ყაზბეგის ტერიტორიების ხელში ჩაგდების ინტერესებს თან ახლავს, ქართული მხარე საზღვარზე არ ატარებს იმ პირებს, ვინც შესაძლოა პროვოკაციის ინიცირება მოახდინოს. სასაზღვრო სამსახურს აქვს იმ პირთა სიები, ვინც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენს. 2013 წლიდან რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ლარსის გამშვებ პუნქტთან ვლადიკავკაზში მცხოვრები კობელი და თრუსოელი ოსების გარკვეული ჯგუფების მიერ პიკეტის მოწყობას. სავარაუდოდ, ეს ჯგუფები პრორუსული ორგანიზაციების (დარიალი, ყაზბეგი, თავისუფალი ოსეთისათვის) მესვეურთა მიერ იყო მობილიზებული; მათ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა თავიანთ ყოფილ სალოცავებში დღეობაზე წასვლა ან წინაპართა საფლავების მონახულება. ისინი რუსმა მესაზღვრეებმა გამოატარეს, ხოლო ქართულმა მხარემ, ქართველთა და ოსთა შორის მოსალოდნელი კონფრონტაციისგან თავის დაზღვევის გამო, არ შემოუშვა. მსგავსი ვითარება დღემდე გრძელდება. ანალოგიური ინციდენტი იყო 2017 წელსაც, როდესაც კობში დღეობაზე მიმავალი ოსები უკან მოაბრუნეს და ამასთან, პასპორტებში ხუთწლიანი დეპორტაციის შტამპები ჩაურტყეს.

ამ ამბებს რეზონანსის გარეშე არ ჩაუვლია. კობელი ოსების საქართველოს ტერიტორიაზე არშემშვების ბოლო დროის ინფორმაცია რუსულენოვან მედიაში 2017 წლის აგვისტოში გავრცელდა. ცხინვალელი ჟურნალისტის – ალან პარასტაევის წერილში ნათქვამია, რომ „სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები „ეთნიკურ წმინდად“ შეაფასეს და 90-იანი წლებში ოსების მიმართ საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან პარალელები გაავლეს...“ (პარასტაევი 2017).



სამხრეთ ოსეთის მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო „ქართული ხელისუფლების ანტიჰუმანური ქმედებებთან დაკავშირებით პროტესტს გამოხატავს და გმობს ეთნოციდის პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება წინა საუკუნის შუა პერიოდიდან ჩრდილოეთ ოსეთი-ალანიას რესპუბლიკის მცხოვრებლების მიმართ ატარებს“, ხოლო ქართული მხარის მიერ მსგავსი პრაქტიკის გაგრძელების შემთხვევაში, იგი იმუქრება, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლება, ოსი ერის განუყოფელი ერთიანობიდან, მისი ისტორიიდან, კულტურიდან და ეროვნული ტერიტორიებიდან გამომდინარე, ადეკვატური ქმედებების – საქართველოსთან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მთელ პერიმეტრზე გადაკვეთის რეჟიმის გადახედვის უფლებას იტოვებს (კახიშვილი 2017). სწორედ წმინდა ადგილების თემა ხდება საქართველოსადმი ოსეთის/რუსეთის მზარდი პრეტენზიების საბაბი.

სალოცავი და წინაპართა საფლავები რუსული ძალების მიერ სწორად შერჩეული სივრცეებია, სადაც თავს იყრიან მათი სცენარისტების საჭირო აქტორები, ვისთვისაც ფასეულია ეთნიკური ტრადიციები. ყაზბეგის რაიონში, თუ ერთი მხრივ, საკრალური სივრცე განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს ერთ სოციუმად აერთიანებს, მეორე მხრივ, მათი დაპირისპირების მაპროვოცირებელი ფაქტორად შეიძლება იქცეს.

## დამოწმებული ლიტერატურა

**თოფჩიშვილი 2016** – თოფჩიშვილი რ., დვალეთი და დვალეები, თბ., 2016.

**კახიშვილი** – კახიშვილი ნ. ცხინვალი ქართულ მხარეს ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს <http://netgazeti.ge/news/217301/>

**მაკალათია 1944** – მაკალათია ს., ხევი, თბილისი 1934.

**ქართული 2014** – ქართული ქრისტიანული პოეზია ათ ტომად. ეკლესია მონასტრები ქართულ პოეზიაში, ტ. I. თბილისი 2014.

**პარასტაევი 2017** – პარასტაევი რატომ არ ჩეუშვეს კობელი ოსები საქართველოში? ეხო კავკაზა 2017. <http://netgazeti.ge/news/225479/>

**ყაზბეგის** – ყაზბეგის განვითარების სტრატეგია 2016-2020:13 [http://pin.ge/plugins/images/opportunities/kazbegi\\_local\\_development\\_strategy\\_lds\\_20162020\\_geo.pdf](http://pin.ge/plugins/images/opportunities/kazbegi_local_development_strategy_lds_20162020_geo.pdf)

**ჯალაბაძე 2011** – ჯალაბაძე ნ., აკულტურაციის თავისებურებანი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 2011.

**ჯანიაშვილი 2018** – ჯანიაშვილი ლ., ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში(ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივა ყაზბეგის რაიონში), თბ., 2018.

**Allwood Jens**, Intercultural Communication, Papers in Anthropological Linguistics 12, University of Göteborg, Dept of Linguistics <http://sskii.gu.se/jens/publications/docs001-050/041E.pdf>

**Berry John**. Acculturation: Living successfully in two cultures, International Journal of Intercultural Relations 29 (2005)( 697–712).



## ლაგრენტი ჯანაშვილი

### ნარატივის აგების სტრუქტურული კატეგორიები ეთნიკურ კონტექსტში და სტერეოტიპების ფორმირების ეკზოგენური ფაქტორები

ჩვენი ყოველდღიურობა გაჯერებულია საზოგადოების წევრთა შორის საუბრებით, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარკვეული ცხოვრებისეული ისტორიების, ამბების თხრობას სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხზე. ეს ნარატივები ასახავს მთხრობელის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პრობლემის მიმართ; ინფორმაცია, რომელსაც მონათხრობი შეიცავს, აგებულია ამბის მთქმელის პირადი დამოკიდებულებების, მისი განწყობების, ვარაუდების, ხანდახან სრულიად არარსებული ან გამოგონილი სიუჟეტების თავისუფალი ინტერპრეტაციით და შეესაბამება მის შინაგან განწყობას, სუბიექტურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი. ზოგი ამბავი მოყოლიდან მოყოლამდე საკმაოდ იცვლება და მისი არსობრივი მატრიცაც ტრანსფორმირდება.

როგორც ცნობილი ლინგვისტი თ. ვან დეიკი აღნიშნავს, გარკვეული თემების თხრობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ კულტურულ გარემოში ჩვენ გაგვაჩნია საკმაო იმპლიციტური ცოდნა მოსაყოლი ამბების შექმნის წესებზე და მისი ტიპური შინაარსის შესახებ. ამრიგად, ყალიბდება ნარატივის აგების სტრუქტურული კატეგორიები და წესები, ასევე სხვადასხვა სოციალურ კონტექსტებში ამბის ეფექტურად და გონივრულად თხრობის სტრატეგია. თუ ამ მონათხრობში საქმე ეხება ადამიანებს (ჯგუფებს), მოვლენებს, ქმედებებს, რომლებიც ყოველდღიურობაში გარკვეული პრობლემების წყაროდ აღიქმებიან, მაშინ ბუნებრივია, ამბავიც სწორედ იმ პირებზე

იქნება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენს იდეალებს და ძირითად მიზნებს (დეიკი, 1989, 190-191).

განსაკუთრებული საფრთხის შემცველად მიიჩნევენ უცხო ეთნიკური ერთობის წევრებს, მით უფრო მაშინ, როდესაც გამწვავებულია მათთან ურთიერთობა. მოყოლილი ამბები ძირითადად ეხება სწორედ ამ ვითარებას. დაპირისპირებული ჯგუფების წევრები, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიებს ყვებიან მეორე მხარის წარმომადგენელთა ქმედებების შესახებ. პრობლემატიკა ჩვეულებრივ, ნეგატიური სტერეოტიპებითაა გაჯერებული, ხოლო მონათხრობ ეპიზოდებში ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლები უჩვეულოდ, განსხვავებულად, სახიფათოდ ან არც თუ ისე ნორმალურად იქცევიან.

უცხო ეთნიკური ერთობების შესახებ მოთხრობილი ამბების საერთო სემანტიკური ორგანიზაცია საკმაოდ კარგადაა გამოკვლეული. თხრობის კატეგორიაში ძირითადად რამდენიმე პუნქტი გამოიყოფა, როგორცაა — მთხრობელის როლი და ჩართულობა ამბავში, მცირე რეზიუმე, გარემოს აღწერა, სიუჟეტის გამწვავება, კვანძის გახსნა, ექსპლიკაცია, შეფასება, დასკვნა. თხრობის კატეგორიების ანალიზის შედეგად, მონათხრობის შესაბამისი ფრაგმენტებით ცალკეული ელემენტების გამოყოფის გზით აგებენ თხრობის სისტემის იერარქიულ სტრუქტურას, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია უცხო ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ მოყოლილი ამბებისათვის (დეიკი, 1989, 198-214)

ვან დეიკის მიერ გაანალიზებული მასალა მშვიდობიან პირობებში ევროპის ერთ-ერთ ლიბერალურ ქვეყანაში უცხო ეთნიკურ ჯგუფების წარმომადგენლებთან დამოკიდებულებას და მათ შესახებ არსებულ შესუღულებებს ასახავს. ისტორიები მოგვითხრობენ რა უსიამოვნებებს აყენებენ ჰოლანდიელებს მიგრანტები. ისინი ხმაურობენ, ანაგავებენ ქუჩებს, კონკურენციას უწევენ მასპინძლებს სამუშაო ადგილებსა და საცხოვრებელ ბინებზე, ჩართული არიან კრიმინალში და ა.შ.



(ვან დეიკი, 194). კიდევ უფრო მწვავე ნარატივებს მოვისმენთ ეთნიკური დაპირისპირების პირობებში. ცხადია, აღწერილი უარყოფითი სტერეოტიპები გარკვეულ წინასწარ განწყობებს ემყარება. ამ განწყობების შექმნას კი ხელს უწყობს, როგორც ობიექტურად არსებული, ისე ხელოვნურად შექმნილი ანუ ეგზოგენური ფაქტორები.

საზოგადოების განწყობების მათთვის სასურველი მიმართულებით განვითარებისათვის გარკვეული წრეები ზოგჯერ საგანგებოდ შეთხზული ისტორიების გავრცელების ტაქტიკასაც იყენებენ. შეიძლება გავიხსენოთ ჭ. ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“ მუშნი ზარანდიას მიერ შექმნილი ჭორების ინსტიტუტი, რომელიც უანდარმერიამ ეფექტურად გამოიყენა აბრაგების წინააღმდეგ. ყალბი ინფორმაციის გავრცელება ნეგატიური სტერეოტიპების შექმნას უწყობს ხელს, თანაც მისი პირველწყაროს დადგენა საკმაოდ რთულია.

ზემოთ ნახსენები მეთოდი საკმაოდ აპრობირებულია რეალობაში და ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირებისათვისაც იყენებენ. მაგალითად, ყუბანის კაზაკთა მესამე ყრილობაზე გავრცელდა ცნობარი „გახსოვდეს ვინ აღმართა ხმალი შენს წინაპრებზე და ვინ ლესავს მახვილს შენს წინააღმდეგ“, რომელშიც მოტანილი ციტატები ვითომდა საბჭოთა პერიოდის ებრაელთა ქცევის წესებიდან არის ამოღებული. ებრაელთა სამოქმედო გეგმად გასაღებული ამგვარი გამოცემა მიზანმიმართულად ახდენს მათ ქმედებათა შესახებ გამოგონილი ისტორიების გავრცელებას და ანტისემიტური განწყობების ინსპირაციას კაზაკებში. ქვემოთ მოვიტან რამდენიმე ამონარიდს ხსენებული პუბლიკაციიდან:

„ებრაელებო, ნებისმიერ კოლექტივში ხელში აიღეთ ძალაუფლება და მმართველობა მოაწყვეთ ჩვენი ინტერესების შესაბამისად. დაე „გოებმა“ (აქ რუსებმა) უზრუნველყონ შავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩვენი შემოქმედებისათვის. დაე ისინი იყვნენ ვახტიორები ან დამლაგებლები...

რუსები არ დაუმვით შემოქმედებით სფეროში, თუ ვაკანსია გამოჩნდება – აიყვანეთ ებრაელი. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია – გააუქმეთ თანამდებობა...

რუსებს არ შეუძლიათ ღრმა აზროვნება, ანალიზი და სიღრმისეული განზოგადება. ისინი ღორებს ჰგვანან, რომლებიც ცხოვრობენ და ღინგით მიწაში ჩაფლულები არც ეჭვობენ რომ არსებობს ზეცა. ყველაფერი რაც მათ გააჩნია, ჩვენია – მათ მხოლოდ ღრობით სარგებლობაში აქვთ. ჩვენი ამოცანაა მათგან იმის მიღება რაც ღმრთისაგან ნაანდერძეგია...

დაადანაშაულებთ ანტისემიტისმში ის ვინც თქვენს გამოაშკარავებას შეეცდება და ნახავთ როგორი სიამოვნებით აიტაცებენ დანარჩენი „გოები“ ამ ვერსიას...

რადგან ყველგან აშკარა ბრძოლა შეუძლებელია თალმუდი ნებას იძლევა ვაწარმოოთ ირიბი ბრძოლა, ე. ი მივაყენოთ ზიანი და ამით ნელ-ნალა დავასუსტოთ მათი ძლიერება, მოვამზადოთ მათი დაცემა. სადაც კი შესაძლებლობა მიეცემა ებრაელი ვაღლებულია სასტიკად სცემოს ქრისტიანი...”

„აჲნე ქრისტიანს“; „მოერიდე ქრისტიანს, რადგან იგი უწმინდურია“; „მიიტაცე ქრისტიანის ქონება, სასამართლოში კი მის წინააღმდეგ მიეცი ჩვენება“; „წაართვი ქონება ქრისტიანს“; „არ დაუბრუნო ნაპოვნი ნივთი ქრისტიანს“; „აკუმის (კერპთაყვანისმცემლის, ქრისტიანის, გოის) საკუთრებას უნდა ვთვლიდეთ საერთო ქონებად, რომელიც ეკუთვნის იმ იუდეველს რომელიც შეძლებს დაეუფლოს მას“; „მოატყუე ქრისტიანი“; „იმისათვის, რომ ქრისტიანის დადანაშაულებას მიაღწიოს, ებრაელს შეუძლია მოიტყუოს და ცრუ ფიციც მისცეს“ (კრასნოდარის უფლებდაცვითი ცენტრი, 2002).

თავად ის ჯგუფები, რომლებიც ხსენებული მეთოდით შემოქმედებისაგან ზარალდებიან, ზოგჯერ ხვდებიან, რომ მიზანმიმართული პროვოკაციის მსხვერპლად იქცნენ, თუმცა მდგომარეობის გამოსწორება საკმაოდ რთულია. მაგ. 1989 წელს ფერდანიდან გამოძევებულ მესხებში რამდენიმე



რესპონდენტისაგან ჩავიწერე მოსაზრება, რომ ფერდანას მოვლენები მოსკოვის მიერ იყო დაგეგმილი. დარბევების წინ მიზანმიმართულად ვრცელდებოდა ათასგვარი ჭორი მესხების მიერ გაუპატურებული, გაძარცვული და განადგურებული უზბეკური ოჯახების შესახებ. როგორც აღვნიშნე, ჩემი რესპოდენტები ვარაუდობდნენ, რომ ამ ჭორებს შემოქმედი კრემლში ჰყავდა, რომელიც ფერდანის ველიდან მესხების განდევნით რამდენიმე პრობლემას ერთბაშად გადაჭრიდა: I. მუშახელით შეავესებდა დაცარიელებულ ცენტრალური რუსეთის რეგიონებს; II. უზბეკი ნაციონალისტების ყურადღებას სლავური მოსახლეობიდან მესხებზე გადაიტანდა, III. არეულობას შეიტანდა სამხრეთ კავკასიის (საქართველოს ლ.ჯ.) ეროვნულ მოძრაობაში, რადგანაც მრავალათასიანი მუსულმანური მასის შესვლის პერსპექტივა მთლიანად ცვლიდა ეთნორელიგიურ ვითარებას ადგილებზე.

საკუთარი ვარაუდების დასამტკიცებლად ჩემი რესპოდენტები სხვადასხვა ამბავსაც ჰყვებოდნენ, რომელიც ამ ვარაუდებში ჩემს დასარწმუნებლად იყო გამიზნული. „როდესაც ჩვენები ფერდანადან რუსეთში ჩავიდნენ, სმოლენსკის ერთ-ერთ სოფელში უთხრეს, უკვე ერთი კვირა გავიდა აქა ხართ, ტყუილად დარდობთ, თქვენ აქ სამუდამოდ ხართ ჩამოსულები, გეყოფათ ჯავრი, ერთი კარგი სუფრა გავაკეთოთ და დრო გავატაროთ. სადამოთი ლხინი მოაწყვეს, სადაც ადგილობრივებმა ჩვენებს უთხრეს — კი მაგრამ სადამდე უნდა გელოდოთ თქვენ? გვითხრეს „თურქი მესხები“ იანვარში მოვლენო, არ მოხვედით, მერე თქვეს თებერვალშიო, ისევ არ გამოჩნდით, მარტი, აპრილი, მაისი ისე გავიდა და მხოლოდ ივნისში ჩამოხვედითო. რამდენი ხანია ძველი სახლები შეგვაკეთებინეს, რათა ჩამოსულები მოგვეთავსებინა, ნ თვის განმავლობაში ყველა პარტიულ კრებაზე განიხილებოდა თქვენი საკითხი. ამის მერე თქმა, რომ ფერდანაში უბედურება რაღაც ხენდროს ყიდვისას დაიწყო უბრალოდ სისულელეა. როგორც

აღმოჩნდა სმოლენსკის რომელიღაც სოფელში ამის შესახებ ნ თვით ადრე ჰქონდათ ინფორმაცია, დასახვედრად ტექნიკას და მეურნეობას ამზადებდნენ. იცოდნენ, რომ მშრომელი ხალხი მოდიოდა, რომელიც მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ააღორძინებდა. როგორც კი მესხები მივიდნენ ადგილობრივებმა რუსული პირდაპირობით ყველაფერი წამოროშეს“ (ჯანიაშვილი 2006, 60).

საზოგადოდ ცნობილია, რომ მასობრივ ცნობიერებაზე უფრო აქტიურ ზემოქმედებას ასდენს ინფორმაციული ნაკადი, ვიდრე მეცნიერული ცოდნა. ცოდნა, ესაა კონტექსტუალური, თეორიაზე დაფუძნებული და ცნობებით გამყარებული იდეა, რომელიც საუკეთესო ახსნას უძებნის რეალობას. სამეცნიერო ცოდნა იმ თეორიებისა და კანონების ერთობლიობაა, რომელიც გამყარებულია ექსპერიმენტული სამხილებით. ის მუდმივად ჩამოყალიბების პროცესშია. ინფორმაცია კი, არის უბრალოდ ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ვარაუდზე, აზრსა თუ ცნობაზე და უცილოდ უტყუარი არ არის (კნუდსონი 2007, 13-16). როგორც ითქვა, სტერეოტიპული კლიშეების ფორმირებაზე ძირითადად გავლენას ახდენს ინფორმაცია, რომელიც ბევრად ადვილი სამართავია და მისი ჭეშმარიტების გადამოწმებაც საკმაოდ რთულია.

ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგია საშუალებას იძლევა მოსახლეობის განწყობებზე მიზანმიმართული ზემოქმედება განხორციელდეს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზეც. ეფექტურობა იზრდება, როდესაც ამგვარი ინფორმაციის მისაღებად არსებობს კონკრეტული სამიზნე ჯგუფები და შედარებით არასტაბილური სიტუაცია. 2003 წელს სააგენტო „არმინფომ“ გაავრცელა „სომხეთის ნაციონალური ფრონტის“ შემდეგი შინაარსის განცხადება — „ვერ მოასწრო ჩეჩენი „ბოევიკის“ რუსლან გილაევის ბანდამ საქართველოს დატოვება, რომ იქ გამოჩნდა „თურქი მესხების“ ტერორისტული ორგანიზაცია „ახისტალუ“ (ახალციხე). ამა წლის თებერვალში



ხსენებულმა ორგანიზაციამ გამოუცხადა „ჯიჰადი“ მესხეთისა და საქართველოს ძირძველ მოსახლეობას. „სომხური ნაციონალური ფრონტი (АНФ)“ დაბეჯითებით განსჯის „ვათანის“ და „ახისტალუს“ ექსტრემისტთა პროვოკაციულ განცხადებებს და მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებას, მიიღოს ზომები, რათა გაანეიტრალდეს ექსტრემიზმის და ტერორიზმის შესაძლო კერა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ჩვენ მზად ვართ მივეხმაროთ საქართველოს ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბანდფორმირებების გამოვლენასა და განადგურებაში. ასევე მიგვაჩნია, რომ „თურქი მესხების“ პროვოკაციული გამოხტომები ვერ შეარყევენ მოძმე საქართველოში მცხოვრები ქრისტიანების და მუსულმანების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას“ (სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, 2003). მოტანილი ცნობის სიყალბე დღეისათვის ეჭვს არ იწვევს, მაგრამ თავის დროზე ეს ინფორმაცია გამიზნული იყო კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე, რომლებიც ადვილად დაიჯერებდნენ, რომ მესხებმა ჯიჰადი გამოაცხადეს და ამგვარად გაძნელებოდა ევროსაბჭოში აღებული ვალდებულებების შესრულება. მოერე მხრივ, ამ ტიპის ინფორმაცია ახალი ჭორების ინსპირატორად გამოდგებოდა.

ხანდახან მასშტაბური პოლიტიკური კატაკლიზმები გავლენას ახდენენ ოპოზიციური ჯგუფის წევრთა შესახებ სტერეოტიპული ნორმების ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, ომი დაპირისპირებულ მხარეებში ნეგატიური სტერეოტიპების ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების შესახებ ყოველთვის ერთგვაროვნად უარყოფითი განწყობა არ ყალიბდება. რუსეთ – საქართველოს 2008 წლის ომისა და ამ მოვლენებში ოსების როლის გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო, რომ ქართველ მთხრობელთა დამოკიდებულება მათ მიმართ რადიკალურად ნეგატიური იქნებოდა. გამოკვლევის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გამომწვევ მთავარ მიზეზად

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ასახელებს რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებს, რომელიც სეპარატისტული პროცესების წაქეზებით ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოს ფორმირებას სამხრეთ კავკასიაში. ხშირია პოზიტიური მაგალითების მოტანა (დავით სოსლანის ოსობა, ოსთა მონაწილეობა ქართველი მეფეების ლაშქარში და ა. შ.) ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, რათა აჩვენონ ამ ხალხთა თანაცხოვრების პერსპექტივა. გვხვდება საპირისპირო ტენდენციაც, მაგალითად, ქართველები იხსენებდნენ ოსების მოღალატურ საქციელს მონღოლურ პერიოდსა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს; ოსები – ვალიკო ჯუღელის სადამსჯელო ესპედიციას ოსების წინააღმდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში, 1990-ინ წლებში განვითარებულ მოვლენებს და ა.შ.

გვხვდება მკვეთრად ნეგატიური შეფასებებიც ოსებზე და მათი ყოფისა და კულტურის ნიუანსებზე – ჰგონიათ, რომ ისინი არიან იელოველები, კათოლიკეები (ამ კონფენსიებს აქვთ უარყოფითი კონოტაცია). გვიამბობენ ისტორიებს ოსთა სისასტიკეზე – „ოსური ლაპარაკის გაგონება ჩემში აგრესიას იწვევს. ვერ ვიტან საერთოდ ... საერთოდ ოსი ოსია და არასდროს არ შეიცვლის თავის აზრს. ისინი ყოველთვის ამართლებენ თავიანთ ხალხს... ზოგმა გვარი გადაიკეთა და ქართველები გახდნენ, მაგრამ მაინც ოსები არიან. მაგათი კული არ გასწორდება... მე გორში ვიყავი, როცა შემოვიდნენ რუსები. და კიდევ საშიშროება იყო ოსების შემოსვლისა. იხვეწებოდნენ, ერთი საათით შეგვიშვით გორში და ჩვენ ვიცითო, ამის გამო დიდი შიშის ქვეშ ვიყავით“.

ოსი ეროვნების რესპონდენტები, ჩვენთან საუბრისას უფრო თავშეკავებული არიან, თუმცა მათი მონათხრობებშიც გვხვდება ნეგატიური კონატაცია ქართველთა მიმართ. ისინი იხსენებენ ვალიკო ჯუღელის სადამსჯელო ესპედიციის პერიპეტიებს,



საუბრობენ უამრავ დახოცილზე, ქართველებისგან მხრიდან შევიწროებას 90-იან წლებში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური პროცესების დროს (მიწების ჩამორთმევა, სამსახურებიდან დათხოვნა და ა. შ.). ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ საქართველოში ოსების ტერიტორიული პრეტენზიები სამართლიანია და ოსეთის სახელმწიფო საზღვარი სოფ. ერგნეთამდეა და ა. შ.

ზემოხსენებულის გარდა უცხო ეთნიკური ჯგუფის შესახებ სტერეოტიპების ფორმირების კიდევ უამრავი ფაქტორი არსებობს, მაგრამ ეს მომავალი და უფრო გამოწველილვით გამოკვლევის საგანს წარმოადგენს. დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ნარატივის სტრუქტურული მატრიცა უნივერსალურია და ემსახურება ერთ მიზანს – მოახდინოს მსმენელზე ზემოქმედება, რათა მან მთხრობელის დამოკიდებულება გაიზიაროს. უფრო მძაფრად არის ასახული მთხრობელის განწყობა (ხშირად ნეგატიური) როდესაც ამბავი უცხოტომელებს ეხება. ცხადია, რომ უცხო კულტურის წარმომადგენელი, მისი ტრადიციული კულტურის ის ელემენტები, რომლებიც არ შეესაბამება ადგილობრივთა თანადროულ ტიპს, ხდება მოსულთა შესახებ ნეგატიური წარმოდგენების წყარო. ამგვარი სტერეოტიპული კლიშეების შექმნასა და ნარატივების შინაარსობრივი მხარის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მასობრივი კულტურის, სატელევიზიო გადაცემების, ლიტერატურის, ბეჭდური მედიის, ბოლო ხანებში კი, გლობალური საკომუნიკაციო საშუალებების და სოციალური ქსელების გზით გავრცელებული მოსაზრებები.

## დამოწმებული ლიტერატურა

- დეიკი 1989 – Ван Дейк Т., Язык познания коммуникация, Москва, 1989.
- კრასნოდარის უფლებდაცვითი ცენტრი 2002 – «Мониторинг проявлений национализма, ксенофобии и нетерпимости в краснодарском крае» г. Краснодар, 2002 г. Составитель доклада – Региональная общественная организация "Краснодарский правозащитный центр" (КПЦ) <http://www.hro.org/krasnodar>
- ჯანიაშვილი 2006 – ლ. ჯანიაშვილი, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოისტორიული პრობლემები, თბ., 2006.
- სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაცია 2003 – Общественно-политическая организация "армянский националистический фронт" выступает против "провокационных выходов" турок-месхетинцев в Грузии. <http://subscribe.ru/archive/media-today.arminfo/200307/26130156.html>
- კნუდსონი 2007 – Knudson Duane, "Fundamentals of Biomechanics", second edition, 2007.



სარჩევი

როლანდ თოფჩიშვილი, თემურ გვიმრაძე  
მიხეილ გეგეშიძის ცხოვრება და შემოქმედება.....3

ნინო აბაკელია  
საგანთა ფუნქციონირებისთვის რიტუალში .....34

ნუგზარ ანთელავა  
ქართულ-ავსტრალიული ეთნოენობრივი და  
ეთნოკულტურული კონტაქტები ..... 48

სალომე ბახია-ოქრუაშვილი  
დასახლების ფორმისა და საცხოვრებლის  
ეკოლოგიური ასპექტები ..... 52

როზეტა გუგუჯიანი  
სოლიდარობის ტრადიციული ფორმები სვანეთში  
(„გაღდამ“) ..... 61

როლანდ თოფჩიშვილი  
ახალი თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის  
შესახებ (თეზისური ვარიანტი) ..... 78

თინა იველაშვილი  
ქართველ ებრაელთა რელიგიური დღეობები  
სამცხე-ჯავახეთში..... 95

ირმა კვაშილავა

ეროვნულისა და რელიგიურის ურთიერთმიმართება  
საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ყოფაში.....105

ნინო მინდაძე  
ტრადიციული ანთროპოლოგიური ცოდნის რამდენიმე  
ასპექტის შესახებ .....116

ელდარ ნადირაძე  
ბორბლისა და ტერნმინ „ბორბლის“  
წარმოშობის საკითხისათვის ..... 128

ნოდარ შოშიტაშვილი, თამაზ ფუტყარაძე  
თრიალეთური დარბაზოვანი, თაკარიანი ოდა და  
არტაანული დამი.....144

ნათია ჯაღალაძე  
საკრალური სივრცე მშვიდობიანობისა და  
დაპირისპირების კონტექსტში (ქართულ-ოსური  
ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ყაზბეგის რაიონში) ..... 157

ლავრენტი ჯანიაშვილი  
ნარატივის აგების სტრუქტურული კატეგორიები  
ეთნიკურ კონტექსტში და სტერეოტიპების  
ფორმირების ეგზოგენური ფაქტორები..... 168

მერაბ ჩუხუა  
ქართული ტრანსპორტის ისტორიისათვის (მასალები) .....178